ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №66 (2439) შაბათი, 22 მარტი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი. თბილისის გარეთ 45 თეთრი.

## აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

# ა აწუხებს თავსაფრიან ქალს?

...ით, ალბათ, კავშირგა-
...ისა და ფოსტის მინი-
...ძანება, დღეში უფასოდ
... ათი წუთით ლაპარაკის
... რომ იძლეოდა. მეტი
...ებრისთვის კი ფულის
...ს გადავალდებულებდა.
...რგაბმულობისა და ფო-
...ისტრმა საქართველო-
...რენებისთანავე გააუ-
...თავისი ბრძანება, რო-
...უკანონო. თუმცა მისი
...ანმარტებიდან, რატომ
...ცილებელი სატელეფო-
...იფების გაზრდა, ძნე-
...ახვედრი არ იყო, რომ თუ არა საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და სახელმწიფო მინისტრის მიერ ამ სახით წარმოდგენილი ბრძანების უკანონოდ მიჩნევა, საეჭვოა, ვინმეს გადაედგა ასეთი კატეგორიული ნაბიჯი.

თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც ბატონი ფრიდონი ამბობს, ასეთი ტარიფებით შეუძლებელია მუშაობა, რომ ჯერ კიდევ შარშან, 31 ოქტომბერს მიიღო თბილისის მერიამ დადგენილება იმის თაობაზე, რომ ტარიფები დაბალია და იგი სასწრაფოდ უნდა მესაბამებოდა ხაზებს.

გამოკვლევებმა, თურმე, ისიც აჩვენა, რომ მოსახლეობის 42 პროცენტი დღეში ათ წუთზე მეტს არ ლაპარაკობს და ეს ათი წუთი მას უფასოდ აქვს კიდეც. ნებისმიერი თბილისელი, თუ ჩაიხედავს იმ ჭაში, რომელშიც 100, 200-წყვილიანი სპილენძის კაბელები გადის, ნახავს, რომ ისინი წყალში ცურავს. ეს კი აზიანებს მათ და გამოდის მწყობრიდან. ამიტომ აუცილებელია მათი ოპტიკური კაბელით შეცვლა, რაც, რა თქმა უნდა, თანხებს მოითხოვს.

კიდევ. 12 წელიწადია, ელექტრონული სადგურები 99, 93 და ა. შ. მუშაობს. მათი დამკომპლექტებელი აპარატურის ყველა რეზერვი ამოწურულია. ახლა მუშაობენ, რომ როგორმე ამ დაზიანებული პლატების აღდგენა შეძლონ. სხვაგვარად, მათი ახლით შეცვლა, უდიდეს ხარჯებს მოითხოვს. არც კაბელების წარმოებაა საქართველოში, არადა, მათი უმრავლესობა დაჰრეს, გაიტანეს. დღეს, თურმე, იგი ბულგარეთიდან ან ოდესიდან შემოაქვთ. მეტრი კაბელის ჩამოტანა კი, თურმე, 5-6 ლარი ჯდება. ქალაქის სატელეფონო ქსელი უმძიმეს მდგომარეობაშია.

ბატონმა მინისტრმა ისიც აღიარა, ჩვენი ყველა გასაჭირი რომ მოსახლეობისთვის დაწვრილებით აგვეხსნა, იქნებ, გაეგო ჩვენთვისო. თუმცა, იქვე ისიც დასძინა: ერთი თავსაფრიანი ქალი ერთ ადგილას ქვეყნიდან რუსეთის ჯარების გაყვანას მოითხოვდა, მეორეგან – ჯიხურების ალებაზე გამოთქვამდა პროტესტს, ჩვენთან კი ბებიასთან ველარ უნდა დავრეკოო?

ერთი სიტყვით, ბატონ ფრიდონს ამით იმის თქმა სურდა... თუმცა, თვითონ არ დაუზუსტებია და მე რაღა მრჯის?

საქართველოს პრეზიდენტმა შემაჯამებელ სიტყვაში ხაზი გაუსვა იმას, რომ საბაზრო ეკონომიკას თავისი კანონები აქვს, რომლებსაც ვერავინ უგულებელყოფს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, თუ რა პირობებში გადავდივართ საბაზრო ეკონომიკაზე, როგორ უჭირს ხალხს, ამიტომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის განჯვა-წამება, რომელსაც, ფაქტობრივად, ყვე-

იხ. მე-2 გვ.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 18 მარტი ქ. თბილისი

**ა. ნავასარდოვის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში კრივის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ახალგაზრდა სპორტსმენების აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის კრივის ეროვნული ფედერაციის მწვრთნელი-კონსულტანტი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ანდრო ნავასარდოვი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 18 მარტი ქ. თბილისი

**საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემის მუშაკთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემის მუშაკები დაჯილდოვდნენ

ღირსების ორდენით:

**ვლადიმერ ბახუტაშვილი** – სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**ავთანდილ გოგოლი** – გ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**შოთა გოგოხია** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პენსიონერი;

**რევაზ ვეფხვაძე** – ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე** – პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**ავთანდილ ლაჭყეპიანი** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კათედრის პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე;

**გელა ლეჟავა** – ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;

**ლავრენტი მანაგაძე** – ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**ჭაბუკი ფურცხვანიძე** – ფთიზიატრიისა და პულმონოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ე. შევარდნაძე.

## შიმშილობის აქცია შეწყდა

...მარტს, შიმშილობის მეცხრე დღეს, საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის" წევრებმა ...წყვიტეს შიმშილობა.

...ორც იმავე დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ფრაქციის წევრებმა განაცხადეს, ...მ თავის მიზანს ნაწილობრივ უკვე მიაღწიეს. კერძოდ, 20 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორი დოკუმენტი: პარლამენტის მიმართვა მოშიმშილეებისადმი, საბოლოოდ შეფასდა აქციის მნიშვნელობა ...პარლამენტის პოლიტიკური განცხადება. ...ქცია გრძელდება, მხოლოდ მისი ფორმა ...ცვალა, – განაცხადა საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის" თავმჯდომარემ გერმანე ...ცავამ, – დღეიდან ჩვენ უკვე პარლამენტში განვაგრძობთ ბრძოლას საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილების გატარებისათვის. მაგრამ იმ შემთხვევაში, ...ახლოეს მომავალში არ შესრულდება ჩვენი მოთხოვნები და რუსეთის სამხედრო შენაერთები და სამშვიდობო ძალები არ დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას, მაშინ მივმართავთ რადიკალურ ზომებს.

* * *

...პრესკონფერენციას წინ უძღოდა სასტუმრო ...რიის" მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული დევნილთა მიტინგი, რომლის უმთავრესი მოთხოვნა იყო: „რუსეთის სამშვიდობო ძალებმა და სამხედრო შენაერთებმა უპირობოდ დატოვონ საქართველოს ტერიტორია, ...არეს ყოველისა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული ტერიტორიები".

## ინფორმაცია

### ...დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული

21 მარტს დამთავრდა საქართველოში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტის ჟაკ დე ლაროზიეს ოფიციალური ვიზიტი. დილით იგი თბილისიდან სტამბულს გაემგზავრა.

გუშინ საღამოს ბატონ დე ლაროზიეს პატივსაცემად საქართველოს მთავრობამ ოფიციალური სადილი გამართა. სადილს ესწრებოდნენ ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები. 20 მარტს კი ბატონი ჟაკ დე ლაროზიე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო.

ისაუბრეს იმ კონკრეტული პროექტების შესახებ, რომელთა განხორციელებასაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოში აპირებს.

აღინიშნა, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აპირებს თავისი საქმიანობის გაფართოებას საქართველოში. ეს კი დიდად არის დამოკიდებული იმ პარტნიორი ქართული ბანკების ეფექტიანობაზე, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კორექტულ მუშაობაზე და ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე. მეშვეობით საინვესტიციო გარემოს

### მზად არის „საზღვაო კოდექსის" პროექტი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მთავარი ექსპერტი, საერთაშორისო საზღვაო სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მინარჩუკ ზერდზი, რომელიც საქართველოში „საზღვაო კოდექსის" პროექტის ექსპერტიზის მიზნით იმყოფება.

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ხაზი გაუსვა საქართველოსთვის, როგორც საზღვაო ქვეყნისთვის, „საზღვაო კოდექსის" მნიშვნელობას და მადლობა გადაუხადა სტუმარს პროექტის სრულყოფაში გაწეული დახმარების გამო.

### გრძელდება არაოფიციალური კონსულტაციები

„იბერიის" კორესპონდენტს მოსკოვში საქართველოს საელჩოდან აცნობეს, რომ ამჟამად გრძელდება არაოფიციალური კონსულტაციები ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის დეკლარაციის პროექტზე, რომელსაც ეწოდება „დეკლარაცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების გზებისა და ნდობის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე". შესათანხმებელია დეკლარაციის მხოლოდ ერთი (ყველაზე მნიშვნელოვანი) პუნქტი, რომელიც სახელმწიფო-სამართლებრივ ურთიერთობებს ეხება.

### ანდრეი ნიკოლაევი საქართველოს ეწვევა

რუსეთის სასაზღვრო ჯარების მთავარსარდალმა ანდრეი ნიკოლაევმა გამოთქვა სურვილი კიდევ ერთხელ ეწვიოს საქართველოს და საქართველოს პრეზიდენტთან და საქართველოს სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელობასთან ერთად განიხილოს თურქეთ-საქართველოს საზღვარზე და საზღვაო აკვატორიაში შექმნილი ვითარება.

მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ანდრეი ნიკოლაევმა განაცხადა, რომ საქართველოში ვიზიტის დროს იგი შეეცდება საქართველოს ხელისუფლებას გადაათქმევინოს წინდაუხედავი ნაბიჯი, – რუსეთის სასაზღვრო ჯარების გაყვანა საქართველო-თურქეთის საზღვრიდან, – იტყობინება „იბერია".

### ვალერი ჩხეიძეს არ სჯერა

საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალი ვალერი ჩხეიძე შეხვდა რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ფელიქს სტანევსკის. საუბარი შეეხო ამ ბოლო დროს მომხდარ ინციდენტს და რუსი მესაზღვრეების არაკორექტულ ქმედებებს. ელჩმა გამოთქვა დიდი სურვილი მოაგვაროს ყველა გაუგებრობა და მოხსნას დაძაბულობა, მოაწესრიგოს ურთიერთობა რუს და ქართველ მესაზღვრეებს შორის. თუმცა, როგორც გენერალმა ვალერი ჩხეიძემ „მოამბე-ექსპრესის" კორესპონდენტს განუცხადა, რუსეთის სასაზღვრო ხელმძღვანელობისაგან პოზიტიური ქმედებები ნაკლებადაა მოსალოდნელი.

დღესვე პარლამენტარმა პირველი მოსმენით დაიწყო საგადასახადო კოდექსის მთლიანად განხილვა.

### ორ თვეში თბილისში 1954 ბავშვი დაიბადა

1997 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით, ქალაქში მყოფ ლტოლვილთა გათვალისწინებით, თბილისის მოსახლეობამ 1359,9 ათასი შეადგინა. წლევანდელი ზამთრის პირველ ორ თვეში დაიბადა 1954 ბავშვი.

ამავე პერიოდში თბილისში იქორწინა 591 წყვილმა, რაც შარშანდელ მაჩვენებელზე 108 წყვილით ნაკლებია. განქორწინდა 151 წყვილი – 49 წყვილით ნაკლები.

### ვალს დაფარავენ, გაზს მიიღებენ

„საქტრანსგაზმრეწვი" გამართულ შეხვედრაზე, რომელშიც დედაქალაქის პურის ქარხნების დირექტორებთან ერთად „თბილგაზისა" და თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებიც მონაწილეობდნენ, ითქვა, რომ გაზის გამო მოსალოდნელი პურის გაძვირება ყოვლად უსაფუძვლოა. ოღონდ „თბილგაზმა" კრედიტი უნდა აიღოს და „საქტრანსგაზმრეწვის" ვალი – 400 ათასი ლარი გადაიხადოს.

მოსახლეობისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდება, დავალიანების გრაფიკის დაცვის შემთხვევაში, მარტის ბოლომდე აღდგება.

### კანონპროექტი და ოცი მილიონი

„ცეკავშირის" სისტემის მომლა 500 მილიონი ლარის ქონების განიავებას ნიშნავს, – თქვა დღეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატმა თამაზ აქუბარდიამ, რომელმაც პირველი მოსმენით წარმოუდგინა პარლამენტს კანონპროექტი „სამომხმარებლო კოოპერაციის" შესახებ.

თავისი მოსაზრების დასაცავად მან აღნიშნა, რომ შარშან ცეკავშირმა საქართველოში 20 მილიონი ლარის ხორბალი და ფქვილი შემოიტანა.

დეპუტატმა ადა მარშანიამ კანონპროექტი შეადარა ლენინის ლოზუნგს „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან". დანარჩენმა დეპუტატებმა კი იკითხეს, თუკი გვექნება 20 მილიონი ლარი და ვიყიდით ხორბალს, რაღა საჭიროა კოოპერაციის კანონიო.

### ახალი საპენსიო წიგნაკები

სოციალური დაცვის შრომისა და დასაქმების სამინისტროს ცნობით, მიმდინარეობს ახალი საპენსიო წიგნაკების გაცემა, რაც მოაწესრიგებს პენსიონერთა აღრიცხვას. აღსანიშნავია, რომ მათი რიცხვი მილიონ 200 ათასიდან უკვე ოცდახუთი ათასით შემცირდა.

### ავტომაგისტრალების მდგომარეობა

საქავტოგზიდან „მოამბე-ექსპრესს" აცნობეს, რომ ჰიდრომეტცენტრის ინფორმაციით, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის გზის ანანური-გუდაურის მონაკვეთზე ზვავსაშიშროების გამო 11-დან 17 საათამდე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო გუდაური-დარიალის მონაკვეთი ამავე მიზეზით ჩაკეტილია.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პარლამენტის პრესსამსახურმა, საქინფორმმა, „მოამბე-ექსპრესმა", „იბერიამ".**

## ხაზინა

### სახელმწიფო ბიუჯეტს – სახელმწიფოებრივი მიდგომა

### 17 მარტისთვის შეიტანეს

| | |
|---|---|
| **სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე** | |
| **ხობი** | |
| ყულევის საკრებულო | – 1000 ლარი |
| ნოჯიხევის საკრებულო | – 600 ლარი |
| **მარტვილი** | |
| ქალაქის მერია | – 2200 ლარი |
| ნაჯახაოს საკრებულო | – 1100 ლარი |
| **აბაშა** | |
| მარნის საკრებულო | – 1000 ლარი |
| ნორიოს საკრებულო | – 880 ლარი |
| ქალაქის მერია | – 800 ლარი |
| **იმერეთის მხარე** | |
| **სამტრედია** | |
| სალოკომოტივო დეპო | – 4000 ლარი |
| რკინიგზის სამმართველო | – 2000 ლარი |
| რკინიგზის № 2 სამშ. სამმართველო | – 5000 ლარი |

### 18 მარტისთვის შეიტანეს

| | |
|---|---|
| **იმერეთის მხარე** | |
| **ქუთაისი** | |
| შპს „ციცინათელა" | – 2106 ლარი |
| ქუთაისის პურის შიმლები საწარმო | – 1592 ლარი |
| შპს „აისი" | – 1220 ლარი |
| შპს „ბალავარი" | – 3000 ლარი |
| **სამცხე-ჯავახეთის მხარე** | |
| **ახალციხე** | |
| ფერსის საკრებულო | – 1240 ლარი |
| სხვილისის საკრებულო | – 700 ლარი |
| **ახალქალაქი** | |
| კარცახის საკრებულო | – 800 ლარი |
| ფირმა „მერკური" | – 5000 ლარი |
| ბორჯომის № 2 ქარხანა | – 20000 ლარი |
| **ქვემო ქართლის მხარე** | |
| **დმანისის რაიონი** | |
| დალარის სახაზინო საწარმო | – 2500 ლარი |
| **ბოლნისი** | |
| შამხუტის სახ. მეურნეობა | – 5600 ლარი |
| კერძო ფერმერთა დახმარების ფონდი | – 3057 ლარი |
| **კახეთის მხარე** | |
| **გურჯაანი** | |
| ფირმა „კოტეხი" | – 50000 ლარი |
| ახაშნის გამგეობა | – 600 ლარი. |

## აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

# ...რ არის მშვიდობა ენგურიდან ფსოუმდე

**...სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში არსებული ...ერატიული და ოფიციალური ინფორმაციით, აფ...ზეთში შექმნილია რთული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კრიმინოგენული ვითარება. სეპარატისტული მთავრობის უუნარობის გამო ...რძელდება ქაოსი და განუკითხაობა. უკიდურესად ...მწვავდა ეროვნებათშორისი ურთიერთობები და ...აპირისპირებები აფხაზურ კლანებს შორის. კატასტროფული მდგომარეობაა ეკონომიკასა და სოფლის ...ეურნეობაში.**

### ...პოლიტიკური ...ვითარება

...აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედებენ შემდეგი პოლიტიკური ...ტიები და საზოგადოებრივი ...ორგანიზაციები:

...საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „აიდგილა..." („ერთობა") შეიქმნა 1989 ...ს. მისი ამჟამინდელი ლიდერია ყოფილი სსრკ მწერალთა კავშირის წევრი, მწერალი გენადი ალამია (აფხაზეთში ...ბრძოლო მოქმედებების პე...იოდში გ. ალამია იყო სეპარატისტთა ხელისუფლების წარმომადგენელი ჩრდილოეთ კავკასიაში და კოორდინაციას ...უწევდა აფხაზეთში დაქირავებულთა ჩამოყვანას). ჩამოყალიბების დღიდან „აიდგილარა" ...სრულებდა და ასრულებს აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიური ცენტრის ფუნქციებს. ...ორედ მისი ძალისხმევითა ...ა მხარდაჭერით მოხდა ვლ. არძინბას ხელისუფლების სათავეში მოსვლა და მისი ავტორიტეტის განმტკიცება. „აიდგილარა" წარმოადგენს აფხაზეთის ყველაზე მასობრივ და ...ლიერ პოლიტიკურ ძალას. ...ის დამადასტურებელია ის, რომ 1996 წლის ნოემბრის არჩევნებში აფხაზეთის პარლამენტში „აიდგილარას" 27 კანდიდატიდან გავიდა 23. ეს ორგანიზაცია მთლიანად იზიარებს და გარკვეულწილად წარმართავს კიდეც ვლ. არძინბას პოლიტიკურ კურსს. აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო „Эхо Абхазии", ტირაჟით 3000 ეგზემპლარი (რედაქტორი – ვიტალი შარია).

**აფხაზეთის კომუნისტური პარტია**, რომლის თავმჯდომარეა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ოლეგ დომენია, სეპარატიზმის იდეოლოგიის აქტიური პროპაგანდისტია. ბოლო პერიოდში კომუნისტური იდეების დისკრედიტაციასთან ერთად აღნიშნული პარტიის ზეგავლენა აფხაზეთში მკვეთრად შემცირდა და ის არ დაუშვეს 1996 წლის აფხაზეთის პარლამენტის არჩევნებში.

აფხაზეთის რუსული თემი **„სლავური სახლი"** ჩამოყალიბდა 1990 წელს. მისი თავმჯდომარეა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ვიქტორ ლოგინოვი. ეს ორგანიზაცია წარმოადგენს რუსეთის რეაქციული მოძრაობის „რუსულ თემთა კონგრესის" („КРО") ფილიალს აფხაზეთში. საომარი მოქმედებების დაწყებამდე და მისი მსვლელობისას აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთში „კაზაკური" მოძრაობის ჩამოყალიბებაში, კაზაკთა დაქირავებასა და მათ აფხაზეთში ჩამოყვანაში.

სომხური კულტურულ-საქველმოქმედო ორგანიზაცია **„კრუნკი"** ჩამოყალიბდა 1990 წელს, მისი თავმჯდომარეა აფხაზეთის პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი ალბერტ ტოპოლიანი. აფხაზეთში კონფლიქტის დაწყებამდე ა. ტოპოლიანის აქტიური მონაწილეობით „კრუნკი" აგროვებდა ადგილობრივ მოსახლეობაში ფულად სახსრებს, რომელიც ხმარდებოდა აფხაზ სეპარატისტთათვის იარაღის შეძენას.

**აფხაზეთის უხუცესთა საბჭო** (თავმჯდომარე – პარლამენტის დეპუტატი პაველ არძინბა). ორგანიზაციას არ გააჩნია პოლიტიკური მიმართულებები, თუმცა საკმაო გავლენით სარგებლობს აფხაზურ მოსახლეობაში.

საზოგადოებრივი გაერთიანება **„აფხაზეთის ინტელიგენცია"**. მისი თავმჯდომარეა მწერალი ჯუმა ახუბა, რომელიც გამოირჩევა თავისი ექსტრემისტული შეხედულებებით. ორგანიზაცია მცირერიცხოვანია, მოქმედებს „აიდგილარასთან" მჭიდრო კავშირში.

**აფხაზეთის სახალხო პარტია.** ჩამოყალიბდა 1992 წელს. მისი თავმჯდომარეა ყოფილი კომკავშირელი და პარტიული ფუნქციონერი ანზორ ლაზბა. პარტია აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას არ ეწევა.

**აფხაზეთის ქალთა კავშირი.** რაიმე გავლენით ან პოლიტიკური აქტივობით არ გამოირჩევა.

**აფხაზეთის მეწარმეთა კავშირი.** ხელმძღვანელი – ბესლან კობახია. მოთხოვნები ძირითადად ეკონომიკური რეფორმების ხასიათისა აქვს.

პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთგვარი სიმრავლის მიუხედავად, მათი დაყოფა სიმბოლურია, რადგან აფხაზეთის მომავალი მოწყობის საკითხში ისინი ერთსულოვანი არიან და იზიარებენ ვლ. არძინბას პოლიტიკურ კურსს, მიმართულს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისკენ. გარკვეული უთანხმოებანი სეპარატისტთა ლიდერებს შორის შეიმჩნევა მხოლოდ „დამოუკიდებელი" აფხაზეთის სამომავლო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში. ბოლო პერიოდში აფხაზთა ხელმძღვანელობაში მომხდარი საკადრო ცვლილებები (კონსტანტინე ოზგანის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა და მისი პოზიციების გაძლიერება) მიუთითებს, რომ აფხაზეთი პრორუსული ორიენტაციიდან თანდათანობით გადადის პროთურქულ-მუსულმანურ ორიენტაციაზე.

არსებული დაპირისპირებებისა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, არძინბას ხელისუფლება ჯერჯერობით მაინც მყარად ფლობს სიტუაციას, რასაც ახერხებს საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი „აგრესიის" შესახებ სისტემატური პროპაგანდით. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რაც აფხაზეთის მოსახლეობას მორჩილებისკენ უბიძგებს, ესაა შიში ქართველი „აგრესორების" მიმართ, აგრეთვე აფხაზეთში გამეფებული პოლიტიკურ-კრიმინალური ტერორი.

იმყოფება რა ფაქტობრივ პოლიტიკურ იზოლაციაში, სეპარატისტთა ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს ბლოკადის გასარღვევად. ამ მიზნით მას დანიშნული ჰყავს თავისი წარმომადგენლები:

რუსეთის ფედერაციაში – იგორ ახბა;

რესპუბლიკა ტატარსტანში – გიორგი სანგულია;

რესპუბლიკა ბაშკირტოსტანში – ვლადიმერ კოვე;

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში – ვიაჩესლავ არძინბა;

დასავლეთ ევროპაში – ვი-

იხ. მე-2 გვ.

## უკანასკნელ საათს

ჰელსინკი. გუშინ ფინეთის პრეზიდენტის მარტი აჰტისაარის რეზიდენცია მიანტიუნიემში მიმდინარეობდა აშშ პრეზიდენტის ბილ კლინტონისა და რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის ბორის ელცინის მოლაპარაკება. პრეზიდენტები განიხილავდნენ აშშ-რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის, ნატო-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულების და სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის საკითხებს.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ მხარეებმა მიიღეს ერთობლივი განცხადება. გვიან ღამით გაიმართა პრესკონფერენცია.

* * *

რომი. ალბანეთში მდგომარეობის ერთგვარი ჩაცხრობის შემდეგ მთავარი საკითხი გახდა პრეზიდენტ სალი ბერიშას გადადგომა, რასაც კატეგორიულად მოითხოვს ოპოზიცია. ამბოხებულებმა, რომლებიც პრაქტიკულად მთელ ტერიტორიას აკონტროლებენ, გუშინ შინაპატიმრობაში აყვანა დაუპირეს პრეზიდენტს, მაგრამ ხსნის კომიტეტის მოთხოვნით, ბოლო მომენტში თავი შეიკავეს ამ აქციისაგან.

* * *

მოსკოვი. რუსეთის პრემიერი ვიქტორ ჩერნომირდინი მოხსენებით წარსდგა სათათბიროს წინაშე. მან დეპუტატებს გააცნო მთავრობის გეგმები ხელფასებისა და პენსიების დავალიანების დაძლევის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, 27 მარტისათვის დანიშნული სრულიად რუსეთის საპროტესტო აქციის მესახვედრად.

გუშინ მოსკოვში მანქანის აფეთქების შედეგად დაიღუპა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, დეპუტატ ფილატოვის თანაშემწე – ანატოლი ფრანცკევიჩი, კრასნოიარსკის დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერი. რამდენიმე კაცი მძიმედ დაშავდა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც კლავენ სათათბიროს დეპუტატთა კრიმინოგენულ თანაშემწეებს, რომლებიც რუს კანონმდებლებს საგანგებოდ აჰყავთ „ჭერის" უზრუნველსაყოფად.



აჩესლავ ჩირიკბა;

ამერიკის შეერთებულ შტატებში — ინალ კაზანი;

თურქეთის რესპუბლიკაში — ვლადიმერ ავიძბა.

დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა 1996 წლის 19 იანვრის სამიტის გადაწყვეტილების მიუხედავად, არძინბას რეჟიმი ახერხებს პირდაპირი კონტაქტების დამყარებას რუსეთის ფედერაციის ცალკეულ სტრუქტურებთან. ამის შედეგად ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, 1996 წლის განმავლობაში მდ. ფსოუს საგუშაგოს გავლით აფხაზეთში ყოველდღიურად შედიოდა 40-50 ტონა ტვირთი, რაც რეგისტრირებულია ამ საგუშაგოს ჟურნალში, ხოლო აფხაზეთიდან ექსპორტმა მარშან შეადგინა 11 მლრდ. რუსული რუბლი.

**გარდა ამისა, გრძელდება სეპარატისტთა ხელმძღვანელობის კონტაქტები რუსეთის რეაქციული პოლიტიკური წრეების, ხელისუფლების, სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლებთან. 1996 წელს მოსკოვსა და სოხუმში გაიმართა შეხვედრები ბაბურინთან, ზატულინთან, აბდულატიპოვთან, ზიუგანოვთან, გენერალ კოლესნიკოვთან და სხვებთან, რომლებიც სეპარატისტებს თანადგომას ალუთქვამენ დამოუკიდებლობის მოპოვებასა და საერთაშორისო აღიარებაში.**

სეპარატისტები აქტიურად იყენებენ აფხაზურ დიასპორებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რათა მათი მეშვეობით მოახდინონ ზეწოლა შესაბამისი სახელმწიფოების მთავრობებზე — მხარი დაუჭირონ აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საქმეს. აფართოებენ ეკონომიკურ, კულტურულ და სპორტულ კავშირებს.

შარშან, 29 აპრილს აფხაზეთში პირველად აღნიშნეს საზეიმოდ მუსულმანური დღესასწაული ყურბანი — „მსხვერპლშეწირვა".

1995 წლიდან გაგრის ზონის სოფელ ცანდრიფშში (ყოფილი განთიადი) მოქმედებს ლიცეუმ-ინტერნატი „ბაშარინ-კოლეჯი". მისი დირექტორია რეჯეპ აჯი.

სეპარატისტთა ძირითადი დასაყრდენი აფხაზების ტერიტორიაზე მოთარეშე კრიმინალური ელემენტებია. თვით სამართალდამცავი ორგანოები და შეიარაღებული ძალები ძირითადად ამ კატეგორიის ადამიანებითაა დაკომპლექტებული, რის გამოც ურეაგირებოდ რჩება ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის უმრავლესობა. სეპარატისტთა მთავრობის დავალებით, გახმაურებულ დანაშაულობებს, რომლებმაც შეიძლება ლაბაბოს სეპარატისტთა ურთიერთობა რუსეთთან ან თურქეთთან, ფარდა ეხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. სწორედ ამით აიხსნება ი. ვორონოვის და 1996 წლის 25 იანვარს თურქეთის ორი მოქალაქის მკვლელობაში ეჭვმიტანილთა ოპერატიული დაკავება.

### საკადრო საკითხები (მთავრობა. პარლამენტი)

**აფხაზეთში ამჟამად გაბატონებულია ვლ. არძინბას, ფაქტობრივად, ერთპიროვნული რეჟიმი, რის გამოც ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნა ძირითადად ხორციელდება სეპარატისტთა ლიდერისადმი პირადი ერთგულების ან ნათესაური კავშირის ნიშნით. ამის გამო ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშნულ პირთა უმრავლესობა წარმოშობით გუდაუთელია. ეს გარკვეულ უთანხმოებას იწვევს ოჩამჩირელ აფხაზებში, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მათი წვლილი გამარჯვებაში გუდაუთელებთან შედარებით უფრო მეტია.**

ამჟამად სეპარატისტულ მთავრობაში არიან:

ვიცე-პრეზიდენტი — ვალერი არშბა;

პრემიერ-მინისტრი — გენადი გაგულია;

ვიცე-პრემიერი — ნური გეზერდავა;

თავდაცვის მინისტრი — ვლადიმერ მიკანბა;

შინაგან საქმეთა მინისტრი — ალმასბეი კჩაჩი;

უშიშროების სამსახურის თავმჯდომარე — ასტამურ ტარბა;

საგარეო საქმეთა მინისტრი — კონსტანტინე ოზგანი;

ეკონომიკის მინისტრი — კონსტანტინე ტუება;

ფინანსთა მინისტრი — ლილი ბგანბა;

იუსტიციის მინისტრი — ფათალ გაბალუა;

სოფლის მეურნეობის მინისტრი — იური აკაბა;

შრომისა და სოც. დაცვის მინისტრი — ნიკოლოზ მისტაკოპულო;

კულტურის მინისტრი — კესუ ხაგბა;

ჯანდაცვის მინისტრი — აპოლონ გურგულია;

განათლების მინისტრი — ბესლან დბარი და სხვა.

აფხაზეთში 1996 წლის 23 ნოემბრის ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტში ძველი შემადგენლობიდან ხელახლა აირჩიეს მხოლოდ 1 კაცი — პარლამენტის სპიკერი სოკრატ ჯინჯოლია.

პარლამენტის წევრთა ეროვნული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

აფხაზები — 24 — 68,6 პროცენტი;

რუსები — 4 — 11,4 პროცენტი;

სომხები — 3 — 8,6 პროცენტი;

ქართველები — 2 — 5,7 პროცენტი;

ბერძნები — 1 — 2,9 პროცენტი;

ყაბარდოელი — 1 — 2,9 პროცენტი.

### სოციალურ-პოლიტიკური ვითარება

აფხაზეთის ეკონომიკა ამჟამად უმძიმეს მდგომარეობაშია. 1997 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შეადგენს 42, 2 მლრდ. რუსულ რუბლს, ხოლო გასავალი — 49,6 მლრდს. ამგვარად, დეფიციტი აღწევს 7,4 მლრდ. რუბლს.

ბიუჯეტის გასავალი შემდეგნაირად ნაწილდება: 17 პროცენტზე მეტი — თავდაცვაზე, 16 პროცენტზე მეტი — სამართალდამცავ ორგანოებზე, 15-15 პროცენტი — განათლებასა და ჯანდაცვაზე.

ქ. სოხუმში ამჟამად საქმიანობს სამი ბანკი: „სოხუმბანკი" (დირექტორი — ზ. აჩბა), „გარანტბანკი" (დირექტორი — დ. ჩალმაზი), „ბამნიხუ-ინვესტი" (დირექტორი — ზ. ადლეიბა).

ამასთან, სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენლები რუსეთის ფინანსთა სამინისტროს გარკვეული წრეების პროტექციით ცდილობენ მიიღონ შეღავათიანი კრედიტი რუსეთის ცენტრალური საგარეო-ეკონომიკური და ნაციონალური ბანკებიდან. აღსანიშნავია, რომ კრედიტების გამოყოფისათვის, როგორც სახელმწიფო, ასევე კომერციული სტრუქტურები მყარ გარანტიებს ითხოვენ. გარანტიის სახით სეპარატისტები სთავაზობენ სასტუმროებს, სანატორიუმებს და დასასვენებელ სახლებს გაგრაში, გუდაუთასა და ბიჭვინთაში.

საგულისხმოა, რომ აფხაზეთის მთავრობის მთავარ ფინანსურ დასაყრდენს რუსეთში წარმოადგენს კომერციული ბანკი „ტიკო" (დირექტორი — ყოფილი სოხუმელი საქმოსანი ტიგრან ცატურიანი). სწორედ ამ ბანკის მეშვეობით წარმოებს ძირითადი გარიგებები აფხაზ და რუს ბიზნესმენებს შორის.

სეპარატისტული მთავრობა კომერციულ საქმიანობაშიც დისკრიმინაციულ პოლიტიკას ახორციელებს. ბიზნესსა და კომერციაში საქმიანობის ნებართვა ეძლევათ მხოლოდ არძინბასა და გაგულიას ახლობლებს, პრივატიზაციის პროცესშიც სწორედ მათ ენიჭებათ უპირატესობა, რაც სხვა აფხაზებისა და არააფხაზური მოსახლეობის აღშფოთებას იწვევს. აფხაზი მოსახლეობა სულ უფრო ხშირად ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში მთავრობა ნაძარცვი კაპიტალით გაიქცევა საზღვარგარეთ, მით უმეტეს ცნობილია, რომ არძინბამ, გაგულიამ და სეპარატისტთა სხვა ლიდერებმა უკვე შეიძინეს უძრავი ქონება კვიპროსზე, მალტასა და კანადაში.

ღრმა ეკონომიკური კრიზისის შედეგად მოსახლეობა, ფაქტობრივად, შიმშილის ზღვარზე იმყოფება. ფულის ნიშნების დეფიციტის გამო, ისედაც უმცირეს ხელფასებსა და პენსიებს მოსახლეობას თვეების განმავლობაში არ აძლევენ. ხელფასების დავალიანება 1997 წლის თებერვლისათვის შეადგენს 5 მლრდ. რუსულ რუბლს, ხოლო პენსიებისა — 2 მლრდს.

საგულისხმოა, რომ პენსიონერები ამჟამად აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის მესამედზე მეტს — 58928 კაცს შეადგენენ. ამავე დროს, მესასყიდი ფასები პროდუქტებსა და ძირითადი მოხმარების საგნებზე იგივეა, რაც რუსეთის ქალაქებში და საგრძნობლად აღემატება საქართველოს სხვა რეგიონებში არსებულ ფასებს. აფხაზეთში პრაქტიკულად არ მუშაობს არცერთი სამრეწველო ობიექტი (1990-91 წლებში აფხაზეთში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ღირებულება საბითუმო ფასებში შეადგენდა 850-900 მილიონ მანეთს). ხე-ტყის, სამშენებლო მასალის, ფერადი და შავი ლითონის ნაკეთობათა ჯართის სახით რეგულარულად გაიდევს შედეგად გაჩანაგებულია ტყის მასივები ბზიფის ხეობაში, სოხუმისა და გულრიფშის რაიონებში, დანგრეული და გაძარცულია მრავალი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტი. არ მიმდინარეობს აღდგენითი და სამშენებლო სამუშაოები. ასევე, მოშლილია ტრანსპორტი, არ მუშაობს აეროპორტი, დატაცებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებები, განადგურებულია სავაგონო მეურნეობა. თუ ომის შემდეგ, აფხაზეთში იყო 100-ზე მეტი ტროლეიბუსი, ამჟამად შემორჩა მხოლოდ 35. ასეთივე მდგომარეობაა ავტობუსების პარკშიც. ომისშემდგომი 235 ერთეულიდან ამჟამად გამართულია 35. ამასთან, მგზავრობის ღირებულება—1400 რუბლიდან (სოხუმი-ახალი ათონი) 7300 რუბლამდე (სოხუმი-ფსოუ). ომის შედეგად დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზების მაკომპლექტებელი მოწყობილობები ჯართადაა გაზიდული საზღვარგარეთ, რის გამოც ენგურჰესიდან სოხუმამდე ხაზების აღდგენას 10 მლრდ. რუსული რუბლი სჭირდება, რაც სეპარატისტებს არ გააჩნიათ და ამამიც რუსეთის ხელისუფლებას სთხოვენ დახმარებას.

კატასტროფის პირამდეა მისული სოფლის მეურნეობა. ვერ სრულდება ჩაის, ციტრუსების, თამბაქოსა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის დამზადების ისედაც დაბალი გეგმიური დავალებები.

აფხაზეთში გაჩანაგებულია სოციალური სფეროს ობიექტები, დანგრეული და გაძარცულია სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები. აფხაზეთის რადიოს 1996 წლის 10 ოქტომბრის მონაცემებით, კონფლიქტამდელი 222 საბავშვო ბაღიდან ამჟამად საქმიანობს მხოლოდ 12, მათ შორის 6 — სოხუმში, 3 — გუდაუთაში, 1 — გაგრაში, 1 — ოჩამჩირეში და 1 — ტყვარჩელში.

დღეისათვის ერთ-ერთ საარსებო და სასიცოცხლო წყაროს აფხაზეთისათვის წარმოადგენს სოხუმის საზღვაო პორტი. ასევე, აფხაზეთი გარკვეულწილად მარაგდება ზუგდიდის რაიონიდან გალის რაიონში გადატანილი საქვები პროდუქტებით. აფხაზეთის ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებს ტყვარჩელში ღია მეთოდით ქვანახშირის მოპოვებაზე. ამ მიზნით გამოყვეს 50000 ამერიკული დოლარი და მიიღეს დადგენილება 1000 ტონა ლითონის ჯართის გასატანად, რათა ამ ოპერაციიდან შემოსული თანხა მოახმარონ აღნიშნული სამუშაოების დაწყებას. სოხუმის პორტში თურქეთის გემების შემოსვლის აკრძალვა, თუ ეს მოხდება, უმძიმეს დარტყმას მიაყენებს სეპარატისტულ ხელისუფლებას.

### კრიმინოგენული ვითარება

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მოსახლეობაში დიდძალი უკონტროლო იარაღის არსებობა, აფხაზებს შორის ტრადიციულად არსებული კლანურ-გვაროვნული პროტექციონიზმი კრიმინოგენული სიტუაციის უკიდურესად გამწვავებას იწვევს. სეპარატისტთა ხელისუფლება, ფაქტობრივად, დამნაშავეთა კლანების მძევალი გახდა და დაკარგა უნარი მართოს და გააკონტროლოს სიტუაცია. ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: 1996 წლის ოქტომბერში არძინბამ გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა გაეცვალოს მოსახლეობას მათ ხელთ არსებული „აკს" ტიპის ავტომატები, ტყვიამფრქვევები და ყუმბარმტყორცნები „სკს" ტიპის კარაბინებზე სათანადო რეგისტრაციით. საგულისხმოა, რომ თუ ადრინდელი, 1994-95 წლის განკარგულებით არძინბა ითხოვდა უკანონო იარაღის ჩაბარებას, რასაც, რასაკვირველია, სეპარატისტთა ხელისუფლებამ თავი ვერ მოაბა, ახლა მოსახლეობას სთავაზობს ამ იარაღის უბრალო გადაცვლას. ხელისუფალთა სრულ უუნარობაზე, შეცვალონ არსებული ვითარება უკეთესობისაკენ, მოწმობს შემდეგი ფაქტიც: 1996 წლის 29 თებერვალს ქ. გალში ე. წ. „უხუცესთა საბჭოს" ინიციატივით მოწვეულ კრებაზე, სეპარატისტთა მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გივი აგრბამ ცინიკურად განაცხადა, რომ გალის რაიონთან შედარებით სხვა რეგიონებში კრიმინოგენული სიტუაცია უარესია, ვინაიდან, თუ გალში აფხაზი კლავს მეგრელს, სხვაგან აფხაზი კლავს აფხაზს. მისივე სიტყვებით, მთავრობას არ გააჩნია საშუალება ებრძოლოს დამნაშავეობას და მოსახლეობამ თვითონვე უნდა მიხედოს საკუთარ უსაფრთხოებას.

ამჟამად აფხაზეთი იქცა ნარკობიზნესის სატრანზიტო გზად (ამის შესახებ მრავალგზის დაწერილა რუსეთის პრესაშიც), გახდა სხვადასხვა ჯურის დამნაშავეთა თავშესაფარი არა მარტო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან, არამედ საქართველოდანაც. მრავალი ძებნილი დამნაშავე თავს აფარებს აფხაზეთის ტერიტორიას. 1995 წლის დეკემბერში აფხაზეთში იმყოფებოდა ყაბარდო-ბალყარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ოპერატიული ჯგუფი, რომელმაც დააკავა 1994 წლიდან მიმალული რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები ანზორ მახოვი და ზაურბი ბარცუკოვი. ისინი იძებნებოდნენ სხვადასხვა სახის მძიმე დანაშაულის, მათ შორის, მკვლელობათა ჩადენისათვის ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში. აფხაზეთის პროკურატურამ ე. წ. მთიელ ხალხთა კონფედერაციისა და აფხაზეთში ომის მოხალისეთა გაერთიანების წარმომადგენელთა ზეწოლის შედეგად, უარი თქვა ყაბარდო-ბალყარეთის სამართალდამცავი ორგანოებისათვის დამნაშავეთა გადაცემაზე იმ მოტივით, რომ მათი გადაცემის საკითხი უნდა გადაწყდეს ფედერალური ორგანოების, ე. წ. რუსეთის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობით.

უმართავმა სიტუაციამ გამოიწვია აფხაზეთის ტერიტორიის დანაწილება გავლენის სფეროებად კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის. ამავე დროს, კრიმინალურ ელემენტთა უმრავლესობა ირიცხება აფხაზეთის შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების შტატში. მაგალითად, დაურ კირთაძე (რომლის დაჯგუფებაც აკონტროლებდა გალის ტერიტორიას) დანიშნული იყო გალის რაიონის სამხედრო კომისრის მოადგილედ, ხოლო მისი ჯგუფის წევრები ირიცხებოდნენ გალის მილიციის თანამშრომლებად.

ბოლო პერიოდში, აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადის შედეგად, გალის რაიონი (საიდანაც აქტიური ვაჭრობა მიმდინარეობს ზუგდიდის რაიონთან) გახდა კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის უთანხმოების მიზეზი, გახშირდა მათ შორის ურთიერთშეტაკება გავლენის სფეროს გადანაწილების მიზნით. ამის ნათელი დასტურია ბოლო დროს გალის რაიონში მომხდარი აფეთქებები და მკვლელობები. 1996 წლის 19 დეკემბერს ქ. გალში მილიციის შენობის წინ აფხაზმა ლევთერ ჩერქეზიამ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა დაურ კირთაძე და მისი ბანდიტური ჯგუფის წევრი ვიტალი ზუხბა. საპასუხოდ კირთაძის დაჯგუფების წარმომადგენლებმა იმ საღამოსვე დაიჭირეს ლ. ჩერქეზია, გადაიყვანეს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ბესლახუბაში და ცოცხლად დაწვეს. ამ ფაქტის გამო, სეპარატისტთა სამართალდამცავ ორგანოებს არავინ პასუხისგებაში არ მიუცია.

ყოველივე ამის შედეგად ხშირია შემთხვევა, როცა კრიმინალური დაჯგუფებები ნაღმავენ მოწინააღმდეგე დაჯგუფებების წევრთა გადაადგილების შესაძლო მარშრუტებს, აწყობენ მათზე ჩასაფრებებს. ბანდიტური გარჩევის მსხვერპლი, არცთუ ისე იშვიათად, ხდებიან მშვიდობიანი მოსახლეები, სამხედრო მოსამსახურეები. მაგალითად, 1996 წლის 5 მარტს, გალის რაიონის სოფ. შეშელეთში განკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა „უაზის" ტიპის ავტომობილი, რის შედეგადაც დაიღუპა ე. წ. „აღმოსავლეთის დაჯგუფების" შტაბის უფროსის მოადგილე, კაპიტანი გივი ლაგვილავა, დაიჭრნენ დაჯგუფების სარდალი, პოლკოვნიკი ვლადიმერ ანუა, სამხედრო მოსამსახურეები მაიორი ავიძბა და კაპიტანი კილასონია.

1996 წლის 8 დეკემბერს გალის რაიონის სოფ. რეფში დაცხრილეს აფხაზი სამხედრო მოსამსახურეების მანქანა, რის შედეგადაც დაიღუპნენ ე. წ. „აღმოსავლეთის დაჯგუფების" შტაბის უფროსი დაურ ამუბა, სარდლის მოადგილე შეიარაღების დარგში ვაჟა ამუბა, მეორე მოტომსროლელი ბატალიონის უფროსის მოადგილე ზაურ გერგია, დაიჭრნენ სარდლის მოადგილე აღმზრდელობით დარგში მაერიკ ამიჩბა და ასეულის მეთაური დიმა გოგოხია.

**აფხაზეთში არსებულ უმძიმეს კრიმინოგენულ ვითარებას მოწმობს შემდეგი ციფრებიც: სეპარატისტთა შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 1995 წელს ჩადენილია 740 მკვლელობა (სავარაუდოა, რომ მათ მიერ აღრიცხულია მხოლოდ არაქართველთა მკვლელობის ფაქტები), ამავე პერიოდში რეგისტრირებულია 1200-ზე მეტი მძიმე სახის სისხლის სამართლის დანაშაული, რომელთა ნახევარზე მეტი გაუხსნელია. დანაშაულის 73 პროცენტზე მეტი, მათივე მონაცემებით, ჩადენილია სეპარატისტთა სამხედრო მოსამსახურეების მიერ. აფხაზეთში დღეისათვის არსებული ერთადერთი დრანდის ციხე გადატენილია პატიმრებით. ამჟამად იქ სასჯელს იხდის 600-ზე მეტი დამნაშავე, რომელთა 90 პროცენტზე მეტს აფხაზი ეროვნების დამნაშავეები შეადგენენ.**

1996 წელს აფხაზეთში არსებული კრიმინალური ვითარების წარმოსადგენად, გარდა ზემოაღნიშნულისა, საკმარისია ჩამოვთვალოთ შემდეგი ფაქტები:

1996 წლის 25 იანვარს, დაახლოებით 18 საათზე, ქ. სოხუმის ცენტრში, მშვიდობის გამზირზე, ალხაზ შალვას ძე ქვებამ, ზეფიკ მიხეილის ძე ტარბამ და ენვერ მოლოფტინსკის ძე ტანიამ ავტომატური იარაღით დახოცეს კაფე „ნარტის" მფლობელი, თურქეთის მოქალაქეები ძმები ხეჯმი და ჯემი კუჯბები, ასევე ადგილობრივი აფხაზები ანზორ ქვითანავა, ბორის ჩალმაზი და ვანია ავიძბა, დაიჭრა რამდენიმე გამვლელი.

1996 წლის 24 თებერვალს გუდაუთის რაიონში გაძარცვეს ფსოუ-სოხუმის რეისის ავტობუსის მგზავრები.

1996 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში ქ. სოხუმის ცენტრში, დაახლოებით 17 საათზე, მოხდა ბანდიტური თავდასხმა ბანკის შენობაზე. გაიტაცეს 68 მილიონ 300 ათასი რუსული რუბლი (დანაშაული გაუხსნელია).

1996 წლის 17 მაისს 19 საათზე ქ. სოხუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს წინ შეკრებილ თანამშრომლებს ბოტანიკური ბაღიდან ესროლეს ყუმბარა, რის შედეგადაც დაიღუპა მილიციის ზემდეგი ალექსანდრე კოკისკერია, დაიჭრა ლეიტენანტი ალიკ ბიგვავა, კაპიტანი რაულ აგუმაა და უმცროსი ლეიტენანტი ჯონი უბირია.

1996 წლის 11 სექტემბერს ბანდიტებთან შეჯახების დროს დაიღუპა გუდაუთის მილიციის უფროსი, მაიორი ლორიკ მოთას ძე მარღანია.

1997 წლის 24 იანვარს ქ. სოხუმის ცენტრში, დღისით, აფეთქებით მოკლეს ახლადარჩეული პარლამენტის დეპუტატი, სახელმწიფო კომპანია „აფხაზავტობის" გენერალური დირექტორი, ერთ-ერთი გავლენიანი აფხაზი ბიზნესმენი ანატოლი კაკუბავა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა, რომლის არსებობის და ძალაუფლების ძირითად დასაყრდენს კრიმინალური სტრუქტურები წარმოადგენს, გარეშე ძალების ჩაურევლად ვერ შესძლებს მართლწესრიგის აღდგენას და უახლოეს მომავალში კრიმინალური სიტუაციის რამდენადმე გაუმჯობესებას.

# არ არის მშვიდობა ენგურიდან ფსოუმდე

### ვითარება უსაფრთხოების ზონაში

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 12-კილომეტრიან უსაფრთხოების ზონაში, რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის მიუხედავად, სისტემატური ხასიათი აქვს ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის ეთნიკური ნიშნის მიხედვით აბუჩად აგდებას და მათზე ძალადობას. გალის რაიონული მილიცია, რომელიც თითქმის მთლიანად დაკომპლექტებულია ყოფილი აფხაზი „ბოევიკებით", მოსახლეობის დაცვის ნაცვლად, აქტიურად ახორციელებს ადგილობრივი ქართველების დევნისა და დაშინების პოლიტიკას. ხშირად გალის მილიციის მიერ ჩატარებულ სადამსჯელო აქციებში, მონაწილეობენ რსძ-ის წარმომადგენლები ჯავშანტექნიკით.

მაგალითად, 1996 წლის 13 სექტემბერს, დილის 9 საათზე, გალის რაიონის სოფ. ზემო ბარღებში რსძ-ს ორი ჯავშანტრანსპორტიორის თანხლებით შევიდა გალის მილიციის 17-კაციანი ჯგუფი. ჩატარებული ოპერაციის შედეგად მძევლად აიყვანეს ადგილობრივი მცხოვრებლები ველა ჭანია და ბადრი გაბისონია, ხოლო მეზობელი სოფ. ფიჩორის მცხოვრები კოჩა ნაყოფია სახლშივე დახვრიტეს. აღსანიშნავია, რომ აფხაზებმა კ. ნაყოფიას გვამის გარშემო გამართეს მუსულმანური რიტუალური ცეკვა.

ანალოგიური აქცია რსძ-ს დახმარებით გალის მილიციამ მოაწყო წლეულს, 21 იანვარს სოფ. გაგიდაში, სადაც მძევლად აიყვანეს 6 მამაკაცი, ადგილობრივი მცხოვრები დაშმირ გეგეჭკორი კი მძიმედ დაჭრეს ავტომატური იარაღით.

გალის მილიციის თანამშრომლების მიერ, ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტები გამოირჩევა არაადამიანური სისასტიკითა და არნახული ცინიზმით.

1995 წლის 30 ივლისს, ყოვლად უმიზეზოდ, მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს გალის რაიონის სოფ. დუმურუშის მცხოვრები 37 წლის მურმან წულაია და სასტიკად აწამეს გალის მილიციის იზოლატორში. მხოლოდ 3 აგვისტოს, გაეროსა და რსძ-ს წარმომადგენლების ჩარევის შედეგად, მოხერხდა მ. წულაიას ზუგდიდის საავადმყოფოში გადმოყვანა. დათვალიერებისას აღმოჩნდა სხეულის მძიმე დაზიანებები, სისხლჩაქცევები, ღია ჭრილობები, გარდა ამისა, თავზე ახდილი ჰქონდა სკალპი.

1996 წლის 9 დეკემბერს გალის რაიონის სოფ. რეფში მილიციის თანამშრომლებმა დახვრიტეს არახამიების ოჯახი: ოჯახის უფროსი ომარი მაქსიმეს ძე არახამია, მისი 20 და 22 წლის ქალიშვილები ნანა და ლალი, ხოლო 21 წლის ვაჟი მალხაზი—მძიმედ დაჭრეს.

**მხოლოდ 1995 წლის განმავლობაში უსაფრთხოების ზონაში მოკლულია 60-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე, დაფიქსირებულია გაუპატიურების, შეურაცხყოფის, ყაჩაღური თავდასხმების ათობით ფაქტი.**

აღნიშნულის გარდა, 12-კილომეტრიან უსაფრთხოების ზონაში გრძელდება აფხაზურ კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის ურთიერთშეტაკება გავლენის სფეროს დაყოფის მიზნით. ამის ნათელი დასტურია, ბოლო პერიოდში, გალის რაიონში მომხდარი აფეთქებები და მკვლელობები.

ყოველივე ამის შედეგად ხშირია შემთხვევა, როცა კრიმინალური დაჯგუფებები ნაღმავენ მოწინააღმდეგე დაჯგუფებების წევრთა გადაადგილების შესაძლო მარშრუტებს, უსაფრდებიან მათ. ბანდიტური გარჩევის მსხვერპლი, არც თუ ისე იშვიათად, ხდება მშვიდობიანი მოსახლეობა. ა. წ. 3 იანვარს, გალის რაიონის სოფ. თაგილონში, ნაღმზე აფეთქდა გალი-ზუგდიდის მარშრუტის ავტობუსი. დაიღუპა 1, ხოლო 3 კაცი მძიმედ დაიჭრა.

გალის რაიონის ტერიტორია დანაღმულია აფხაზეთის ე. წ. თავდაცვის სამინისტროს მიერაც. ჯერ კიდევ 1996 წლის პირველ ნახევარში აფხაზებმა დანაღმეს მდინარე ენგურის დასავლეთი სანაპირო, მდინარეზე გადასასვლელი ფონების გასწვრივ, აგრეთვე ქართველ პარტიზანთა შესაძლო გადაადგილებების მარშრუტები რაიონის ტყიან და მთაგორიან ადგილებში. ასევე დანაღმულია ეროსწყლის არხის დასავლეთ სანაპირო (უშიშროების ზონის საზღვრის გასწვრივ).

მდინარე ენგურის აღმოსავლეთით, უსაფრთხოების ზონაში სტაბილური, კონტროლებადი ვითარებაა. შეთანხმებათა მოთხოვნები სრულიად დაცულია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ რსძ-ს მიერ ჩადენილ დანაშაულებებს).

აღსანიშნავია, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები ვერ უზრუნველყოფენ მათზე მანდატით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებას და მათ შორის უმთავრეს — გალის რაიონში დაბრუნებულ ლტოლვილთა უსაფრთხოებას. ბოლო 2 წლის განმავლობაში ქართულ-აფხაზური შეთანხმებების საფუძველზე გაეროს ეგიდით გალის რაიონში დაბრუნდა სულ 255 კაცი, რომელთა უმრავლესობაც, უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო იძულებული გახდა კვლავ გადმოსულიყო საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. რუსეთის სამშვიდობო ძალები არათუ ვერ უზრუნველყოფენ გალის რაიონის ქართული მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვას, არამედ, პირიქით, როგორც ზემოთ ითქვა, ხშირად მონაწილეობენ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ სადამსჯელო ოპერაციებში. საგულისხმოა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებში პრაქტიკულად მოშლილია დისციპლინა, რის გამოც მათსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ხდება კონფლიქტები. ა. წ. 2 იანვარს ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხში რსძ-ს მთვრალმა სამხედრო მოსამსახურეებმა ბაზალმა, სამბატოვმა და ზაქარაძემ საკუთარ საცხოვრებელ სახლში შეურაცხყოფა მიაყენეს გიორგი ზურაბიანსა და მისი ოჯახის წევრებს. ხმაურზე მისულმა რუხის საგზაო პოლიციის საგუშაგოს თანამშრომლებმა აიძულეს სამხედრო მოსამსახურეები გასცლოდნენ ზურაბიანის ოჯახს. რუსმა სამხედროებმა შურისძიების მიზნით ფეხზე დააყენეს რსძ-ს სოფ. რუხის საგუშაგოს მთელი შემადგენლობა, მიუვარდნენ ზურაბიანის ოჯახს და დაუცხრილეს სახლ-კარი, ავტომანქანა, ასევე დაცხრილეს საგზაო პოლიციის საგუშაგოც.

სერიოზულად დაძაბა ვითარება უსაფრთხოების ზონაში ბოლო დროს მომხდარმა დივერსიულმა და ტერორისტულმა აქტებმა, რომელთა შედეგად დაიღუპნენ რსძ-ს მოსამსახურეები.

.1997 წლის თებერვლიდან დაიწყო ქ. ოჩამჩირეში დისლოცირებული რუსეთის სასაზღვრო ბრიგადის კუთვნილი გემთსარემონტო ქარხნის დემონტაჟი და მოწყობილობა-დანადგარების ქ. ნოვოროსიისკში გადატანა, სანაოსნო საშუალებები (სასაზღვრო კატარღები) კი გადაიყვანეს დაღესტნის ქ. კასპიისკში, რათა არ დაუშვან ჩეჩნეთსა და აზერბაიჯანს შორის კონტაქტები დაღესტნის ტერიტორიის გამოყენებით. ამ ფაქტმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სეპარატისტთა ხელისუფლებაში. მათ გააკეთეს რამდენიმე საპროტესტო განცხადება, სადაც აფხაზები რუსეთის ხელმძღვანელობას ადანაშაულებენ, რომ ისინი ხელს უწყობენ საქართველოს მთავრობას, რომელიც თითქოსდა ოჩამჩირესა და გალში საზღვაო დესანტის ... სხმას აპირებს. აფხაზურ... რემ წამოაყენა მოთხოვნ... ბაზა გადაეცეს აფხაზეთ... თვინილებაში, აგრეთვე ... დოს მათ მიერ დახარჯულ ... ელექტროენერგიის საფასური ... რუბლის ოდენობით.

### დასკვნები

აფხაზეთის სეპარატისტუ... ჟიმმა ჩაიდინა დანაშაუ... მიანურობის წინააღმდეგ ... დანაშაულში ჩაითრია ... აფხაზების უმრავლესობა, ... არააფხაზი (ძირითადად ...რი) მოსახლეობის ნაწ... ნაშაული ჩადენილია გარ... აქციური ძალების წაქეზ... დახმარებით, ეროვნულ-გან... ვისუფლებელი მოძრაობ... გოგიური ლოზუნგებითა ... ოლოგიით. ამის შედეგად ... საზოგადოების სრული კრ... ლიზაცია და დეგრადაცია. ... რატისტულ ლოზუნგებს აყ... მოსახლეობის აბსოლუტურ... რაველესობა იმედგაცრუე... დარჩა „გამარჯვების" შედე...

იმედგაცრუებული და მ... ებული მოსახლეობის მხ... ანტირეჟიმული გამოსვლ... ვიდან ასაცილებლად, მა... საშინებლად სეპარატისტ... მთავრობამ სრული თავის... ბა მისცა კრიმინალურ დ... ფებებს, რომლებმაც ქართ... ქონების განიავების შემდ... ლი მიჰყვეს არაქართველ... სახლეობის და თვით აფხაზ... ძარცვას. შედეგად წარმ... დაპირისპირება ეთნიკურ ... ფებსა და კლანებს შორის...

მიმდინარეობს გეგმაზომ... ანტიქართული კამპანია, ... ხლეობის ანტიქართული ... მავება მათი ლტოლვილ... დში დაპირისპირების მიზნ... სალოდნელი „ქართულ... სიის" საშიშროების გაზვ... ბით, მმართველი რეჟიმი ... ლობს ყოველდღიურ დაძა... ბაში იყოლიოს მოსახლეობ... მოაშოროს მათი ყურადღე... ძიმეს სოციალურ-ეკონომ... და კრიმინოგენულ ვითარ...

ადამიანურობის წინააღ... ჩადენილ დანაშაულში მოსახ... ობის ფართო ფენების ჩათრ... სეპარატისტული რეჟიმი სა... რი ხალხის მძევლად აქცია ... სახლეობის მრავალწლიანმ... ტიქართულმა დამუშავებამ ... ვალალო შედეგი გამოიღ...

**სეპარატისტულ რეჟ... ქართულ მხარესთან კ... სტრუქციული დიალო... შესაძლებლობა არ გა... ნია. აფხაზეთში დღეს ... სებული ფსიქოლოგიუ... ვითარებიდან გამომდი... რე, ნებისმიერი ხელისუ... ლი, რომელიც საქართ... ლოსთან მოლაპარაკებშ... კომპრომისს დაუშვებს ... განწირულია.**

რუსეთის სამშვიდობო ძალ... და სასაზღვრო ჯარების წარ... მადგენლები, ხელმძღვანელ... მხრიდან სრული უკონტროლ... ჯარებში არსებული მძიმე ... ნომიკური მდგომარეობით ... გებლობენ და აფხაზეთში მო... კრიმინალურ დაჯგუფებთან ... დრო კონტაქტში ეწევიან სპ... ლაციურ, კონტრაბანდულ და ... სახის დანაშაულებრივ საქმი... ბას. „სამშვიდობო მისია" ამ... ტეგორიის სამხედრო მოსამს... რეთათვის და მათი უშუალო ... ლმძღვანელობისათვის შემ... ვლის ძირითად წყაროდ იქცა ... დან გამომდინარე, აღნიშნულ... მნუსით" დაკავებული სამშვიდ... ძალების ხელმძღვანელობა ... ხლხორცეულად დაინტერესებ... არსებული ვითარების რაც ... ძლება დიდი ხნით შენარჩუნ...

ამჟამად აფხაზეთში არსებ... ვითარება — „არც ომი, არც ... ვიდობა", ხელს უწყობს სეპა... ტისტთა ხელისუფლებას. ერ... მხრივ, ეს ვითარება უადგილ... მოსახლეობის მართვას, ხოლ... მეორეს მხრივ, უტოვებს მ... ილუზორულ იმედებს, რომ ... მავალში აფხაზეთი შესძლ... ეკონომიკური და პოლიტიკუ... სტაბილიზაციის მიღწევას (ა... აზი ლიდერები ხშირად საუბ... ბენ ტაივანის მოდელზე).

აქედან გამომდინარე, სეპა... ტისტთა ხელისუფლება კვლავ ... აგრძელებს ქართულ-აფხაზური ... ლაპარაკებების გაჭიანურების ... ლიტიკას. მეგობარი ქვეყნებ... რიდან ზეწოლის პირობებში ... ხაზური მხარე იძულებული ... დება მოუხმოს გონიერებას ... აღიაროს ის ჭეშმარიტება, რ... საქართველოს მთლიანობა ა...

**შოთა კვირა...**
საქართველოს სახელმწი...
უშიშროების მინისტ...

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

# რა აწუხებს თავსაფრიან ქალს?

ლა ოჯახი განიცდის. ეს არის დაბალი ხელფასები, დაბალი პენსია, ენერგეტიკული სიძნელეები და სხვა მრავალი.

საქართველოს პრეზიდენტმა გაიხსენა ის, რომ, როცა პურის პროდუქტების სისტემის რესტრუქტურიზაცია დაიწყო, როგორ მუშაობდნენ ორი-სამი თვის განმავლობაში, ეძებდნენ რეზერვს, რესურსს იმისათვის, რომ ეს პროცესი მოსახლეობისათვის ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო.

— ჩვენ მაშინ შევაწუხეთ სავალუტო ფონდი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, მივიღეთ სათანადო მხარდაჭერაც, გარკვეული კომპენსაციის გარანტიებიც შევქმენით. ხორბლის შემოტანა გავათავისუფლეთ საბაჟო გადასახადისაგან. გამოიძებნა საშუალებები, რომ მოსახლეობისათვის ნაკლებად ტკივილიანი ყოფილიყო ეს პროცესი, ლაპარაკია მოსახლეობის იმ უმრავლესობაზე, რომელიც სოციალურად დაუცველია.

იმ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც გვაფინანსებენ, კატეგორიულად მოგვთხოვეს, გადაგვეხედა ტარიფებისთვის ენერგეტიკის დარგში. აქაც ორი-სამი თვის განმავლობაში ვმუშაობდით სავალუტო ფონდთან ერთად. იმისათვის, რომ ესეც ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო მოსახლეობისათვის. ჩვენ ამ კატეგორიის ადამიანებს იმ მოცულობით მოვუმატეთ ხელფასები, რაც უნდა გადაიხადონ ტარიფების მეცვლასთან დაკავშირებით.

მინისტრები, მთავრობის წევრები, უწინარეს ყოვლისა, მოღვაწეები ბრძანდებით და პასუხისმგებელნი ხართ ხალხის წინაშე. პასუხისმგებელია არა მარტო პრეზიდენტი, არამედ თითოეული თქვენგანი.

თქვენ მოღვაწეები ბრძანდებით და ვალდებული ხართ, ყველა ოჯახს ანგარიში გაუწიოთ, ყველა ოჯახამდე მიხვიდეთ. ყველა ოჯახმა უნდა იცოდეს, რატომ ატარებთ ამ ღონისძიებას, არის თუ არა ამის აუცილებლობა. ჩვენ რომ მთავრობის სხდომაზე განგვეხილა ეს საკითხი, მე ვიტყოდი, რომ იქნებ ეტაპობრივად გადავსულიყავით ახალ ტარიფებზე.

წინასწარი ხედვა, პასუხისმგებლობა ბევრ ჩვენგანს აკლია, და ამის ნათელი მაგალითი არის ის, რომ დღეს ჩვენ ამ საკითხს ვიხილავთ.

რა თქმა უნდა, თქვენი ბრძანება გასაუქმებელია, — მიმართა მან ფრიდონ ინჯიას, კარგია, რომ თვითონ გააუქმეთ, მაგრამ პოლიტიკური სიტუაციისათვის ეს უკვე დაგვიანებული ნაბიჯია. თქვენ მივლინებაში იყავით საზღვარგარეთ, იქიდანვე უნდა გამოგეგზავნათ დეპეშა, რომ შეცდი, სერიოზული შეცდომა დავუშვი, პოლიტიკური შეცდომა, ჩათვალეთ, რომ ეს ბრძანება ანულირებულია, მას ძალა არა აქვსო.

საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ პრობლემა სისტემის წინაშე დგას და ქალაქის მერიასთან ერთად, კავშირგაბმულობის სამინისტროს მონაწილეობით, უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი საბჭო, რომელშიც მოსახლეობის ავტორიტეტული წარმომადგენლებიც გაერთიანდებიან და შეიმუშავებენ წინადადებებს სატელეფონო ტარიფებთან დაკავშირებით.

— მე ასე ჩავწერ ჩემს ბრძანებულებაში, რომ ბატონმა ინჯიამ, მიიღო რა კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, დაუშვა სერიოზული შეცდომა, თუ გნებავთ, პოლიტიკური შეცდომა, რასაც შეიძლებოდა სახელმწიფოსთვის, მოსახლეობისთვის მძიმე შედეგები მოჰყოლოდა.

აი, ის კი, რაც თქვენ ბრძანეთ, რომ თავსაფრიანი ქალი ერთ ადგილზეც იყო, მეორეზეც და მესამეზეც, ეს მისი უფლებაა. ჩვენ თუ დემოკრატიული სახელმწიფო ვართ, ხანდახან უნდა ჰკითხოთ კიდეც ასეთ თავსაფრიან ქალს: რა აწუხებს. პასუხის მიღების შემდეგ გერჩიათ, დაგექვალიანებინათ.

შემაჯამებელი სიტყვის დასასრულს, საქართველ... პრეზიდენტმა გააფრთხ... ყველა სამინისტრო, უწყ... რომ გადაწყვეტილებები, რ... მლებიც მოსახლეობის სო... ალურ სფეროს ეხება, უ... მიიღონ მხოლოდ ღრმა შ... სწავლის, ღრმა ანალიზ... და საზოგადოებრივი აზრ... ფორმირების შემდეგ.

მთავრობის გუშინდელმა ს... დომამ იმსჯელა სხვა მნ... ნელოვან საკითხებზეც. რ... მლის თაობაზე ჩვენი გაზ... შემდეგ ნომერში მოგითხრ...

**რუსუდა...**
**ლორთქიფანი...**
„სრ" სამთავრო...
კორესპონდ...

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბორის ნემცოვის პროგრამა

ბორის ნემცოვმა, ახლადდანიშნულმა „მეორე პირველმა" ვიცეპრემიერმა, განაცხადა, რომ 1996 წელს საცხოვრებელი ბინებისა და კომუნალური მომსახურების სუბსიდიები ქვეყანას დაუჯდა 100 ტრილიონი რუბლი (18 მილიარდი დოლარი, რაც მეტია, ვიდრე მთელი თავდაცვის ბიუჯეტი) და მოუწოდა გაჩაღდეს კონკურენცია მომსახურების სფეროში, შეიქმნას ბინის დამქირავებელთა კოოპერატივები, დაიდგას მრიცხველები. (ყველა ეს იდეა ნაწილია საბინაო მეურნეობის რეფორმირების პროგრამისა, რომელიც რუსეთისთვის შეიმუშავა მსოფლიო ბანკმა). ნემცოვმა აღიარა, რომ ამას რამდენიმე წლიწადი დასჭირდება და ფასების დაუყოვნებლივ გაზრდა პროდუქტიული ვერ იქნება. სახელმწიფომ უნდა დააწესოს ელექტროენერგიისა და რკინიგზის ერთიანი ტარიფი, რათა ჩამოაგდოს მონოპოლისტთა მიერ დადგენილი წამატებული ფასები, ხოლო შემდეგ დააინტერესოს კერძო ფირმები ელექტროენერგიის მიწოდებითა და საფრახტო მომსახურების გაწევით. აგრეთვე დასძინა, რომ არ არის საჭირო „გაზპრომის" რევოლუციური გარდაქმნები, ვინაიდან მისი ფასები გაცილებით ნაკლებია მსოფლიო ფასებთან შედარებით. ნემცოვი საჭიროდ ცნობს პირადი შემოსავლის სავალდებულო დეკლარაციას, დაპატიმრებას ბეგარის გადახდისაგან თავის არიდებისთვის „რწმუნებული" ბანკების მეშვეობით საბიუჯეტო სახსრების „გადაქაჩვის" შეწყვეტას. მისი თქმით, ახლა ქვეყანა არჩევანის წინაშე დგას. გასულ წელს ეს იყო არჩევანი საპატიმროსა და ბარაკებს შორის. ახლა კი, ეს არის არჩევანი მაფიოზურ კაპიტალიზმსა და დემოკრატიული საზოგადოების ნორმალურ ბაზარს შორის, სადაც არ იქნება გიგანტური განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

## ვისთვის—დედა, ვისთვის—დედინაცვალი

ამერიკა ყოველთვის იყო შეუზღუდველ შესაძლებლობათა ქვეყანა, ოღონდ – უცხოელებისათვის, წერს გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორის" კორესპონდენტი. შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდა მილიონამდე უცხოელი. ამავე დროს ყოველწლიურად დაახლოებით სამასი ათასი ამერიკელი სამუდამოდ ტოვებს ქვეყანას სხვა, უფრო მშვიდი და უზრუნველყოფილი ცხოვრების საძებნელად. სხვებზე ხშირად მიდიან ემიგრაციაში სტუდენტები, მუშები, მასწავლებლები და მეწარმეები. ამასთან, უმრავლესობა ახალ სამშობლოდ ირჩევს კანადას, იაპონიას, ირლანდიას, ახალ ზელანდიას და რუსეთს. წიგნში „გაქცევა ამერიკიდან" როჯერ გალოუ შეეცადა აეხსნა მიზეზი, თუ რატომ არ სურთ ამერიკელებს დაუკავშირონ თავიანთი ბედი შეერთებულ შტატებს. მათი აზრით, ამერიკელებმა დაკარგეს კონტროლი საკუთარი ცხოვრებისადმი. ახლა ბევრი მათგანისათვის მთავარია, ჰქონდეს რანჩო არგენტინაში და თავის შვილიშვილებს დაახსომოს თავი ფხიან კომერსანტად, რომელმაც ჭკვიანურად დააბანდა კაპიტალი. მაგრამ, როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ყველაზე მეტად აწუხებს ქვეყნიდან „ტვინიანთა წასვლა". ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ ამერიკა ანდამატივით იზიდავდა მსოფლიოს საუკეთესო მეცნიერ-სპეციალისტებს. დღეს ყველაფერი ზუსტად პირიქით ხდება. მიუხედავად ამისა, ანალიტიკოსთა აზრით, ამერიკა ყოველთვის შეძლებს შეავსოს თავისი „ტვინის მარაგი" იმიგრანტების ხარჯზე, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები „აღთქმულ მიწად" მიაჩნით.



ამბოხებულნი სამხრეთ ალბანეთის ქალაქ სარანდის ნავსადგურში.

## ყაზახეთს გაქცევაზე უჭირავს თვალი

ყაზახეთის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარემ განი კასიმოვმა თქვა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას საფრთხე შეექმნა ქვეყანაში უამრავი კონტრაბანდული საქონლის მოზღვავების გამო. მან დაიჩივლა, რომ „არავითარი აზრი არა აქვს შინაური ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, თუკი ყაზახეთის საზღვრები ასეთი დაუცველი იქნება. ყაზახეთს სწადია გავიდეს საბაჟო კავშირიდან, რომელშიც რუსეთთან, ყირგიზეთთან და ბელორუსიასთან ერთად არის გაერთიანებული, თუმცა, ამასთანავე, ალმაათას არ სურს, რომ მას ბრალად დასდონ კავშირის დაშლა.

## სეპარატისტი ეთერში

19 მარტს ვიღაც უცნობმა შეწყვიტა ახალი ამბების საღამოს გამოშვება იტალიის სახელმწიფო ტელეარხ რაი-უნოზე, იუწყება როიტერი. ახალი ამბები გადაიცემოდა ვენეტოს ოლქისათვის, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში. 20 წუთის განმავლობაში უცნობი ორჯერ ჩაერთო გადაცემაში და მოუწოდა ვენეტოს გამოსვლა იტალიის შემადგენლობიდან და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. პოლიცია შეუდგა ამ ინციდენტის გამოძიებას.

## ვითარდება რუსეთ-ერაყის ეკონომიკური ურთიერთობა

ერაყის მთავრობამ რუსეთს მიანიჭა ყველაზე უპირატესი ქვეყნის სტატუსი სასურსათო და სხვა ჰუმანიტარული პროდუქტების სანაცვლოდ ერაყის ნედლი ნავთობის გაყიდვისას. „ნავთობში – სურსათის" გაეროსეული შეთანხმების პირობების შესაბამისად ერაყს შეუძლია ყოველ ექვს თვეში ერთხელ გაყიდოს 2 მილიარდი დოლარის ნავთობი. რუსეთის კომპანიებს განზრახული აქვთ ერაყს მიჰყიდონ დაახლოებით 100 000 ტონა ხორბალი, 50 000 ტონა შაქარი, აგრეთვე ელექტროსადგურების მარაგნაწილები.

## „ქვეყნის მმართველთა..."

## „ქვიან, წესიერ ხალხს მთავრობაში არაფერიესაქმება"

გაზეთი „დი ველტი" აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება ბორის ნემცოვის პირველ ვიცე-პრემიერად დანიშვნას. გაზეთის აზრით, რუსეთის მთავრობაში ნემცოვის მისვლა მნიშვნელოვნად გააძლიერებს ხელისუფლების პოზიციებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ნემცოვი ყველა სხვა დანარჩენი უმაღლესი რუსი ჩინოვნიკისაგან განსხვავებით, არის ადამიანი, რომელმაც საქმით დაამტკიცა თავისი უნარი, ატარებდეს რეფორმებს და იღებდეს პროფესიულად სწორ გადაწყვეტილებებს. გაზეთი, მიუხედავად ამისა, გამოთქვამს ვარაუდს, რომ თავისი საქმიანი თვისებების წყალობით ბორის ნემცოვი დიდხანს ვერ გაძლებს მთავრობაში: სულ მალე მას გადააყენებენ, როგორც თავის დროზე უყევს გენერალ ლებედს. გადაყენების მიზეზი, გაზეთის აზრით, იქნება სწორედ ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნატორის დადებითი თვისებები, რომლებიც ვერანაირად ვერ ესატყვისება მთავრობის მოხელეთა ცხოვრების წესს და ხელმძღვანელობის სტილს. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნავს გაზეთი, ამ ბოლო დრომდე მთავრობაში ჭკვიან და წესიერ ხალხს დიდხანს არ აჩერებდნენ.

## სიკვდილით დასჯა გრძელდება

ყირგიზეთის გაზეთმა „ვეჩერნი ბიშკეკმა" გამოაქვეყნა მონაცემები 1996 წელს შუა აზიის ხუთ რესპუბლიკაში აღსრულებული სიკვდილის განაჩენების შესახებ. ყირგიზეთში, კერძოდ, სიკვდილით დასაჯეს 41 კაცი და შეიწყალეს ერთი. ყირგიზეთი ერთადერთი სახელმწიფოა შუა აზიაში, სადაც არ არის სიკვდილით დასჯა ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის; ქვეყანაში აგრეთვე განზრახული აქვთ 16-დან 5-მდე შეამცირონ იმ დანაშაულობათა კატეგორია, რომლებისთვისაც სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული. ყაზახეთში სიკვდილით დაისაჯა 42 კაცი, ხოლო იმ დანაშაულობათა რიცხვი, რომლებისთვისაც დამნაშავეებს შეიძლება მიესაჯოთ უმაღლესი ღონისძიება, 17-დან 6-მდე შემცირდა. თურქმენეთში მხოლოდ დაახლოებით შეიძლება მეფასდეს აღსრულებული სიკვდილის განაჩენების რაოდენობა, მაგრამ სტატიაში ნათქვამია, რომ ეს ციფრი 400-ს აღწევს. უზბეკეთს ასევე არ გამოუქვეყნებია ოფიციალური მონაცემები, მაგრამ გამოაცხადა, რომ „სიკვდილით დასჯა გამოიყენება მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებებისათვის". ტაჯიკეთში ოფიციალურად არის დახვრეტილი 20 კაცი, მაგრამ „ვეჩერნი ბიშკეკის" აზრით, ეს მონაცემები ამკარად შემცირებულია.

## „... მაინც მეყვარება ჩემი კუზიანი"

ისეთი ცნებები, როგორიც არის „დასავლური მენტალიტეტი" და „ემანსიპაცია", გამოგონილია, იუწყება ეპ სააგენტო. უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების თანახმად, გერმანელთა 70 პროცენტზე მეტს საშიჯნურო პარტნიორად ყველას ურჩევნია საკუთარი მეუღლე. ოჯახურ წრეში შვილების აღზრდას ამჯობინებს გერმანიის მცხოვრებთა 90 პროცენტი. ეს ციფრები, აღნიშნავს სააგენტო, სულაც არ ჩამორჩება იმ მაჩვენებლებს, რომლებიც არსებობდა მანამ, სანამ მოსახლეობის ნაწილს მასობრივად გაიტაცებდა ემანსიპაცია და თავისუფალი სიყვარულის თეორია, რომელიც პირწმინდად უარყოფდა ჩვეულ და დამკვიდრებულ ოჯახურ ტრადიციებს და ქადაგებდა ქალის სრულ დამოუკიდებლობას მამაკაცისაგან. წლების მანძილზე, ხაზს უსვამს სააგენტო, ყველა ეს თეორია ცივილიზებული დასავლური სახელმწიფოების მიღწევად და კულტურულ ადამიანთა ქცევის ერთადერთ შესაძლო ნიმუშად ითვლებოდა. მაგრამ, როგორც დრომ გვიჩვენა, ყოველივე ეს მიქარვა გამოდგა და მოქალაქეთა უმრავლესობა ოჯახური ურთიერთობის ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა, დასძენს სააგენტო.

## დე, აქაც იყოს ჩემი სახელი...

ელვის პრესლის ქვრივმა პრისცილამ წინა კვირაში წააგო სასამართლო პროცესი ლონდონელი სუვენირების გამყიდველის წინააღმდეგ, ბელგიის გაზეთ „გრენც ეხოს" ინფორმაციით, პრისცილა ცდილობდა სუვენირების სავაჭრო მფლობელისათვის გადაეხდევინებინა მნიშვნელოვანი თანხა იმის გამო, რომ სუვენირებში სიტყვა „ელვისი" იყო გამოყენებული. პრისცილას აზრით, რომელიც მომღერლის გარდაცვალების შემდეგ სათავეში უდგას „ელვის პრესლი ენტერპრაიზესის" კორპორაციას და აქვს მისი ნაწარმოებების საავტორო უფლებები, ქმრის სახელის გამოყენება მასთან უნდა შეეთანხმებინათ, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებით გამყიდველი გაამართლეს და ნება დართეს კვლავაც ივაჭროს ამ სუვენირებით. მოსამართლემ ცნო, რომ საავტორო უფლება ვერ გავრცელდება ადამიანის სახელზე და მისი გამოყენების უფლება არ შეიძლება ეკუთვნოდეს ერთადერთ ადამიანს.

## ჩეხეთი: გააფრთხილეს რუსეთის ელჩი

ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იოზეფ ზილენიჩმა გამოუძახა რუსეთის ელჩს ნიკოლოზ რიაბოვს და უთხრა, რომ მისმა უკანასკნელმა განცხადებებმა „სერიოზული ვნება მოუტანეს ჩეხეთ-რუსეთის ურთიერთობას". საქმე ის არის, რომ რუსეთის პრაღელმა ელჩმა НТВ ტელევიზიით გამოსვლისას 16 მარტს განაცხადა: ჩეხეთის რესპუბლიკის ნატოში შესვლამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას რუსეთ-ჩეხეთის ურთიერთობას, ვინაიდან რუსეთმა შეიძლება გადასინჯოს ჩეხეთის რესპუბლიკასთან ხელმოწერილი ეკონომიკური შეთანხმებანი, მათ შორის, გაზისა და ატომურ ელსადგურებში გამომუშავებული ელექტროენერგიის მიწოდების შესახებ. რიაბოვის თქმით, მისი განცხადებანი არასწორად იქნა განმარტებული.

## პრაღა ნორვეგიის გაზს მიიღებს

ნორვეგიის მეფე ჰარალდი და დედოფალი სონია სამდღიან სახელმწიფო ვიზიტად იმყოფებოდნენ ჩეხეთში. მეფესთან შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა განაცხადა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკა დაიწყებს ბუნებრივი გაზის შესყიდვას ნორვეგიაში. ჰაველის თქმით, ჰარალდ მეფის ვიზიტი ხელს შეუწყობს ნორვეგიიდან გაზის მიწოდების მოლაპარაკების დაჩქარებას. მან დასძინა, რომ ნორვეგიასთან შეთანხმების დადება დააჩქარა რუსეთის ელჩის ამასწინანდელმა მუქარამ, რომ რუსეთი შეუწყვეტდა ჩეხეთს გაზის მიწოდებას. შეგახსენებთ, რომ ჩეხეთის რესპუბლიკა მთლიანად არის დამოკიდებული რუსეთზე ბუნებრივი გაზის მიწოდების მხრივ.



## აიძულებენ ოპოზიციასთან დიალოგს

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლაუს კინკელმა სერბეთის ოპოზიციის ლიდერს ვუკ დრაშკოვიჩს აცნობა, რომ სერბეთის ხელისუფლებამ არ უნდა დააბრკოლონ ოპოზიციის კონტროლს დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციების თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა, თუკი ნამდვილად სურთ ხელახლა შევიდნენ ეუთოში. მან დასძინა, რომ ხელისუფლებმა აგრეთვე უნდა დაიწყონ „კონსტრუქციული დიალოგი" ოპოზიციასთან. ამასობაში, ოპოზიციის მეორე ლიდერმა ვესნა პესიჩმა ვენაში გამოსვლისას განაცხადა, რომ ბოიკოტს გაუწევენ პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებს, თუ ოპოზიციას მთავრობის თანასწორი პირობები არ მიენიჭა. როგორც მან თქვა, ოპოზიცია ილტვის არა მარტო თავისუფალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, არამედ აგრეთვე ისეთი სპეციალური საარჩევნო კომისიის შექმნისათვის, რომელიც თვალს გაადევნებს იმას, რომ არჩევნები ნამდვილად თავისუფალი და სამართლიანი იყოს.

## ყურანს – სწორი გეზი

თურქეთის მთავრობამ განკარგულება გასცა, დაიხუროს ყურანის შემსწავლელი მთელი არაოფიციალური კურსები, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. მათგან პირველი სამი დაიხურა ქვეყნის დედაქალაქ ანკარაში. თურქეთის ისლამისტური მთავრობა იძულებული გახდა, ასეთი ნაბიჯი გადაედგა ეგრეთ წოდებული ეროვნული უშიშროების საბჭოს გავლენით, რომელშიც შედის თურქეთის არმიის ხუთი უმაღლესი გენერალი, აგრეთვე პრეზიდენტი სულეიმან დემირელი. სამხედროები ყურანის შემსწავლელ უკანონოდ მოქმედ კურსებს აფასებენ როგორც რადიკალური ისლამისტური მოძრაობების გავრცელების საფრთხეს. მათი რიცხვი უცნობია. შეგახსენებთ, რომ არმია მუსლიმანურ თურქეთში საერთო სახელმწიფოს შენარჩუნების გარანტს წარმოადგენს.

## „რაინიშე პოსტის" აზრით

„რაინიშე პოსტი" აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება რუსეთისა და შეერთებული შტატების პრეზიდენტების უმაღლესი დონის მოლაპარაკებას. გაზეთის აზრით, ბილ კლინტონს მოლაპარაკების დროს უნდა გამოეჩინა შემწყნარებლობა ბორის ელცინის შეურიგებელი პოზიციის მიმართ. ამის აუცილებლობას გაზეთი იმით ხსნის, რომ დღესდღეობით ელცინი ვერაფერს დაუთმობს ამერიკას ვერც ნატოს გაფართოების და ვერც სხვა დანარჩენ საკითხებში, იმიტომ, რომ რუსეთში გამოუვალი მდგომარეობაა. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელმძღვანელობამ დაამტკიცა ქვეყნის მართვის სრული უუნარობა და პრაქტიკულად გააკოტრა მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყანა, საგარეო პოლიტიკა დარჩა ერთადერთ მიმართულებად, რომელშიც ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული. თუ ამ დარგშიც დამტკიცდა, რომ რუსეთის აზრს არავინ არ უწევს ანგარიშს, ამან შეიძლება პრეზიდენტსა და მთელ ქვეყანას ყველაზე ტრაგიკული შედეგები მოუტანოს. ამრიგად, აღნიშნავს გაზეთი, ელცინს უბრალოდ არ ჰქონდა შესაძლებლობა, რაიმე დაეთმო ამერიკის პრეზიდენტისათვის, ანდა უბრალოდ დათანხმებოდა მას რაღაც საკითხის გადაწყვეტაში.

## რუსეთი აკრიტიკებს გერმანიას დეზერტირების, ხოლო აშშ-ს — ბელორუსიის გამო

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ვლადიმერ ანდრეევმა დაგმო ბონის გადაწყვეტილება, თავშესაფარი მიეცა საბჭოთა არმიის დეზერტირებისათვის. ამ გადაწყვეტილებით, თქვა ანდრეევმა, გერმანიამ ცნო პასუხისმგებლობა მათი არჩევანისათვის, არ დაბრუნდნენ სამშობლოში. რუსეთმა მოითხოვა ამ ჯარისკაცების გადაცემა იმ მოტივით, რომ ბევრ მათგანს დანაშაულობანი აქვს ჩადენილი. ანდრეევმა აგრეთვე მცდარი უწოდა ამერიკის პოლიტიკას ბელორუსიის მიმართ და თქვა, რომ მოსკოვი „გაოცებულია ინტეგრაციის გზაზე რუსეთ-ბელორუსიის ძალისხმევის კრიტიკით".

## მარტორქის ნიღბით



ეს სამხრეთაფრიკელი ველოსიპედისტი, რომელიც თეთრ მარტორქად არის გამოწყობილი (აღნიშნული სახეობა გადაშენების პირასაა მისული), მონაწილეობდა 106-კილომეტრიან ველოგადარბენაში კეიპის ნახევარკუნძულის ირგვლივ, საფრა-ს სამხრეთში. 27 ათასმა მოყვარულმა ველოსიპედისტმა გადარბენა მიუძღვნა აფრიკის ბუნების დაცვას.

## იოდი – რადიაციის წინააღმდეგ

საფრანგეთის მთავრობას განზრახული აქვს იოდშემცველი აბები დაურიგოს ატომური ელექტროსადგურების მახლობლად მცხოვრებ ადამიანებს, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. ხელისუფალთა გაანგარიშებით, ასეთ ადამიანთა რიცხვი 600 ათასს შეადგენს. როგორც ცნობილია, იოდი არის ერთადერთი საშუალება, რომელიც ადამიანს დაიცავს რადიაციის ზემოქმედებისაგან. აბი დაზარალებულებმა უნდა მიიღონ ინციდენტიდან ერთი საათის განმავლობაში. სააგენტო აღნიშნავს, რომ შარშან ხელისუფლებმა უკვე დაურიგეს მოსახლეობას აბები. საფრანგეთს აქვს 25 ატომური ელექტროსადგური, რომლებიც ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერგიის 77 პროცენტს გამოიმუშავებენ. ექსპერტთა შეფასებით, ისინი სრულიად უსაფრთხოა, მაგრამ ზოგჯერ ამ ელსადგურებში ხდება საკმაოდ უსიამო ინციდენტები, მაგალითად, 1995 წელს გრენობლის ატომურ ელექტროსადგურში მოხდა გაჟონვა ორთქლგენერატორიდან. ამის შედეგად ორი თვით გამოირთო მსოფლიოს ერთ-ერთი უმძლავრესი ბირთვული რეაქტორი.

## როგორც ამტკიცებენ...

რადიო „თავისუფლება": ახალი რუსეთის მშენებლობა ხანგრძლივი პროცესია და ქვეყანა ახლა მის დასაწყისში იმყოფება. პრეზიდენტმა ელცინმა უნდა დასახოს რეალური ამოცანები და იმუშაოს მათ გადასაწყვეტად. თუკი იგი შეძლებს მოახდინოს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება, გადააქციოს რუსეთი უფრო კანონმორჩილ სახელმწიფოდ, თუკი მას ეყოფა სიმტკიცე და მოთმინება საგადასახადო სისტემის რეფორმის გასახორციელებლად, მაშინ ყოველივე დანარჩენი თავისუფლად შეუძლია დაუტოვოს მემკვიდრეს.

გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი": ბორის ელცინმა დასავლელი ინვესტორებისა და საერთაშორისო ეკონომიკური სააგენტოების გამო დაიმსახურა, როდესაც ჩუბაისი დანიშნა რუსეთის ეკონომიკური რეფორმების მხსნელის როლზე. მიზნის მისაღწევად შემართული ჩუბაისი არის სწორედ იმ ტიპის ახალი რუსი ფუნქციონერი, რომელთანაც ლაღად გრძნობენ თავს უცხოელი დიპლომატები და ბიზნესმენები, მაგრამ მარტოოდენ ეს ფაქტი ვერ გახდის მას თითქმის წარმოუდგენელი ამოცანის გადაწყვეტის საუკეთესო კანდიდატად. პრემიერის ახალი პირველი მოადგილე უმრახად არის პარლამენტთან. ეკონომიკის მკურნალობა კი სათათბიროსთან თანამშრომლობას მოითხოვს.

## ნაგავი „კოსმიური პრობლემაა"

გაზეთი „მაინპოსტი" აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება საერთაშორისო კოსმოსური პროგრამების შემდგომი განხორციელების პრობლემებს. გაზეთის ინფორმაციით, ამ დღეებში გერმანიის ქალაქ დარმშტადტში მიმდინარე საერთაშორისო კონგრესზე მეცნიერებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ კოსმოსური კვლევის შემდგომი განხორციელება უნდა შეჩერდეს. უამრავი ნაგავი, რომელიც დედამიწისირგვლივ ორბიტაზე დაგროვდა, საფრთხეს უქმნის კოსმონავტებს, მიაჩნიათ მეცნიერებს. გაზეთის მონაცემებით, ამჟამად ღია კოსმოსში დაქრის კოსმოსური ხომალდების, მოქმედი სადგურების დაძველებული დეტალებისა და კვანძების რვა ათასზე მეტი ნამსხვრევი. მეცნიერებმა დაასახელეს ფაქტები, რომელთა თანახმად, ხომალდების ნამთები მნიშვნელოვან ზიანს აყენებდნენ ორბიტაზე მომუშავე კოსმონავტებსა და კოსმოსურ სადგურებს. გაზეთი აგრეთვე გამოთქვამს აზრს, რომ კოსმოსური ნაგვის პრობლემის გადაჭრა კვლევის შეწყვეტის გზით ჯერჯერობით ყველაზე რეალურია. ნაგვის პრობლემა დედამიწაზეც კი არ არის გადაწყვეტილი და კოსმოსურ სივრცეზე რაღა გვეთქმის, დასძენს „მაინპოსტი".

## მწეველ მშობლებს უკბილო შვილები ჰყავთ

ბავშვებმა, რომელთა მშობლები აქტიური მწეველები არიან, შეიძლება დაკარგონ სალეჭი კბილები, წერს იაპონური გაზეთი „დეილი იომიური". სამხრეთაფრიკელ მეცნიერთა კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ მწეველი მშობლების 7-დან 10 წლამდე ასაკის შვილთა 35 პროცენტს აწუხებს სალეჭი კბილების მენელებული ზრდა, მაგრამ კბილების პრობლემები ამით როდი შემოიფარგლება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კბილი დროზე ამოვიდა, მასზე მინანქარი ძალზე თხელია და კბილი მალე ფუჭდება. ერთადერთი ხერხი, თავიდან აიცილო შვილს კბილების ჩამოცვენა, – ეს ის არის, რომ არ მოსწიო მისი თანდასწრებით, წერს გაზეთი. ეს განსაკუთრებით ეხებათ მამებს, სპეციალისტთა აზრით, მწეველ დედას გაცილებით ნაკლები ვნება მოაქვს თავისი შვილისათვის, ვინაიდან იგი მამაზე ორჯერ ნაკლებს და თან შედარებით რბილ სიგარეტს ეწევა.



მტრედები

## რუსლან ალიჰაჯიევი – ჩეჩენთა სპიკერი

ჩეჩნეთის პარლამენტმა სპიკერად აირჩია საველე მეთაური რუსლან ალიჰაჯიევი, ჩეჩნეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი. იგი დაახასიათეს, როგორც უმაღლესი ეკონომიკური განათლების მქონე წესიერი ადამიანი. პრეზიდენტმა მასხადოვმა დეპუტატებს მოუწოდა შეიმუშაონ და მიიღონ საჭირო კანონმდებლობა. თერგის კაზაკთა არმიის ლიდერმა მასხადოვს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვს შეხვდეს ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციის სტაბილიზაციის და ტერორიზმისაგან ეთნიკური რუსების დაცვის საკითხთა განსახილველად. რაც შეეხება ტერორისტული აქციების მოწყობის გეგმებს, ისინი ჩამოართვეს საველე მეთაურის სალმან რადუევის რაზმში შემავალ ბოევიკთა ჯგუფს, რომლებიც ჩეჩნეთის საზღვარზე დააკავეს.

## ყადაღა 30 წლით

ბარონესა მარგარეტ ტეტჩერმა გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს თავისი არქივი გადასცეს სერ უინსტონ ჩერჩილის სახელობის კემბრიჯის კოლეჯს, წერს ბრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი". როგორც ცნობილია, ჩერჩილის სახელობის კოლეჯი წარმოადგენს მეოცე საუკუნის დიდი ადამიანების თავისებურ მუზეუმს, სადაც მათი პირადი ჩანაწერები და დღიურები ინახება. დიდი ბრიტანეთის ექს-პრემიერის არქივის შენახვის უფლებას ერთმანეთს ეცილებოდა ამერიკის ბევრი უნივერსიტეტი, აღნიშნავს გაზეთი. მიუხედავად ამისა, მარგარეტ ტეტჩერმა ამჯობინა თავისი დოკუმენტები გადაეცა კემბრიჯისათვის და ამით ფასდაუდებელი წვლილი შეეტანა ქვეყნის ისტორიის განვითარებაში. მისი თქმით, მუზეუმისათვის გადაცემული მასალების საფუძველზე სტუდენტები შეძლებენ გაერკვნენ „დიდ ცვლილებებში", რომლებიც ტეტჩერის მმართველობის პერიოდზე მოდის. მიუხედავად ამისა, სტატიის ავტორი ეჭვობს, რომ ვინმემ შეძლოს უახლოეს მომავალში გაეცნოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის არქივს. არსებობს კანონი, რომელიც კრძალავს გასაიდუმლოებულ დოკუმენტებზე ყადაღის ახსნას ოცდაათი წლის განმავლობაში, და საეჭვოა, რომ ინგლისელებმა შეიტყონ სიმართლე ფოლკლენდის კუნძულების გამო მიმდინარე ომის, ანდა 1984 წლის მემახტეთა გაფიცვის შესახებ.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას" და „პლანეტა–ფორტეს" მასალების მიხედვით.

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

საქართველოს რესპუბლიკა

№66. შაბათი, 22 მარტი, 1997 წელი.

ჩოგბურთი

# დევისის თასის მასპინძლობა იოლი როდია



შარშან თურქეთში საქართველოს ჩოგბურთელებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს დევისის თასის გათამაშებაში. ევრო-აფრიკული ზონის III ჯგუფში ქართველმა სპორტსმენებმა ყველა მატჩი მოიგეს და II ჯგუფში გადაინაცვლეს. აქ მათთან ერთად კიდევ 15 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძვიან I ლიგაში გადასასვლელი ორი საგზურის მოსაპოვებლად. წილისყრის შემდეგ, გათამაშების მონაწილენი ასე დაწყვილდნენ:

„ა" ჯგუფი: ნორვეგია – ნიგერია, საქართველო – სლოვენია, ეგვიპტე – პორტუგალია, იუგოსლავია – ლიტვა.

„ბ" ჯგუფი: ლატვია – კოტ დივუარი, განა – პოლონეთი, ირლანდია – ბელორუსია, საბერძნეთი – ფინეთი.

სპეციალისტებს „ა" ჯგუფში ფავორიტად ნორვეგია მიაჩნიათ, „ბ" ჯგუფში კი გამარჯვების რეალურ კანდიდატად კოტ დივუარის გუნდს ასახელებენ.

– საქართველოს ჩოგბურთელები 2-4 მაისს დევისის თასის გათამაშების ევრო-აფრიკული ზონის II ჯგუფში სლოვენიის ნაკრებს უმასპინძლებენ, – გვითხრა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩოგბურთის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ემზარ ზენაიშვილმა. – ამ შეხვედრაში წარმატებას თუ მივაღწევთ, მომდევნო მატჩში ნორვეგია-ნიგერიას მორის გამარჯვებულს შევხვდებით თბილისში, წაგების შემთხვევაში კი ზემოთ აღნიშნულ წყვილში დამარცხებულს ივნისში ვუმასპინძლებთ მეორე ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად. ღმერთმა ნუ ქნას და, ორივე პაექრობაში თუ ხელი მოგვეცარა, გაისად მთავარი პრიზისთვის ბრძოლას კვლავ ევრო-აფრიკული ზონის მე-3 ჯგუფიდან დავიწყებთ.

ჩვენს ქვეჯგუფში უძლიერესნი – ნორვეგიელები – შარშან პირველ ლიგაში გამოდიოდნენ, კიევში დავესწარი მათ შეხვედრას უკრაინის ნაკრებთან. მაშინ მასპინძლებმა მედვედევის წყალობით იოტისოდენი შანსიც არ დაუტოვეს მეტოქეს – გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით – 4:1 და სტუმრები საფეხურით ჩამოაქვეითეს. წაგების მიუხედავად, ნორვეგიელებმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. გამოცდილი გუნდია, თუმცა არც ისე ძლიერი, რომ მისი დამარცხება არ შეგვეძლოს. რაც შეეხება ჩვენს პირველ უშუალო მეტოქეს – სლოვენიის ეროვნულ ნაკრებს, არც ის არის ხელწამოსაკრავი კოლექტივი. ვფიქრობ, თანაბარი ძალისანი ვართ და წარმატებაზეც შეიძლება ფიქრი.

— **კი მაგრამ, მატჩი სად გაიმართება? ჩვენ ხომ ერთი ხეირიანი კორტიც არა გვაქვს.**

– სამწუხაროდ, საქართველოს დღეს ვერც ერთი ბაზა ვერ უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც დევისის თასის გათამაშების რეგლამენტი ითვალისწინებს.

— **ამან ხომ არ განაპირობა მატჩის სპორტის სასახლეში გამართვის იდეა?**

– მასპინძელ ქვეყანას უფლება აქვს, კორტის საფარის ნებისმიერი სახე აირჩიოს – იქნება ეს ხელოვნური საფარი, ბალახი თუ გრუნტი. ამიტომაც ორთაბრძოლის სპორტის სასახლეში გამართვის ვარიანტიც განვიხილეთ, მაგრამ დარბაზში მისი ჩატარების ფინანსური და ტექნიკური მხარე ჩვენთვის ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა, უნდა შეგვეძინა ხელოვნური საფარი, ანუ ეგრეთ წოდებული საჩოგბურთო ხალიჩა, რომელიც ათეულ ათასობით დოლარი ღირს. რადგანაც თბილისში არ არის არც ერთი სპეციალიზებული სპორტული ბაზა, სადაც ამ ხალიჩას შემდგომში გამოვიყენებთ, ამიტომ მისი ყიდვა მიზანშეუწონლად ვცანით. არჩევანი ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის ბაზაზე შევაჩერეთ. მისი საკომუნიკაციო საშუალებები, გასახდელები, სველი წერტილები და მომსახურების დონე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნებს შეესაბამება, თუმცა, წესრიგშია მოსაყვანი სათამაშო კორტი, მოსაწყობია ტაბლო, უნდა შეკეთდეს დასავლეთი ტრიბუნა, ხოლო აღმოსავლეთით, მეორე კორტის ადგილზე ასაწყობი კონსტრუქციებით ათასკაციანი ტრიბუნა გაკეთდება. ასე რომ, დევისის თასზე გამართულ მატჩებს თბილისში 1500-1700 კაცი დაესწრება.

— **ცხადია, ყოველივე ეს სოლიდურ თანხას მოითხოვს. ვინ გაიღებს ხარჯებს?**

– თბილისში მატჩების გამართვა შესაძლებელი გახდა სახელმწიფო სტრუქტურის – სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის – ჩოგბურთის ფედერაციის და კერძო სტრუქტურის – ჩოგბურთის აკადემიის საერთო ძალისხმევით, რომ არა მათი ინტერესებისა და მიზნების თანხვედრა ქართული სპორტის საკეთილდღეოდ, შეიძლება, დევისის თასის გათამაშებისთვის ვერც გვემასპინძლა. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ შექმნილია მატჩის ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტი ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის მერაბ ადეიშვილის ხელმძღვანელობით.

— **სპონსორებს არ გამოუთქვამთ შეხიდების სურვილი?**

– ჯერჯერობით სპონსორობის ინსტიტუტი ჩვენთან იმ კლასიკური მოდელით ვერ მუშაობს, როგორც ეს ევროპაშია მიღებული. თანაც, დევისის თასის გათამაშების რეგლამენტი სპონსორობის განსხვავებულ მექანიზმს ითვალისწინებს. კერძოდ, კორტის გარშემო და ტრიბუნებზე სავალდებულოა თასის გათამაშების საერთაშორისო სპონსორების – „ბოსის", „ოპელის", „ნეკის", „კოკა-კოლას", „პაინეკენის" და სხვათა სარეკლამო დაფების განთავსება. ადგილობრივი სპონსორებისთვის მხოლოდ ორი ადგილი გვაქვს გამოყოფილი. მათს ვინაობას მოგვიანებით გამოვაცხადებთ, რადგან ახლა მათთან მხოლოდ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ.

— **თავად ჩვენი გუნდის მზადყოფნაზე რას იტყვით?**

– სლოვენიის ნაკრებთან სათამაშოდ ოთხი ჩოგბურთელი – ვლადიმერ გაბრიჩიძე, დავით კაჭარავა, ირაკლი ლაბაძე და ვლადიმერ მარგალიტაძე – ემზადება. მწვრთნელთა აზრით, ერთეულთა თანრიგში ლაბაძისა და მარგალიტაძის გამოსვლაა ნავარაუდევი, ხოლო წყვილებში გაბრიჩიძე – კაჭარავას დუეტი იასპარეზებს. თუმცა, არ არის გამორიცხული ცვლილებებიც.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ჩოგბურთელთა დასახული გეგმით მომზადება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. დაგეგმილი გვქონდა, დეკემბერ-იანვარში ინდოეთისა და ისრაელის საერთაშორისო ტურნირებზე გვეასპარეზა. უსახსრობის გამო ბიჭები ამ შეჯიბრებებზე ვერ გავამგზავრეთ. ობიექტური მიზეზებით თბილისშიაც ვერ მოხერხდა სრულფასოვანი საწვრთნელი შეკრების ჩატარება. ამჟამად გუნდის წევრები სატელიტურ ტურნირებში მონაწილეობენ საბერძნეთსა და ეგვიპტეში. შეეცდებიან, მაქსიმალურად გამოიყენონ იქაური პირობები სავარჯიშოდ და სათამაშო პრაქტიკაც მიიღონ. აპრილიდან საწვრთნელ შეკრებას თბილისში გაივლიან. მართალია, სლოვენიელებთან შეხვედრამდე ალბათ ძნელი იქნება მზადების ციკლში დანაკლისის ანაზღაურება, მაგრამ გამარჯვების იმედს მაინც არ ვკარგავთ, რადგან ჩვენს ბიჭებს თავიანთი ოსტატობით, სპორტული შემართებითა და, განსაკუთრებით, გამარჯვებისკენ დაუოკებელი ლტოლვით არაერთხელ გამოუჩენიათ თავი.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**

ჭადრაკი

# ყაიმი 128-ე სვლაზე

ჭემპიონატი მოჭადრაკეს არ უყვარს „დიდოსტატური ყაიმი", ესე იგი, ათიოდ სვლაში დაზავება. ასეთი აღმოჩნდა ბაადურ ჯობავაც, საქართველოს ვაჟთა 57-ე ჩემპიონატის ყველაზე უმცროსი მონაწილე. გალიდან ლტოლვილი, 13 წლის ბაადური, ამჟამად მშობლებთან ერთად ხარკოვში ცხოვრობს.

– ჭადრაკს 6 წლიდან ვთამაშობ. ჩემი ბაბუა ვარლამ ჯობავა აფხაზეთში ცნობილი მოჭადრაკე იყო. მეც ძალიან მიყვარს ჭადრაკი. თბილისში მარტო ჩამოვედი. ბიძასთან ვარ და ტურნირებში ვმონაწილეობ. ახლა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატშიც დამიშვეს, რისთვისაც დიდი მადლობა ჭადრაკის ფედერაციას, – გვითხრა ბაადურმა.

უთუოდ ნიჭიერმა ყმაწვილმა პირველ ორ ტურში პარტიები ყაიმით დაამთავრა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შეხვედრა საერთაშორისო ოსტატ ნატო ეძგვერაძესთან. ბაადურმა აჯობა ახალგაზრდა ოსტატს, პოზიციურ თამაშში, მოგების რეალური შანსიც მიიღო, მაგრამ ცაიტნოტის აჩქარებულ თამაშში ვერ შეამჩნია მეტოქის მიერ დაგებული გონებამახვილური მახე და ყაიმი გარდუვალი გახდა. ეს პარტია ექვს საათს გრძელდებოდა, მეტოქეებმა 128 სვლა გააკეთეს, რაც არა მარტო ამ ტურნირის, საერთოდაც რეკორდული სვლათა რაოდენობაა!

მეორე ტურში არ გაუმართლა დიდოსტატებს. ბუხუტი გურგენიძე დამარცხდა ცნობილ ოსტატთან და მწვრთნელთან იური ჩიქოვანთან, რომელსაც ამას წინათ დაბადების 60 წელი მივულოცეთ. მაია ლომინეიშვილი დაუზავდა ვარლამ ვეფხვიშვილს უმძაფრესი შეხლა-შემოხლის დასასრულს.

უკომპრომისო თამაშით გამოირჩეოდნენ გიორგი ყაჭეიშვილი – ინგა ხურცილავას და დავით ლობჟანიძე – ნათია ჯანჯღავას შეხვედრები, რომლებიც აგრეთვე ყაიმით დამთავრდა.

ზედიზედ მეორე პარტია წააგო ირანელმა ოსტატმა ხოსრო კახაიმ. ამჯერად მას ერევნელმა ალექსანდრე არზუმანოვმა მოუგო. ასევე წარმატებით თამაშობენ სომეხი მოჭადრაკეები ვარდან გრიგორიანი და არტურ ჩიბუხჩიანი. ამ უკანასკნელმა საერთაშორისო ოსტატ სოფიო ნიკოლაძესთან ურთულეს ჭიდილში ყაიმს მიაღწია.

გუშინ გაიმართა მესამე ტურის შეხვედრები, რის შემდეგ ლიდერობენ: ალექსანდრე მაკარაშვილი – 3 ქულა, გიორგი ბალათუროვი, რომან სიჭინავა, მაია ლომინეიშვილი, იური დგებუაძე, დავით ლობჟანიძე, დავით შენგელია, ალექსანდრე ყაშაშვილი, გიორგი ყაჭეიშვილი, ჯამბულ მახარაძე, ვარდან გრიგორიანი (ერევანი) – 2,5-2,5 ქულა.

დღეს გაიმართება მე-4 ტური.

**თენგიზ გიორგაძე,**
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი.



# იწვევს ნაპოლეონის სასახლე

როგორც ფრანგული გაზეთები იტყობინებიან, საფრანგეთის ქალაქ კომპენის მუნიციპალიტეტმა გამოთქვა სურვილი, გახდეს მსოფლიო პირველობაზე გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩის ორგანიზატორი. ფიქრობენ, რომ საპრიზო ფონდი იქნება 15 მილიონი ფრანკი (დაახლოებით 3 მილიონი დოლარი). მატჩში თვრამეტი პარტია უნდა გაიმართოს და 21 ოქტომბერს უნდა დაიწყოს.

ქალაქი კომპენი პარიზიდან ჩრდილოეთით 50 კილომეტრზე მდებარეობს და ცნობილია იმით, რომ 200 წლის წინათ საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ ბონაპარტმა თავის რეზიდენციად აირჩია. მატჩის ორგანიზატორებს განზრახული აქვთ, რომ „ორი კ"-ს ორთაბრძოლა სწორედ ნაპოლეონის სასახლეში მოაწყონ.

სავსებით შესაძლებელია, ფრანგების ამ განაცხადს რომ შეიტყობენ, ესპანეთის ლას-პალმასელი ორგანიზატორები „ჯიბეზე ხელს გაიკრავენ" და უფრო დიდ საპრიზო ფონდს დააწესებენ, რათა ეს „საუკუნის მატჩი" ხელში ჩაიგდონ.

# ბრწყინვალე შემადგენლობა

წლეულს ზაფხულში მეოთხედ ტარდება სუპერტურნირი, რომელსაც „ბატონი დიდი ნოვგოროდი" ჰქვია. 6 დიდოსტატი ორ წრედ ხვდება ერთმანეთს.

წლევანდელ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს: მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა, ვლადიმირ კრამნიკმა, ევგენი ბარეევმა (სამივე – რუსეთი), ვესელინ ტოპალოვმა (ბულგარეთი), ბორის გელფანდმა (ბელორუსია) და ნაიჯელ შორტმა (ინგლისი).

სპორტული ფედერაციები – მოქმედებაში

# არჩევანი სპორტსმენის პრეროგატივაა

ცენტრალურ საწყლოსნო სპორტულ კომპლექს „ვერეში" საქართველოს საწყლოსნო სახეობათა სპორტის ფედერაციის პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე დღის წესრიგის მიხედვით დაამტკიცეს ფედერაციის სამუშაო გეგმა და 1997 წლის სპორტული კალენდარი, მოისმინეს სტამბულსა და თეირანში ორ საერთაშორისო ტურნირში საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობის შედეგები, აგრეთვე ერთი მეტად დამაფიქრებელი და მნიშვნელოვანი საკითხი – რუსეთის ფედერაციის ეროვნულ (ოლიმპიურ) გუნდში წყალბურთელ რევაზ ჩომახი[illegible]ვევა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის მიერ.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პრეზიდიუმის წევრები განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდნენ მაღალი დონის სპორტსმენის, იტალიის პრესტიჟული კლუბის „ფლორენციის" წამყვანი ქართველი მოთამაშის, 23 წლის რევაზ ჩომახიძის სამომავლო სპორტულ ცხოვრებას. ითქვა, რომ იგი სრულიად თავისუფალია თავის არჩევანში და მისი გადაწყვეტილება უდავოდ კანონზომიერი იქნება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირადად ჩომახიძე ფედერაციას არ დალაპარაკებია, ამის შესახებ საქართველოში რუსეთის ეროვნული გუნდის ხელმძღვანელებისაგან შეიტყვეს.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნული ნაკრების მომავალ ოლიმპიადაზე ფინალში მონაწილეობას, პრეზიდიუმის წევრებმა და ყოფილმა წამყვანმა წყალბურთელებმა სათუოდ მიიჩნიეს ბევრი რეალური მიზეზის გამო: დაფინანსების, აუზების ექსპლოატაციისა და საქართველოს ნაკრების დღევანდელი მომზადების დონის მიხედვით.

– საქართველოს გუნდი ოლიმპიადაზე ჩემპიონიც რომ გახდეს, სპორტსმენს ვერ აუკრძალავ და ვერც უსაყვედურებ, ჩვენთან რატომ არ ითამაშეო, – თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ გოიაშვილმა. – არჩევანი მისი პრეროგატივაა. საქართველოს კონსტიტუციის გარკვეული მუხლების იურიდიული დაცვით ჩომახიძეს უფლება ეძლევა ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეობა მიიღოს.

ახლა ეს საკითხი „დინამოს" კლუბში, სადაც ჩომახიძე ირიცხებოდა, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში და ოლიმპიურ კომიტეტშია გადასაწყვეტი.

საქართველოს საწყლოსნო სპორტის ფედერაციის დღევანდელი მატერიალურ-ტექნიკურ-ფინანსური ბაზა (საქართველოში დღეს 140-ზე მეტი აუზია, მაგრამ ამჟამად 3 მუშაობს) იმ დონეზეა, როგორც 1953 წელს ანუ 44 წლის წინათ. ფედერაციის ოთხ სპორტულ სახეს – ცურვას, წყალბურთს, სინქრონულ ცურვას, წყალში ხტომას და ამასთანავე კლუბ თბილისის „დინამოს" საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი 50 ათასი ლარის ოდენობით აფინანსებს. მოსკოვში კი, როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, მარტო „დინამოს" წლიური დაფინანსება 300 ათასი დოლარის ფარგლებშია...

...როცა სხდომაზე 1997 წლის სპორტულ კალენდარს ამტკიცებდნენ, კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა შეამცირა ფედერაციის მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა, რამაც შეცვალა და დააგვიანა კალენდრის შედგენა. ამიტომ განსაკუთრებული მადლობა გამოუცხადეს მას „ივერია-ენსი"-ის გენერალურ დირექტორს გოჩა ენუქიძესა და მის მოადგილეს ბატონ ზაზა ქათამაძეს სტამბულში საერთაშორისო ტურნირში ჭაბუკთა გუნდისთვის იმ თანხის გაღებასა და დაფინანსებისათვის, რომელიც დასჭირდათ ტრანსპორტის, კვების, სანაყო გადასახადებისათვის და ა. შ.

ამ საერთო სურათიდან გამომდინარე, ფედერაცია გულისტკივილს გამოთქვამს, მაგრამ მაინც არაა წინააღმდეგი ჩომახიძემ რუსეთში ითამაშოს. საერთოდ კი, საკითხავია, როდის დაუღდება დრო ევროპის სხვადასხვა კლუბებში მყოფ ხუთ ქართველ წყალბურთელს, სამშობლოში რომ იასპარეზოს?

სპორტი, ქვეყნის ეს ერთ-ერთი ბერკეტი, ყველას საზრუნავად იქცა და რახან დრომ მოიტანა, ეგებ შეძლებისდაგვარად მეტი მამულიშვილობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდონ ბიზნესმენ-მეცენატები ნამდვილ პატრიოტულ საქმეს და დასაბამიდან მეომარ-სპორტულ ქვეყანას – საქართველოს თანამედროვე გაუსაძლის პირობებში ტრადიცია შეუნარჩუნონ.

**ია კალანდარიშვილი**

ფეხბურთი



# ყიფიანს მოეწონა ალანიელი ქართველები

*რუსული გაზეთი „სპორტ-ექსპრესი" წერს, რომ ფეხბურთში რუსეთის 1997 წლის ჩემპიონატის პირველ ტურში „ალანიასა" და „კამაზის" მატჩს ვლადიკავკაზში ესწრებოდა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი. რასაკვირველია, პირველ რიგში იგი იქ იმ მიზნით ჩავიდა, რომ ენახა „ალანიის" შემადგენლობაში ქართველი ფეხბურთელების თამაში (კახი ცხადაძე, ლევან კობიაშვილი, გიორგი გახოკიძე, მურთაზ შელია).*

ეს მატჩი ვლადიკავკაზელებმა მოიგეს დიდი ანგარიშით – 5:0. თავიდან გუნდში თამაშობდნენ კობიაშვილი და ცხადაძე. 76-ე წუთზე ტრავმირებული ცხადაძე შეცვალა შელიამ. 56-ე წუთიდან კი ჯიოევის ნაცვლად მინდორზე გახოკიძე გამოვიდა.

თამაშის შემდეგ დავით ყიფიანმა უპასუხა „სპორტ-ექსპრესის" კორესპონდენტის კითხვებს:

— **მოგეწონათ თამაში?**

– დიახ, „ალანიამ" ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

— **მისი ლეგიონერები, საქართველოს ნაკრებში რომ გამოდიან?**

– აგრეთვე, მომეწონა კობიაშვილი, თამაშში ურიგოდ როდი ჩაერთო გახოკიძე, მეორე ტაიმში შეცვლაზე რომ გამოვიდა. კარგად მოქმედებდა ცხადაძე და, ღმერთმა ქნას, ამ მატჩში ტრავმა რომ მიიღო, სერიოზული არ აღმოჩნდეს; ვიმედოვნებ, ძალიან მალე მთელი ძალით თამაშს შეძლებს შელიაც.

— **რას იტყვით ჯიშკარიანზე, „კამაზში" რომ გამოდის?**

– მისთვის ძნელი იყო თავის გამოჩენა. „კამაზის" მწვრთნელმა ბენიამინას შელკიავიჩიუსმა მითხრა, რომ სეზონის წინა შეკრებაზე ჯიშკარიანი ურიგოდ არ გამოიყურებოდა.

სხვათა შორის, შეხვედრის შემდეგ ექსპერტებმა ასე შეაფასეს ქართველი ლეგიონერების თამაში; კობიაშვილი – 7 ქულა – კარგად ხედავს მინდორს, ბრწყინვალედ იყენებს სტანდარტულ მდგომარეობას. ცხადაძე – 6,5 – კონტროლზე ჰყავს „მეორე სართული", გახოკიძე – 6,5 – ურიგოდ არ ჩართულა თამაშში მეორე ტაიმში. შელია – 6,5 – ცოტა ითამაშა, მაგრამ – უშეცდომოდ.

და ბოლოს, როგორც გაზეთები წერენ, მატჩის დღეს თითქმის მთელი ქალაქი დაცლილი იყო, 38-ათასიანმა სტადიონმა 42 ათასი გულშემატკივარი დაიტია.

სურათზე: „ალანია" ზეიმობს გამარჯვებას.

# გერმანელების საინტერესო წინადადება

ევროპის მომდევნო, 2000 წლის საფეხბურთო პირველობა, როგორც ცნობილია, საკმაოდ ორიგინალურად, ერთდროულად ორ ქვეყანაში, ბელგიასა და პოლანდიაში ტარდება.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის საფეხბურთო კავშირმა უეფას ასეთი წინადადებით მიმართა: 7-8 შესარჩევი ჯგუფის ნაცვლად უმჯობესია ჩამოყალიბდეს თოთხმეტი (თითოეულში 3-4 ნაკრებით), რომლებშიც გამარჯვებულები პირდაპირ ფინალში გავლენ. ამით აშკარად შემცირდება ნაკლებად საინტერესო მატჩების რაოდენობა, მოთამაშეებს შეეძლებათ, მეტი ყურადღება დაუთმონ სხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებებს.

ამ 14 ნაკრებს, რომლებიც ფინალში გავლენ, ავტომატურად დაემატებიან ბელგიისა და პოლანდიის გუნდები, როგორც შეჯიბრების მასპინძლები.

# ევრო – ტურნირებზე

*დასრულდა ფეხბურთელთა ევროპის საკლუბო ტურნირების მეოთხედფინალური ეტაპი. ტრადიციისამებრ, სამდღიანი ვნებათაღელვა თასების მფლობელთა თასისთვის მებრძოლებმა დააგვირგვინეს.*

„ლივერპული" — „ბრანი" 3:0 (1:1).

ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ინგლისელები ორი კვირის წინათ სტუმრად მიღწეული „ზავის" შემდეგ შინ პრობლემებს წააწყდებოდნენ.

მართლაც, რობი ფაულერისა (2) და სტენ კოლიმორის გოლებმა ლოგიკური შედეგი დააფიქსირა.

„ფიორენტინა" — „ბენფიკა" 0:1 (2:0).

პორტუგალიელებმა უიმედო სიტუაციაში ვაჟკაცურად იბრძოლეს და ფლორენციაში გაიმარჯვეს კიდეც, მაგრამ ორბურთიანი დეფიციტის აღმოფხვრა ვერ მოახერხეს და ტურნირს გამოეთიშნენ.

აიკი — „ბარსელონა" 1:1 (1:3).

გათამაშების კიდევ ერთი ფავორიტი რონალდომ დააწინაურა, მაგრამ სიმპსონმა შვედებს საპატიო ფრე მოუტანა.

აეკი — „პარი სენ-ჟერმენი" 0:3 (0:0).

თემურ ქეცბაიას ბერძნული კლუბი დაცვის უხეში შეცდომებითა და პატრის ლოკოს „ჰეთ-თრიკით" შინ სამარცხვინოდ დამარცხდა საპატიო პრიზის ამჟამინდელ მფლობელთან, არადა, პარიზში მიღწეული ნულოვანი შედეგის შემდეგ ბევრს ამ წყვილში ფავორიტად მიაჩნდა.

* * *

*ამრიგად, კონტინენტის საკლუბო ტურნირების ნახევარფინალში ქვეყნების წარმომადგენლობა ასეთია: იტალია — 3, ესპანეთი, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია — 2-2, პოლანდია — 1 კლუბი.*

**გია პლატონიშვილი.**

ყოველი მხრიდან

# პარლამენტთან გამოთხოვება არ სურს

მეხის გავარდნას ჰგავდა ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ სებასტიან კოესათვის ინგლისის დედოფლის გადაწყვეტილება – დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ახალი არჩევნები, რომელიც 1 მაისს უნდა გაიმართოს. ეს კი ნიშნავს, რომ ყოფილი მძლეოსანი, ახლა კი დეპუტატი კონსერვატიული პარტიიდან, შესაძლოა, პარლამენტის მიღმა დარჩეს. კოე პარლამენტის წევრი გახდა 1992 წელს, როცა ცოტათი აჯობა მეტოქეს. ინგლისში მაინც და მაინც მოწონებით ვერ შეხვდნენ სპორტსმენის გადაწყვეტილებას – პოლიტიკაში ჩაბმულიყო, თანაც კონსერვატიული პარტიიდან.

ახლა იმასაც ამბობენ, რომ მალე გაუმჯობესდება მისი მსოფლიო რეკორდი, რომელიც მან 1981 წელს ფლორენციაში დაამყარა 800 მეტრზე სირბილში (1, 41, 73). შეიძლება ითქვას, რეკორდი დაბერდა და მისი დამხობის ერთ-ერთი კანდიდატია კენიელი უილსონ კაპკეტერი, რომელიც ახლა დანიის სახელით გამოდის. ამას წინათ, პარიზში, მსოფლიო ჩემპიონატზე დახურულ დარბაზში მან ეს მანძილი 1.42.67 წუთში დაფარა.

# ალპინისტი ველოსიპედით



დღეს და ხვალ ახალ ზელანდიაში ეწყობა ჩემპიონატი მთებში ველოსიპედებით რბოლაში. ჩემპიონატისთვის მზადებისას „ველოალპინიზმის" სასწაულები აჩვენა უამრავ მაყურებელს ნიკ ლამბერტმა – იგი ოკლენდში ველოსიპედით დაეშვა სასტუმრო „ნოვოტელის" ცაბო კედელზე. მართალია, ამ დროს ტროსით იცავდნენ, მაგრამ რისკი მაინც დიდი იყო.

# თბილისის უნივერსიტეტი

შაბათი, 22 მარტი, 1997 წელი.

საქართველოს რესპუბლიკა | თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გაზეთი | №1


„სულ სხვაა უნივერსიტეტი: იქ მეცნიერება მთელის თავის მრავალმხრივობითა და მრავალფეროვნებით სუფევს; ყველა თავის მიმართულებით, სამეცნიერო გამოცდების და ხარისხების წყალობით იქ ერთად მოღვაწეობენ სიცოცხლითა, ნიჭითა და გამბედაობით სავსე ახალგაზრდა მეცნიერნიც და სიბრძნის ბრძმედად გაკაჟებული განთქმულნი მეცნიერნიც. უნივერსიტეტი ამასთანავე უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებაც არის და იმავე დროს უმაღლესი მეცნიერების სასწავლებელიც, სადაც მოზარდი ახალგაზრდობა და ჭაბუკნი, მომავალი თაობა მეცნიერ-მკვლევართა მოძღვრებითა და ხელმძღვანელობით უმაღლეს მეცნიერებას ითვისებს, სამეცნიერო მუშაობას ეჩვევა და თანდათან მის თანამოაზრედ ხდება. აქ მჭიდრო სულიერი კავშირია მეცნიერთა და მომავალ თაობას შორის. აქ შესაძლებელი ხდება მეცნიერების ცხოველი, შეუწყვეტელი მიმდინარეობა და მეცნიერება დაუშრეტელ, ცოცხალ ძალად არის ქცეული“.

**ივანე ჯავახიშვილი.**



## უნივერსიტეტმა ძნელბედობას გაუძლო

8 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 79 წელი შეუსრულდა. უკანასკნელი ხუთწლეული მის ისტორიაში უმძიმესი პერიოდი იყო: საფრთხე ემუქრებოდა უნივერსიტეტის მომავალს...

ახლა დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ: უმაღლესი განათლებაც და მეცნიერებაც გადარჩა. ოღონდ ერთია აუცილებელი — საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და, ჩვენც, უშუალო შემსრულებლებმა, აღდგენისა და აღორძინების პროცესი შეუქცევადად უნდა წარვმართოთ; მეტი გავაკეთოთ პროფესორ-მასწავლებლების, ასპირანტებისა და სტუდენტების სოციალური დაცვისათვის.

ძნელბედობის ვითარებაში ჩვენმა მეცადინეობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარება დღეს საქმითაა დამტკიცებული. ჩვენი მათემატიკოსები და კიბერნეტიკოსები, ფიზიკოსები და ქიმიკოსები, სამართალმცოდნენი და ისტორიკოსები, ფილოლოგები და აღმოსავლეთმცოდნენი, ეკონომისტები და გეოგრაფები, ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები, ბიოლოგები და მედიკოსები ღრმა და საინტერესო ნაშრომებს ქმნიან, კვლევებს აწარმოებენ აშშ-ის, იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, ირანისა და სხვა ქვეყნების კოლეგებთან ერთად.

ტრადიციული ხდება უნივერსიტეტის სტუდენტური ცხოვრება: სწავლა და მეცნიერება, თვითმოქმედება და სპორტი. მნიშვნელოვანი წარმატებებია ამ მიმართულებით მოპოვებული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ დამატების ამ ნომერში გამოქვეყნებულ წერილებში მკითხველი თვალნათლივ გაეცნობა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, მეცნიერთა შრომის ზოგიერთ შედეგს, საზღვარგარეთის სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრებთან ურთიერთობის კეთილ ნაყოფს.

**როინ მეტრეველი,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.







ერთი წელიწადია, რაც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში დიდი მეფის – დავით აღმაშენებლის სახელზე ეკლესია გაიხსნა. ამით აღსდგა გზა ზნეობრიობისა და სულიერებისკენ.

გივი ფეიქრაძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ანზორ ხელაშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში, თეორიული ფიზიკის კათედრის გამგე, პროფესორი.**

# საუნივერსიტეტო მეცნიერება: აღმშენებლობითი პროცესი შეუქცევადია

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოწინავე უნივერსიტეტი იყო, მაღალგანვითარებული საუნივერსიტეტო მეცნიერებით. აღიარება მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკისათვის შედარებით ახალგაზრდა დარგებმა, როგორიცაა ფიზიკა, გამოყენებითი მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია...*

შემდეგ დაირღვა დროთა კავშირი და რესპუბლიკის მეცნიერება აღმოჩნდა მისი უზრუნველმყოფი ეკონომიკური საფუძვლების გარეშე, მოწყვეტილი საკავშირო სამეცნიერო სივრცეს და სისტემას, რომელშიც ათწლეულების განმავლობაში იდეურად და ორგანიზებულად მთლიანად იყო ინტეგრირებული. დაიწყო ნგრევის პროცესები და გამოვლინდა რესპუბლიკის მეცნიერების მართვის სისტემის მოუქნელობა, მისი მოუმზადებლობა — ჩამოაყალიბოს მეცნიერების განვითარების ის სტრატეგია, რომელიც შეესაბამება ქვეყნის ახალ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ამ პირობებში, ბუნებრივია, უნივერსიტეტის მეცნიერებაც ძლიერ დაზარალდა. კარგად არის ცნობილი (გასაცნობიერებლად სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის ანალიზიც კმარა), რომ 90-იან წლებს საქართველოს მეცნიერება მორალურად მოძველებული და ფიზიკურად მნიშვნელოვანწილად ამორტიზებული ძირითადი ფონდებით და გადაბერებული სამეცნიერო კადრებით შეხვდა. ამავე დროს დაიწყო მეცნიერ-მუშაკთა მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, სამეცნიერო კადრების მასიური გალატაკების პროცესი. შედეგი — მეცნიერ-მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილის გადასვლა შრომითი დასაქმების სხვა სფეროებში, მათ შორის რესპუბლიკის გარეთაც. იმ დროს, როცა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ახალ პირობებში მეცნიერების შენარჩუნებისა და განვითარების სტრატეგიული გზების ძიება, მეცნიერ-მუშაკთა ძირითადი მასა პასიურად ელოდება ხელისუფლებისაგან მეცნიერების ხსნისა და მისი ტრადიციული ფორმით განვითარების უზრუნველმყოფი პირობების შექმნას.

**სათანამგზავრო კავშირგაბმულობის მსოფლიო სისტემაში ჩართვით თბილისის უნივერსიტეტმა საბოლოოდ გაარღვია ინფორმაციული ვაკუუმი და მალე ვისარგებლებთ მსოფლიოს საუკეთესო საბიბლიოთეკო ფონდებით, მივიღებთ უნივერსალურ ინფორმაციას სამეცნიერო ცენტრებიდან, გამოვიყენებთ ყველა სხვა სიკეთეს, რასაც ინტერნეტი იძლევა.**

საქართველოს პარლამენტმა 1994 წლის ნოემბერში მიიღო „საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ", რომლის მიხედვით მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის თანდათანობითი ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა.

ჩვენი მეცნიერები თვლიან, რომ ამ ახალი, პროგრესული საფუძვლების შეტანა „კანონში" უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია. ახლა უპირველეს მნიშვნელობას იძენს ამ კანონის ცხოვრებაში გატარების მექანიზმებისა და სამართლებრივი ბაზის დამუშავება, რაც მეტად რთული პროცესია და საქართველოს ინტელექტუალური ძალების მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვს.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „კანონში", სამწუხაროდ, იგნორირებულია საუნივერსიტეტო მეცნიერება. მაგალითად, კანონის მე-6 მუხლი პრაქტიკულად გამორიცხავს უნივერსიტეტებში მეცნიერების დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ეწინააღმდეგება ამ „კანონის" სულისკვეთებას.

მტკიცება არ უნდა იმას, რომ უნივერსიტეტების მეცნიერების კუთრი წონა საქართველოს მეცნიერებაში ძალიან მაღალია. მარტო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს თავისი მიღწევებით მსოფლიოში კარგად ცნობილი ორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი — ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი, 70-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, 160-მდე კათედრა. უნივერსიტეტში მუშაობენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები, მათგან 300-მდე დოქტორი, 50-მდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი და წევრ-კორესპონდენტი, 900-მდე მეცნიერებათა კანდიდატი, გვყავს 600-ზე მეტი ასპირანტი და მაძიებელი. უნივერსიტეტში მეცნიერება და განათლება (სასწავლო პროცესი) ერთმანეთთან ორგანულადაა შერწყმული ისე, როგორც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებში.

**საინტერესო და ნიშანდობლივია, რომ ადრეული წლებისაგან განსხვავებით მეცნიერების ფუნდამენტურ დარგებთან ერთად უნივერსიტეტში წარმატებით ინერგება გამოყენებითი ხასიათის, მათ შორის, მაღალი ტექნოლოგიების სამეცნიერო პრობლემებზე მუშაობა.**

მიუხედავად უმძიმესი ფინანსური და მატერიალური პირობებისა, ღრმა ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნისა (რამაც ყველაზე მეტად დააზარალა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგები); უნივერსიტეტში მეცნიერება გადარჩა და კვლევები საკმაოდ მაღალ დონეზე მიმდინარეობს. რომ არა ჩვენი მეცნიერების თავდაუზოგავი ენთუზიაზმი, მაღალი პროფესიული სინდისი და სამეცნიერო ავტორიტეტი, უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობა პრაქტიკულად შეწყდებოდა. სხვადასხვა საზღვარგარეთულ ფონდში მონაწილეობამ და გრანტების მოპოვებამ, საერთაშორისო ურთიერთობათა გაღრმავებამ დროებით შეაჩერა ჩვენი მეცნიერების სრული დაშლის პროცესი. ახლა ჯერი საქართველოს ხელისუფლებაზეა — მეცნიერების გადასარჩენად აუცილებელია მეცნიერ-თანამშრომელთა სოციალური პირობების საგრძნობი გაუმჯობესება.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უნივერსიტეტში დაიწყო აღმშენებლობითი პროცესები, რაც, ვიმედოვნებთ, შეუქცევადია. იგრძნობა სამეცნიერო მუშაობის აშკარა გამოცოცხლება.

1994-95 წლებში სოროსის საერთაშორისო სამეცნიერო ფონდის გრძელვადიანი გრანტები მოიპოვა უნივერსიტეტის 8 სამეცნიერო ჯგუფმა 141000 ამერიკული დოლარის საერთო ოდენობით, ხოლო წლევანდელი კონკურსის შედეგების მიხედვით ინდივიდუალური გრანტები მიენიჭა 17 პროფესორს, 13 დოცენტს, 14 ასპირანტს და 80 სტუდენტს - სულ 123400 ამერიკული დოლარის ოდენობით.

საზღვარგარეთული გრანტების კონკურსებში მონაწილეობამ შექმნა თვისობრივად ახალი ურთიერთობანი, რომელიც ემყარება კონკრეტულ სამეცნიერო შედეგებს, მიღწევებს და ჩვენი მეცნიერების მიერ ამა თუ იმ პრობლემის თუ ამოცანის გადაწყვეტის რეალურ შესაძლებლობებს. ესაა ურთიერთაღიარება, თანაბარუფლებიანი პარტნიორობა. ღითიღლე ამ ურთიერთობათა მასშტაბების ზრდა ჩვენი სამეცნიერო პოტენციალის მაღალ დონეზე მეტყველებს. დღეს მიმდინარე გამოკვლევები ძირითადად აქცენტირებულია საზღვარგარეთზე. ასე მომრავლებული სამეცნიერო პუბლიკაციები საზღვარგარეთულ ჟურნალებში, დღეს რომ არის, არასდროს ყოფილა. ერთ წერილში შეუძლებელია წარმოვადგინო უნივერსიტეტის სამეცნიერო მიღწევების მთელი სპექტრი (უნივერსიტეტის ინსტიტუტებში მიმდინარე კვლევებზე დღევანდელ ნომერში ცალკე სტატიებშია მოთხრობილი).

მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

საქართველოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიმართულება შეიძლება გახდეს მიკროელექტრონიკა. ამ მხრივ უნივერსიტეტს დიდი ხნის და კარგი ტრადიციები აქვს. უნივერსიტეტის მიკროელექტრონიკის კათედრაზე შემუშავებულია კონდენსირებულ გარემოში (მყარი სხეულები, სითხეები, ბიოლოგიური ობიექტები) ატომების გადაადგილების ახალი მეცნიერული კონცეფცია. აქედან გამომდინარე, მიღებულია მნიშვნელოვანი დასკვნა იმის შესახებ, რომ სათანადო ზეგავლენით (მაგ. წნევით ან სინათლით) დაბალ ტემპერატურებზე შეიძლება წარიმართოს ისეთი პროცესები, რომლებიც ჩვეულებრივი წარმოდგენებით მაღალ ტემპერატურებზე უნდა მიმდინარეობდეს. ეს იდეა შეიძლება დაინერგოს პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების დასამუშავებლად. იგი მოგვცემს ენერგოდანახარჯების დიდ ეკონომიას. აქედან გამომდინარე, მიკროელექტრონიკის კათედრაზე დამუშავებულია გალიუმის არსენიდზე მიკროსქემების დამზადების დაბალტემპერატურული ტექნოლოგია, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. ეს სამუშაოები ამჟამად ფინანსირდება საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი სპეციალური გრანტით.

პრესაში უკვე იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქლორი, რომელიც 70 წლის განმავლობაში სუმგაითიდან შემოგვქონდა, დღეს უკვე ჩვენთან იწარმოება. თბილისში ამუშავდა სპეციალური ქლორის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე დამუშავებულ ტექნოლოგიას ეყრდნობა.

**ქლორი 70 წლის განმავლობაში სუმგაითიდან შემოგვქონდა. დღეს იგი ჩვენთან იწარმოება: თბილისში ამუშავდა სპეციალური ქლორის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე დამუშავებული ტექნოლოგიით მუშაობს.**

გამოყენებითი ხასიათის კვლევითი სამუშაოები, რომლებიც საქართველოს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ამოცანებს მიესადაგება, თანდათან პრიორიტეტული უნდა გახდეს საქართველოს მეცნიერთათვის. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში წარმოების მკვეთრმა დაცემამ პრაქტიკულად მინიმუმამდე დაიყვანა უნივერსიტეტში სახელშეკრულებო სამეცნიერო პრობლემებზე მუშაობა. წარმოებასთან კავშირის ასეთი ფორმის გაწყვეტა განაპირობა, აგრეთვე, ეკონომიკაში გამეფებულმა ქაოსმა, არალეგალურმა საფირმო საქმიანობამ. უნივერსიტეტმა მიიღო სახელშეკრულებო სამუშაოთა სტიმულირების ხელშემწყობი შინაგანაწესი, რომლის მიხედვითაც თემების შემსრულებლებს უფლება ეძლევათ ხელფასის ფონდი თავიანთი შეხედულებისამებრ გამოიყენონ. ამ ღონისძიებამ გაზარდა თანამშრომელთა მატერიალური დაინტერესება და უკვე თანდათან გაჩნდა სახელშეკრულებო თემები. ესაა საკონტრაქტო სისტემაზე გადასვლის ჩანასახი. უნდა ითქვას, რომ სასწავლო პროცესი უნივერსიტეტში პრაქტიკულად საკონტრაქტო სისტემაზეა, ვიმედოვნებთ, რომ მალე მომზადდება ნიადაგი სამეცნიერო მუშაობის საკონტრაქტო საფუძვლებზე გადასასვლელად. გვინდა თუ არ გვინდა, ესაა განვითარების ერთადერთი სწორი გზა.

მიმდინარეობს სამეცნიერო და სასწავლო პროცესების ურთიერთდაახლოება, რასაც აჩქარებს სწავლების ორეტაპიან ფორმაზე გადასვლა (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა). მაგისტრატურის ინსტიტუტის შემოღება უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლებს უფრო მეტად იზიდავს სასწავლო პროცესისაკენ და მათ საქმიანობას ახალ ფუნქციურ დატვირთვას აძლევს.

**უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობანიც თანდათან ძალას იკრებს — უკვე არის პირველი რეალური შედეგები. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ იუნესკოსთან თანამშრომლობით ოკეანოგრაფიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ანუ ჟ. ი. კუსტოს ეკოტექნიკური კათედრის ჩამოყალიბება, რომლის ორგანიზაციის, აღჭურვის, აგრეთვე, სამეცნიერო თემატიკისა და სწავლების პროცესის დაფინანსებას მთლიანად იღებს თავის თავზე იუნესკო.**

ცენტრის მუშაობა მოიცავს საუნივერსიტეტო პროგრამას და ატარებს საფაკულტეტთაშორისო ხასიათს. ცენტრში გაერთიანდებიან ზღვის პრობლემატიკაზე მომუშავე პროფესორ-მასწავლებლები და მკვლევარები. ამჟამად იქმნება ცენტრის საინფორმაციო და კომპიუტერული ბაზა, რომლის მეშვეობითაც კოორდინაცია გაეწევა სასწავლო პროცესს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. ცენტრი უზრუნველყოფს სტუდენტი ოკეანოლოგების პრაქტიკის ხარჯებს, შეარჩევს კანდიდატებს მაგისტრატურასა და ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად და უზრუნველყოფს ასპირანტებისა და მათი ხელმძღვანელების ფინანსურ ანაზღაურებას.

**ჩვენი უნივერსიტეტიდან ორმა პროექტმა გაიმარჯვა TEMPVS-TACIS-ის პროგრამაში. ერთი მათგანი ეხება სტუდენტურ სერვისს და წარმოებასთან კავშირს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ხოლო მეორე დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმუნოლოგიის რეგიონული ცენტრის შექმნასთან.**

გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სფეროებში, რომლებიც გათავისუფლდნენ იდეოლოგიური ზეწოლისაგან. დიდი აღმავლობით ჩატარდა მეტად წარმომადგენლობითი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „კავკასია მსოფლიოს ხალხთა ისტორიის კონტექსტში", რომლის მნიშვნელობა მთელი სიგრძე-სიგანით მომავალში გამოჩნდება. საკმაოდ დიდი მოცულობის საგამომცემლო საქმიანობას ეწევა უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტამბა.

არ შევუდგები სხვა მნიშვნელოვანი კონფერენციებისა თუ სესიების ჩამოთვლას, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ბევრი მათგანი ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან თანამშრომლობით, ერთობლივად, რაც უდავოდ სიკეთის მომასწავებელია. გულისტკივილით უნდა ვთქვათ, რომ ათეული წლების განმავლობაში დანერგილი „გამიჯვნა" მეცნიერებისა აკადემიურად და საუნივერსიტეტოდ კვლავ უშლის ხელს დაახლოების პროცესს. იმედი გვაქვს, რომ უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიას შორის დადებული ფართომასშტაბიანი ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ თანდათან შეისხამს ფრთებს.

უკანასკნელმა წლებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ მეცნიერება იმ სახით, როგორც ადრე იყო, აღარ იარსებებს. შეუძლებელი და უაზროცაა ფიქრი არსებული სახით მის შენარჩუნებაზე. მაგრამ რეფორმები უნდა ჩატარდეს ისე, რომ შევინარჩუნოთ ღირებული სამეცნიერო პოტენციალი. უნივერსიტეტში უკვე დაწყებულია მუშაობა ამ მიმართულებით. გარკვეული, მათ შორის მნიშვნელოვანი, სამეცნიერო შედეგები უკანასკნელ წლებში ადრეულ წლებში მოპოვებული მასალის დამუშავება-გააზრებით არის მიღწეული, რაც ამოუწურავი არ არის. მოსაფიქრებელია სტიმულირების მექანიზმები, რომლებიც ახალგაზრდობას მეცნიერებაში მოიზიდავს. ახლა 35 წლამდე ახალგაზრდობის წილი უნივერსიტეტის სამეცნიერო კადრებში შემცირებულია.

მეცნიერებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება საინფორმაციო საშუალებებში უნდა შეიცვალოს რეალური პრობლემების ფართო გაშუქებით. გაისად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — პირველი უნივერსიტეტი კავკასიის რეგიონში — 80 წლისა ხდება. უნივერსიტეტის კოლექტივი არაფერს დაიშურებს იმისათვის, რომ მაღალი მეცნიერული მიღწევებით პირნათელი იყოს უნივერსიტეტის დამაარსებელთა წმინდა სულების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**თეიმურაზ კოპალეიშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თეორიული განყოფილების გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.**

# მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

## ახალი, პრაქტიკულად შეუზღუდავი შესაძლებლობები

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი დაარსდა 1979 წელს ფიზიკის ფაკულტეტთან არსებული მაღალი ენერგიების ბირთვული ლაბორატორიის ბაზაზე, რომელიც თავის მხრივ შეიქმნა ფაკულტეტის ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის ორი ექსპერიმენტული (ხელმძღვანელები ნ. ამაღლობელი და რ. სალუქვაძე) და ერთი თეორიული განყოფილების (ხელმძღვანელი თ. კოპალეიშვილი) საფუძველზე. ამჟამად ინსტიტუტის დირექტორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. თავხელიძე.*

ინსტიტუტის სამეცნიერო გამოკვლევები თავიდანვე გაიშალა შემდეგი მიმართულებებით:

– ნუკლონებთან და ბირთვებთან მაღალი ენერგიის ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთმოქმედების ექსპერიმენტული გამოკვლევა;

– თეორიული გამოკვლევები ბირთვულ ფიზიკაში, ელემენტარული ნაწილაკებისა და ველის კვანტური თეორიის დარგში.

ყველა ამ მიმართულებით მრავალი ახალი საინტერესო შედეგი იქნა მიღებული, რომლებიც ფართოდაა აღიარებული სამეცნიერო საზოგადოების მიერ.

მთელი საქმიანობა მაღალი ენერგიების ფიზიკის დარგში გულისხმობდა მძლავრ ამჩქარებლებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებში მონაწილეობას და ექსპერიმენტული შედეგების თეორიულ გააზრებას. საბჭოთა კავშირის არსებობის დროს თითქმის ერთადერთი გზა ამ მხრივ იყო დუბნის ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტსა და სერპუხოვის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში მიმდინარე ექსპერიმენტებში მონაწილეობის მიღება და დუბნის ინსტიტუტის მეშვეობით საერთაშორისო თანამშრომლობებში ჩართვა. ამჟამად დუბნასა და სერპუხოვთან მჭიდრო კავშირების გაგრძელებასთან ერთად ჩვენი ინსტიტუტი წარმატებით თანამშრომლობს ევროპის ქვეყნების სხვა წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებთან.

ქართველი ფიზიკოსები აქტიურად არიან ჩაბმულნი ბირთვულ გამოკვლევათა ევროპულ ცენტრში (CERN), სადაც ჯერ კიდევ 1967 წელს ექსპერიმენტულად დადასტურებული იყო ჩვენთან თეორიულად ნაწინასწარმეტყველები ბირთვის სტრუქტურის ეფექტი, მიმდინარე და ახლო მომავალში დაგეგმილი ექსპერიმენტების ჩატარებასა და მომზადების საქმიანობაში. ჩვენი ჯგუფები ამჟამად მონაწილეობენ SMS, ATLAS და ALICE ექსპერიმენტების მომზადებაში, რომლებიც უნდა შესრულდეს 21-ე საუკუნის დასაწყისში დიდ ადრონულ კოლაიდერზე, ასევე რამდენიმე მნიშვნელოვან ექსპერიმენტში პროტონულ სინქროტრონზე და DELPHI-ის ექსპერიმენტში ელექტრონულ-პოზიტრონული შემხვედრი ნაკადების ამჩქარებელში.

გაფორმებულია ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და CERN-ს შორის მაღალი ენერგიების ფიზიკის დარგში სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ. ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ჩვენი კავშირები ბირთვულ გამოკვლევათა ევროპულ ცენტრთან კიდევ უფრო გაფართოვდება.

ინსტიტუტი, აგრეთვე, ინტენსიურად თანამშრომლობს პაულ შერერის ინსტიტუტთან (შვეიცარია), ბირთვულ ცენტრთან იულიხში (გერმანია), DEZY-სთან (გერმანიის ელექტრონული სინქროტრონი)... ზემოთ ჩამოთვლილ სამეცნიერო ცენტრებში მუშაობენ ჩვენი ინსტიტუტიდან წარგზავნილი ახალგაზრდა მეცნიერთანამშრომლები, რომლებმაც უკვე საკმაოდ მაღალი ავტორიტეტი მოიპოვეს სამეცნიერო წრეებში. ამის დადასტურებაა ისიც, რომ ნაწილი ინსტიტუტის თანამშრომლებისა, დროებითი ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მუშაობენ დუბნაში, ციურიხში, ცოიტენში და CERN-ში.

მაღალი ენერგიების ფიზიკაში კოლოსალური რაოდენობის მასალის დამუშავების საჭიროებამ განაპირობა გამოთვლითი ტექნიკის ინტენსიური განვითარება. სამეცნიერო ცენტრებს შორის ინფორმაციის სწრაფი გაცვლის აუცილებლობამ სტიმული მისცა კომპიუტერული ქსელების სისტემების ჩამოყალიბებას. ინსტიტუტში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა ინფორმატიკის როლს მეცნიერული კვლევების თანამედროვე დონეზე წარმართვაში. ხდებოდა ამ დარგის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება. სწორედ ამიტომაც გახდა შესაძლებელი INTAS-ის გრანტის მოპოვება, რომლის საშუალებითაც ინსტიტუტში გასულ წელს სათანადო საკომუნიკაციო სადგური დაიდგა და განხორციელდა ინსტიტუტის ჩართვა მსოფლიო კომპიუტერულ ქსელში – ინტერნეტში. ინსტიტუტის თანამშრომლებს მიეცათ საშუალება მსოფლიოს სხვადასხვა ბირთვული ცენტრების დიდ გამომთვლელ მანქანებზე დაამუშაონ ექსპერიმენტული მასალა და ადგილზე მიიღონ შედეგები, რაც იძლევა მეცნიერული კვლევების წარმოების ახალ, პრაქტიკულად შეუზღუდავ შესაძლებლობებს.

ინსტიტუტი ფართოდ ულებს კარს ყველას, ვისაც კი სურს ისარგებლოს ინსტიტუტის საშუალებებით. ამით უკვე სარგებლობს უნივერსიტეტის რამდენიმე ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რიგი ინსტიტუტებისა.



**დავით გორდეზიანი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, კომპიუტერულ მეცნიერებათა და სისტემების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.**

# ინტენსიურად გამოვიყენოთ სამეცნიერო პოტენციალი

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, რომელიც მისი დამაარსებლის სახელს ატარებს, გაისად 30 წლისა ხდება.*

ინსტიტუტმა მისი მებალავრისა და ნიჭიერ მკვლევართა თაობების თავდადებული შრომის შედეგად სწრაფად მოიხვეჭა გამოყენებითი მათემატიკის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი კერის სახელი. მას აფასებდნენ და ანგარიშს უწევდნენ არა მხოლოდ ჩვენში, საზღვარგარეთაც.

აკადემიკოსმა ილია ვეკუამ თავიდანვე განსაზღვრა, რომ ინსტიტუტში ფუნდამენტური კვლევა უნდა წარმართულიყო მათემატიკის თანამედროვე მიღწევებისა და კომპიუტერული ტექნიკის ინტენსიური გამოყენების საფუძველზე. ამავე დროს, მეცნიერულ კვლევაში მაქსიმალურად უნდა ჩაბმულიყვნენ მათემატიკის პროფილის სტუდენტები და, საერთოდ, ინსტიტუტის მეცნიერული პოტენციალი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ინტენსიურად ყოფილიყო გამოყენებული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში. დღესაც სტუდენტთა მეცნიერული აღზრდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს საწარმოო და წინასადიპლომო პრაქტიკები.

**მარტო გასულ წელს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ხუთი სადოქტორო და ორი საკანდიდატო დისერტაციის დაცვა შედგა. უნივერსიტეტის გამომცემლობის გრიფით გამოიცა ოთხი მონოგრაფია.**

ინსტიტუტს დავალებული ჰქონდა სპეციალური თემატიკის შესრულებაც, სრულდებოდა სამეურნეო სახელშეკრულებო თემებიც. სამუშაოთა ეს ნაწილი უშუალოდ ეხებოდა უმნიშვნელოვანეს რეალურ, პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტას. და თუმცა, ინსტიტუტი ამჟამადაც იგივე სქემით განაგრძობს მოღვაწეობას, უკიდურესად მძიმე ფინანსურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ უაღრესად გააძნელა მუშაობა. მიუხედავად ამისა, თანამშრომელთა ენთუზიაზმისა და პროფესიული პატიოსნების წყალობით, სამეცნიერო მუშაობა, ნიჭიერ ახალგაზრდათა აღზრდა კვლავ გრძელდება.

ორიოდე სიტყვით ახლანდელ ვითარებაზე: 7 წლის წინათ 350 თანამშრომელი გვყავდა, დღეს 213 დავრჩით. ბევრი სამუშაოდ წავიდა საზღვარგარეთ, ზოგმა საერთოდ დაანება თავი მათემატიკას. დღევანდელ პირობებში სიმამაცეა იმუშაო მეცნიერებაში და პირნათლად აკეთო შენი საქმე, როგორც მკვლევარმა და პედაგოგმა, მაგრამ როდემდე? დროზე თუ არ ეშველა მეცნიერთა ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას (განსაკუთრებით უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ უმაღლესი სასწავლებლების ლაბორატორიებისა და ინსტიტუტების თანამშრომლები), შეიძლება არასასურველ შეუქცევად პროცესამდე მივიდეთ, რაც უმძიმეს დაღს დაასვამს მეცნიერებასა და, შესაბამისად, განათლების საქმესაც საქართველოში.

რა კონკრეტული კვლევები მიმდინარეობდა 1996 წელს?

გრძელდებოდა ფუნდამენტური კვლევა თვისობრივ თეორიებში ფუნქციონალური განტოლებებისათვის, რომლებიც კერძო შემთხვევაში წარმოადგენენ ჩვეულებრივ ან კერძო წარმოებულიან დიფერენციალურ, ინტეგროდიფერენციალურ თუ ინტეგრალურ განტოლებებს. მიღებული თეორიული ხასიათის შედეგების გამოყენებით შეისწავლებოდა სხვადასხვა მოვლენათა და პროცესების მათემატიკური მოდელირებისას წამოჭრილი კლასიკური თუ არაკლასიკური ტიპის ზოგადი საწყის-სასაზღვრო, აგრეთვე, მართვის ამოცანები დრეკადობის თეორიის, ჰიდროგაზოდინამიკის, მაგნიტური ჰიდროდინამიკის, გადატანის თეორიის, მეტეოროლოგიის, როგორც წრფივი, ისე არაწრფივი, აგრეთვე, გადაგვარების მქონე განტოლებებისთვის. სასრულ ელემენტთა, სასრულ სხვაობათა და დეკომპოზიციის მეთოდების საფუძველზე აგებული იყო სათანადო რიცხვითი ალგორითმები.

ასევე ვაგრძელებდით საქართველოსთვის ტრადიციული, ფუნდამენტური მიმართულებით კვლევას – კომპლექსური ცვლადის ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანები და მათი გამოყენება უწყვეტ ტანთა მექანიკის მათემატიკურ თეორიაში. ვიკვლევდით დისკრეტული მათემატიკის, მათემატიკური და, აგრეთვე, კომპიუტერული ლოგიკის რიგ მონათესავე პრობლემებს.

მარტო 1996 წელს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ხუთი სადოქტორო და ორი საკანდიდატო დისერტაციის დაცვა შედგა. გამოიცა ოთხი მონოგრაფია და ორიც დასაბეჭდად არის გამზადებული.

ცალკე გამოსაყოფია საერთაშორისო კონტაქტები. თბილისის უნივერსიტეტის, მალაგის უნივერსიტეტისა და გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მიერ ერთობლივად დაფუძნდა ჟურნალი – „გამოყენებითი მათემატიკა და ინფორმატიკა", რომლის რედკოლეგიაშიც შედიან დარგის ცნობილი საზღვარგარეთელი მეცნიერებიც.

ინტენსიური გახდა ინსტიტუტის საგამომცემლო საქმიანობა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის გრიფით ვბეჭდავთ კარგი პოლიგრაფიული ხარისხის სამეცნიერო ჟურნალებს, შრომებს, მოხსენებათა კრებულებს. აქ გამოცემული სამეცნიერო პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს 85 სამეცნიერო ცენტრსა და ბიბლიოთეკაში. სანაცვლოდ ინსტიტუტი იღებს 50-მდე დასახელების შესანიშნავ სამეცნიერო ჟურნალს ამერიკიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, იაპონიიდან... თუ უცხოური ჟურნალებით ინსტიტუტი უზრუნველყოფილია, ამასვე ვერ ვიტყვით, დსთ-ს ქვეყნების მათემატიკური ლიტერატურის შესახებ.

**უკიდურესად მძიმე ფინანსურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ უაღრესად გააძნელა მუშაობა. ამის მიუხედავად, თანამშრომელთა ენთუზიაზმისა და პროფესიული პატიოსნების წყალობით, სამეცნიერო მუშაობა, ნიჭიერ ახალგაზრდათა აღზრდა კვლავ გრძელდება.**

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სხვადასხვა ფონდების მხარდაჭერა და თანადგომა. მაგალითად, სრულდება ორი თემა სოროსის ფონდის მეშვეობით, რამდენიმე თანამშრომელი ჩართულია კონვერსიასთან დაკავშირებული თემის შესრულებაში. ინსტიტუტში მომუშავე სტუდენტთა მოხსენებები სოროსის სტუდენტთა და ასპირანტთა კონფერენციაზე ჯილდოებით აღინიშნა. ხოლო ინსტიტუტის მათემატიკისა და ინფორმატიკის სკოლის მოწაფეებმა ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე დიპლომები მოიპოვეს. წარმატებას მიაღწიეს მოსწავლეთა მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის მომზადებულმა გუნდის წევრებმა.

თანდათან იბმება კავშირი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მესვეურებთან. დაიდო სამეურნეო ხელშეკრულება მეტად მნიშვნელოვანი პრაქტიკული თემის შესრულებაზე ტრანსგაზის კონცერნთან. მეცნიერთა ჯგუფი მონაწილეობს ოპტიკური ბოჭკოვანი კავშირგაბმულობის ქსელის შექმნაში.

და ბოლოს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ჩართვა მსოფლიო კომპიუტერულ ცენტრში. სულ მალე ინსტიტუტის ცენტრალურ კომპიუტერს მიუერთდებიან ფაკულტეტები და ამით მეოცე საუკუნის საოცრება – ინფორმაციული ინდუსტრია ხელმისაწვდომი გახდება ჩვენი სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერთათვის.

ეს უდიდესი მნიშვნელობის საქმე ისე სწრაფად არ გაკეთდებოდა, თუ არა ძალისხმევა და თანადგომა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ბატონ ალბერტ თავხელიძისა, თბილისის უნივერსიტეტის რექტორის ბატონ როინ მეტრეველისა, აკადემიკოს ნოდარ ამაღლობელისა. განსაკუთრებული წვლილი ამ საქმეში შეიტანეს მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა და ჩვენი ინსტიტუტის ახალგაზრდა ინფორმატიკოსებმა.

ხშირად მოისმენთ, რომ საქართველოს დიდი მეცნიერული პოტენციალი აქვს. დიახ, დღეს აქვს, მაგრამ ხვალ შეიძლება ასე არ იყოს, თუ არ გატარდება კატეგორიული ღონისძიებები ამ პოტენციალის აქტიურად გამოყენებისთვის, პირველ რიგში კი თუ არ გაუმჯობესდება მეცნიერის ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობა.

# 14 აპრილი—26 მაისი

## გაიმართება „სტუდენტური დღეები - 97"

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ემზადებიან გაზაფხულის მშვენიერი დღესასწაულისთვის.



სურათზე: მთავარი პრიზი, რომლითაც მარშანდელ „სტუდენტურ დღეებში" გამარჯვებისათვის დაჯილდოვდა თბილისის უნივერსიტეტი.

# ამ დარგის განვითარება ხელმისაწვდომი და მომგებიანია



**ზაურ ქაჩლიშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მყარი სხეულების ფიზიკის კათედრის გამგე, პროფესორი.**

მყარი სხეულების ფიზიკა ერთ-ერთი პერსპექტიული დარგია. მისი კვლევის შედეგები საფუძვლად უდევს მყარსხეულოვან ელექტრონიკას, ხოლო ამ უკანასკნელის განვითარების ხარისხი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამჟამინდელ და, ალბათ, მომავალი საუკუნის პირველი მეოთხედის ინტელექტუალურ და ყოფითი კულტურის დონეს. თუ ამას დავუმატებთ, რომ ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ამ დარგის განვითარება სავსებით ხელმისაწვდომია, საცნაურია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ელექტრომაგნიტური გამოსხივების მიღება და გენერაცია თანამედროვე რადიოელექტრონიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური ამოცანაა. შევნიშნავთ, რომ აქ ახალია არა თვით ამოცანა, არამედ ელექტრომაგნიტური გამოსხივების არე, რომელიც ამჟამად განსაკუთრებული ინტერესის სფეროს განეკუთვნება. საჭიროა მიმღებთა და გენერატორთა შექმნა შორეული ინფრაწითელი, ულტრაიისფერი სუბმილიმეტრული და მილიმეტრული გამოსხივებისათვის. სწრაფმოქმედების პრობლემასთანაა დაკავშირებული ოპტოელექტრონიკის განვითარების საკითხი. სინათლის სიგნალი ხომ ყველაზე სწრაფია, ამიტომ ძირითადი ელემენტების მართვა უნდა მოხდეს სინათლის სიგნალის საშუალებით.

თბილისის უნივერსიტეტის მყარი სხეულების ფიზიკის კათედრაზე 80-იანი წლებიდან ინტენსიური კვლევების შედეგად აღმოჩენილია ორი ახალი ეფექტი — თეორიულად დასაბუთებულია ცხელი ელექტრონების ე. წ. განივი გაქცევა და ექსპერიმენტულად დამზერილია უარყოფითი დიფერენციალური გამტარობა ნახტომისებური გამტარობის არეში. ეს ხორციელდება მხოლოდ ნახევარგამტარებში, რომელთა უნიკალური თავისებურება იმაშია, რომ მათი ელექტრო და ოპტიკური თვისებები შეგვიძლია ვცვალოთ წინასწარგამიზნულად და შევქმნათ ძლიერად არაწონასწორული მდგომარეობები.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში შექმნილმა კრიზისულმა ვითარებამ, მყარი სხეულების ფიზიკის კათედრის მუშაობაზეც უაღრესად უარყოფითად იმოქმედა. დიდი სიძნელეების მიუხედავად, მეცნიერული კვლევა მაინც გრძელდება, თუმცა ძირითადად — თეორიული მიმართულებით.

ამ მძიმე პირობებში მხარში ამოგვიდგა სოროსის საერთაშორისო სამეცნიერო ფონდი, სამმა თანამშრომელმა მიიღო მცირე გრანტი, ხოლო კათედრის ორმა პროექტმა — დიდი გრანტი. ამ გრანტებმა მუშაობის გაგრძელების საშუალება მოგვცა, რის შედეგადაც დავადგინეთ ნახევარგამტარული ნიმუშების ნახტომისებური გამტარების არეში დენის დაბალსიხშირული ოსცილაციების ბუნება. შექმნილია ორიგინალური ტექნოლოგიური მეთოდი, რომლის საშუალებითაც მიღებულია უნიკალური ოპტიკური და ელექტრული თვისებების მქონე ნახევარგამტარები.

მე მოკლედ შევეხე ჩვენს კათედრაზე მიმდინარე კვლევით სამუშაოებს. ჩვენს უნივერსიტეტსა და ტექნიკურ უნივერსიტეტში არის მონათესავე კათედრები და ლაბორატორიები, სადაც მიღებულია არაერთი მნიშვნელოვანი შედეგი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენი გაერთიანება ერთი ძირითადი იდეის გარშემო: საქართველოში შევქმნათ და განვავითაროთ მყარსხეულოვანი ელექტრონიკა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. ამისათვის საჭირო იქნება ერთიანი დიდი პროექტის შემუშავება, რომელიც უნდა შეიცავდეს თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევებს უახლესი ტექნოლოგიების ჩათვლით.

# ჯორჯ შულცის პრემია ახალგაზრდა მეცნიერებს

*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" უკვე დაიბეჭდა ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსებული პრემიის შესახებ, რომელიც ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწის და მეცნიერის, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ჯორჯ შულცის ფონდიდან დაინიშნა და მის სახელს ატარებს.*

*ყოველწლიურად ორი პრემია ენიჭება გამორჩეულ ახალგაზრდა მეცნიერებს.*

*პრემიის პირველი ლაურეატები გახდნენ პროფესორი ლადო ჭანტურია (ჰუმანიტარული მეცნიერების დარგში) და დოცენტი ნიკოლოზ კიკნაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგში). მკითხველებს წარვუდგენთ მათ თავისებურ სავიზიტო ბარათებს, რომლებიც მეცნიერთა ხელმძღვანელებმა, პროფესორებმა სერგო ჯორბენაძემ და ანზორ ხელაშვილმა გადმოგვცეს.*

ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის ჰარმონიულად შეზავებამ საშუალება მისცა ლადო ჭანტურიას ახალგაზრდობიდანვე მოეპოვებინა მეცნიერული ხარისხები და მთელი ძალით გადართულიყო ჩვენი ქვეყნისათვის დღეს ესოდენ საჭირო კანონშემოქმედებით საქმიანობაზე. მე განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მისი მნიშვნელოვანი წვლილი დამოუკიდებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტის შემუშავებაში. ამ საქმის დაწინაურებისათვის მას არ დაუშურებია დრო და ენერგია, რომ კანონპროექტის ტექსტი დროულად ყოფილიყო წარდგენილი პარლამენტში განსახილველად. ყოველივე ამასთან ერთად, იგი წარმატებით მუშაობდა სამოქალაქო კანონმდებლობის მომიჯნავე დარგებშიც.

პროფესორი ლადო ჭანტურია უაღრესად კომუნიკაბელური ახალგაზრდაა, რაც მას საშუალებას აძლევს მრავალ უცხოელ სპეციალისტთან ჰქონდეს ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო კონტაქტები. მან იმუშავა გერმანიის არქივებში საქართველოსათვის ღირსსაცნობელი მასალების მესაგროვებლად და იმედი მაქვს, რომ იგი აქაც იტყვის ღირსეულ სიტყვას.

პროფესორმა ლადო ჭანტურიამ ეს მაღალი ჯილდო დამსახურებისამებრ მიიღო. ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალში იგი მრავალ მეცნიერულ ჯილდოს მოიპოვებს.

**სერგო ჟორბენაძე.**





მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ კიკნაძე ძალზე ახალგაზრდაა, იგი უკვე სავსებით ჩამოყალიბებული მეცნიერია. მუშაობს თანამედროვე თეორიული ფიზიკის ერთ-ერთ ურთულეს სფეროში — კვანტური ველებისა და ელემენტარულ ნაწილაკთა თეორიაში, თავისუფლად ფლობს კომპიუტერულ ენებს, აქვს საკმაოდ მაღალი დონის მათემატიკური განათლება.

ნიკოლოზ კიკნაძემ ბოლო წლებში მიიღო რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი კვლევის შედეგი ველის კვანტურ თეორიაში, ტიპოლოგიური და არასტანდარტული ამოხსნების სფეროში, რომელიც საზღვარგარეთის პრესტიჟულ ჟურნალებშიც გამოქვეყნდა. აღსანიშნავია, რომ მის ნაშრომებს კარგად იცნობენ ავტორიტეტულ სამეცნიერო წრეებში და აქვს საკმაოდ მაღალი ციტირების ინდექსი.

მის მაღალ მეცნიერულ დონეზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ მიანდო ერთ-ერთი ცენტრალური დისციპლინის წაკითხვა მე-2 კურსის სტუდენტებისათვის.

ნიკოლოზ კიკნაძის სახით უნივერსიტეტს ჰყავს უაღრესად დიდი პერსპექტივების მქონე ახალგაზრდა მეცნიერი და პედაგოგი, რომელიც კვლავაც შემართებით განაგრძობს თავის საქმიანობას და ბევრჯერ გვასახელებს.

**ანზორ ხელაშვილი.**

სურათებზე: პროფესორი ლადო ჭანტურია მოხსენებით გამოდის ქალაქ ბრემენში (გერმანია) გამართულ იურისტთა საერთაშორისო კონფერენციაზე; დოცენტი

# ფილიალების გაზეთები წერენ

## ალმანახი „სიტყუაი"

მესხეთის უნივერსიტეტმა ამას წინათ გამოსცა ალმანახი „სიტყუაი" იგი არის იმ პოეტური ცხოვრებისა და ტრადიციების ნაწილობრივი გამომზეურება, რაც ხუთი წლის განმავლობაში დამკვიდრდა ფილიალში.

„სიტყუაი" იხსნება ახალციხის ფილიალის რექტორის, ბატონ მერაბ ბერაძის მოკრძალებული შესავალი წერილით. ალმანახში დაბეჭდილია მესხეთის უნივერსიტეტის სტუდენტების და ასპირანტების ცაულინა მალაზონიას, ციალა გორდეზიანის, ლელა ფერაძის, ზვიად ბერაძის, შალვა კელოშვილის და სხვათა ლექსები, რომლებშიც უპრეტენზიოდაა გამოხატული მშობლიური მიწის სიყვარული, შინაგანი მისწრაფება.

ალმანახში დაბეჭდილია ქეთევან გრძელიშვილის თარგმანები არტურ რემბოს, ჟაკ ბრელის, გიომ აპოლინერის პოეზიიდან.

კრიტიკის განყოფილებაში დაბეჭდილია ნათელა მელიქიძის და ელენე ლუარსაბიშვილის წერილები „მე თოლია ვარ" და „თაეფარავნელი ჭაბუკი", რომლებიც ეძღვნება ჩვენს სასიქადულო მწერალს გურამ რჩეულიშვილს.

იმედია „სიტყუაი" მომავალში ჟანრობრივად უფრო გაიზრდება და გამრავალფეროვნდება.

**ვახტანგ ინაური,**
გაზეთი „მესხეთის უნივერსიტეტი".

## მადლობას ვუხდი

ჩემი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი წარმატებული აღმოჩნდა: გავხდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი.

ჩვენს უნივერსიტეტში, რომელიც ეს-ესაა ფეხს იდგამს, გატაცებით იღვწიან პროფესორ-მასწავლებლები. ბედნიერს გვხდის უნივერსიტეტის ყოველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, დღედღეზე ველოდებით სამკითხველო დარბაზს, მდიდარ ბიბლიოთეკას, სტუდენტობა ამას აღიქვამს, როგორც ჩვენდამი ზრუნვის გამოხატულებას.

ზუგდიდის ფილიალში ყველგან და ყველაფერში იგრძნობა სწავლისადმი პატივისცემა.

ჩემი მეგობრები თბილისში სწავლობენ. მე არ ვნანობ არჩევანს — აქ ყველა პირობაა შექმნილი.

ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი მათ, ვისი ინიციატივით და თანადგომით გახდა შესაძლებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის გახსნა.

**ირაკლი ამანათიძე,**
ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი.
გაზეთი „ზუგდიდის უნივერსიტეტი".

## პირველი, საიმედო ნაბიჯები

იდეა ჯერ კიდევ შარშან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კახეთის მხარის (სიღნაღის) ფილიალის შექმნისთანავე დაიბადა.

წელს კი მან ხორცი შეისხა. სასწავლო წლის დაწყებისთანავე ჩამოყალიბდა სტუდენტური საბჭო.

სტუდენტური ცხოვრების ამ მეტად საჭირო ორგანიზაციას თანადგომა აღუთქვა ფილიალის რექტორმა, პროფესორმა გაიოზ ნადირაშვილმა. მისივე ჩვენდამი ზრუნვის დასტურია ის ფაქტიც, რომ ჩვენი ორგანიზაცია აბსოლუტურად დამოუკიდებელი გახლავთ. გვაქვს წესდება, ბეჭედი, შტამპი და, ასე გასინჯეთ, საბანკო ანგარიშიც.

სტუდსაბჭო არის ერთგვარი ხიდი სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის. ჩვენი ორგანიზაციის არსებობას მაშინ ექნება ფასი, თუ შევძლებთ გამოვავლინოთ თანატოლთა უნარ-შესაძლებლობანი, და, თუ ოცნებით შორს არ წავალთ, ევებ ტალანტებიც აღმოვაჩინოთ. სწორედ ჩვენი დახმარებით და ხელშეწყობით სცდიან ბედს კახელი ახალგაზრდები მეცნიერებაში, კულტურაში, სპორტში.

პირველი საზრუნავი იქნება საქმიანი ურთიერთობების დამყარება დედაუნივერსიტეტის, სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან.

გადაიდგა პირველი ნაბიჯებიც: ჩამოვაყალიბეთ უნივერსიტეტის თეატრი, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი.

ვემზადებით „სტუდენტური დღეები-97"-ში მონაწილეობისათვის.

**გია შაიშმელაშვილი,**
სტუდსაბჭოს თავმჯდომარე, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი.
გაზეთი „კორბუდა".

## პრობლემა

# ქართული ნავთობი ჩვენვე უნდა დავამუშაოთ

***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სემინარი — „საქართველოში ნავთობის კომპლექსური გამოყენება და პერსპექტივები".***

***სემინარმა დიდი დაინტერესება გამოიწვია. მას ესწრებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერები, სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.***

***მოხსენებით გამოვიდა პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი ნავთობქიმიკოსი დიმიტრი გაჯიევი-შენგელია.***

***გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" კორესპონდენტი სემინარის შემდეგ ესაუბრა მომხსენებელს.***

**— როგორ დაიწყო ქართული ნავთობის მოპოვება?**

— ნავთობის მოპოვება და გადამუშავება საქართველოში გასული საუკუნის სამოციან წლებში დაიწყო. 1874 წელს მირაქის ნავთობის მარაგის საერთო წარმოებამ 1760 ტონას მიაღწია, მირზაანის ნავთობის ყოველწლიური მოპოვება 32 ტონას შეადგენდა, ელდარისა კი 4,8 ტონას არ აღემატებოდა.

1867-1878 წლებში ეს ნავთობი გადამუშავდებოდა დედოფლისწყაროში აგებული სიმენსის ნავთობგამოსახდელ ქარხანაში. მიიღებოდა ნავთი, სოლარის ზეთი, საპონი. ნავთობპროდუქტების ნარჩენებისგან აწარმოებდნენ ასფალტს და შენობის სახურავის დასაფენ მასალებს; მიღებული პროდუქცია იყიდებოდა სიღნაღსა და თბილისში.

მირაქის ნავთობით დაინტერესდნენ უცხოური ფირმებიც, თუმცა ახალი საბადოების მოძიებასა, ათვისებასა და ნავთობის გადამუშავებაში მათ მნიშვნელოვანი არაფერი შეუსრულებიათ.

საქართველოში ნავთობისა და ნახშირწყალბადოვანი აირის გეგმიური და მიზანდასახული ძიება დაიწყო ტრესტ „საქნავთობის" დაარსების შემდეგ, 1930 წლიდან.

ნავთობის მოპოვებაში გარდატეხა მოხდა 1974 წელს, როცა „გამომზეურდა" სამგორის დიდი მარაგი. ნავთობის ყოველწლიური მოპოვება თითქმის თერთმეტჯერ გაიზარდა და 1975 წელს 261 ათას ტონას შეადგენდა.

1983 წლიდან კი ნავთობის დებიტი დაეცა: 1991 წელს აწარმოეს მხოლოდ 0,1 მილიონი ტონა ნავთობი და 0,05 მილიარდი კუბური მეტრი საწვავი აირი. ბუნებრივია, დეფიციტი ძირითადად იფარებოდა რუსეთიდან შემოტანილი პროდუქტით.

ქართული მაღალხარისხოვანი ნავთობი ყოფილი საბჭოთა კავშირის გოგირდიან ნავთობებთან ერთად გადამუშავდებოდა მხოლოდ დიდ ტონაჟიან საწვავ-საპოხ პროდუქტებად ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში და მის საერთო წლიურ ბალანსში მხოლოდ 3-5 პროცენტს შეადგენდა.

1992 წლიდან ბათუმის ქარხანაში ნავთობის გადამუშავება შეწყდა.

**— დღეს რა ვითარებაა?**

– ამჟამად, მეცნიერული, ტექნოლოგიური და ეკონომიკურად დასაბუთებული პროგრამების უქონლობის გამო, დეპარტამენტი „საქნავთობი" იძულებულია ნედლი ნავთობის რეალიზაცია ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოახდინოს.

საქართველო არ მიეკუთვნება წამყვან ნავთობიან რეგიონს, მაგრამ სამამულო ნავთობის საფუძველზე ნავთობქიმიის განვითარება ქვეყნის ეკონომიკას დიდად წაადგება და, ამდენად, მასზე მეცნიერული თვალსაზრისით შემუშავებული რეკომენდაციები სასარგებლო და აუცილებელია.

იმის გამო, რომ არ ამართლებს საქართველოს განსხვავებული ბუნების, მცირედებიტიანი ნავთობის ათვისების პერსპექტივა, აკადემიკოსმა ლ. მელიქაძემ რამდენიმე წლის წინათ წამოაყენა წინადადება ჩვენი ნავთობის შერჩევითი ათვისების მიზანშეწონილობის შესახებ. მეცნიერს საჭიროდ მიაჩნია არა ჩვეულებრივი და მრავალტონაჟიანი პროდუქტების წარმოება, არამედ საქართველოსთვის საჭირო მცირეტონაჟიანი, მაგრამ ძვირფასი მასალის მიღება. მაგალითად, გვთავაზობდა ნორიოს ნავთობიდან ლუმინოფორის წარმოებას მანქანების დეტალების და მეტალური კონსტრუქციების ლუმინესცენტური დეფექტოსკოპიისათვის; უნივერსალურ სუსპენზიურ ტრანსმისიულ ზეთს ყოფილი საბჭოთა კავშირის არქტიკული და ჩრდილოეთ რაიონებისთვის; ბიოლოგიურად აქტიურ ემულსიებს...

დღეს ნავთობის ათვისების სამი ვარიანტიდან (ნედლი ნავთობის საზღვარგარეთის ბაზარზე გაყიდვა; მისი გადამუშავება სამოტორო ნავთობპროდუქტებად – ბენზინის დიზელისა და საქვაბის საწვავად; ქართული ნავთობის კომპლექსური და კვალიფიციური ათვისება სამამულო ნავთობქიმიის, მათ შორის, ორგანული და ნავთობქიმიური სინთეზის მიმართულებით და დეფიციტური მასალების მიღებისთვის ტექნოლოგიური მეთოდების შემუშავება) ლოგიკურად უპირატესობა მესამეს უნდა მივანიჭოთ.

**— არგუმენტები?**

– ნავთობის კომპლექსური ათვისება ნიშნავს მის ოპტიმალურ და ეკონომიკურად გამართლებულ ჩართვას რესპუბლიკის სამეურნეო ბრუნვაში, მაქსიმალური უკუგებით.

საერთოდ, ნავთობის მოპოვება და მოხმარება სახელმწიფოს სამრეწველო განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელია. მისი გადამუშავების პროცესის ხარისხი ასახავს ქიმიური მეცნიერებისა და ტექნოლოგიის დონეს ქვეყანაში.

დღეს ერთი ტონა ნედლი ნავთობის ფასი 60-100 ამერიკული დოლარია, ჩვენი გაანგარიშებით, მცირეტონაჟიანი პროდუქტების ორგანიზაცია და რეალიზაცია ტონა ნავთობიდან მოგებას ხუთ-ექვსჯერ გაზრდის. ამასთან, ნავთობქიმიურ წარმოებაზე დახარჯული თანხა იძლევა უკუგებას 2-3 წელიწადში, ხოლო საწვავ ნავთობპროდუქტებზე – 12-13 წელიწადში.

აკადემიკოსების ქ. არეშიძის და ლ. მელიქაძის კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ძირითადი ნავთობის ბენზინის ფრაქციები დიდი რაოდენობით შეიცავს ნორმალურ პარაფინებს, რაც განაპირობებს მათ დაბალ ოქტანურობას და გაკეთილშობილების გარეშე სასაქონლო ბენზინის მისაღებად ვერ გამოიყენება, რადგან, საქართველოში ახალი საბადოების აღმოჩენის პერსპექტივა მხოლოდ მცირე და საშუალო მოცულობის რეზერვუარებს ვერ გასცდება, თანაც დაბალი ოქტანობის გამო მისი საწვავად გამოყენება დამატებით სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ჩვენი პოზიცია სწორი და უტყუარია.

ერთი მომენტიც: ნავთობქიმიური მრეწველობის ძირითად ნედლეულს დაბალმოლეკულური უჯერი და არომატული ნახშირწყალბადები წარმოადგენს. ამიტომ უკანასკნელ ხანს მთელს მსოფლიოში ფართო განვითარება ჰპოვა ისეთი პროცესების შემუშავებამ, აღნიშნული ნახშირწყალბადების წარმოებასთან რომ არის დაკავშირებული. დღეისთვის ეს ხორციელდება პიროლიზური მეთოდით, რომელიც ყველაზე ეფექტიანად არის მიჩნეული. პიროლიზისთვის ევროპაში ძირითადად იყენებენ დაბალოქტანური ბენზინის ფრაქციას. საქართველოს ნავთობი საუკეთესო ნედლეულია პიროლიზისათვის.



ამ პროცესის შედეგად წარმოიშობა აიროვანი და თხევადი პროდუქტები. ნახშირწყალბადოვანი აირიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეთილენს, პროპილენს, ბუთილენებს და ბუთადიენს. თხევადი პროდუქტებიდან – უჯერ ნახშირწყალბადებს: ციკლოპენტადიენს, ბენზოლს, ტოლუოლს, ნაფტალინს, ანტრაცენს და მათ წარმოებულებს.

ძნელია შეფასება იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ნაერთებს ქიმიური რეაქტივების, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების, სალებავებისა და სხვა დეფიციტური მასალების მისაღებად ჩვენს ქვეყანაში. შეიძლებოდა უფრო დაწვრილებით გვესაუბრა პიროლიზის თხევადი პროდუქტებიდან გამოშვებული ნივთიერებების სარგებლიანობაზე, მაგრამ სურათის სიცხადისთვის მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტან; თხევადი პროდუქტების უჯერი ნახშირწყალბადების ნარევი ფართოდ გამოიყენება ნავთობპოლიმერული ფისების მისაღებად. მისი წარმოების მხრივ წამყვანი ქვეყნებია: აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. თუ გამოყენების რა ფართო სპექტრი აქვს მას მრეწველობის სხვადასხვა სფეროში, ამაზე კონკრეტული სტატისტიკაც მიგვითითებს: რეზინის კომპონენტებად გამოიყენება 32 პროცენტი, სამრეწველო ლაქსაღებავებად – 18 პროცენტი, წებოების წარმოებაში – 17 პროცენტი, ხის ფილების წარმოებაში – 12 პროცენტი, იატაკის ფილების წარმოებაში – 10 პროცენტი, სხვა კომპონენტებად – 11 პროცენტი.

შარშან მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა პროექტი – „საქართველოში სამამულო ნავთობქიმიის, მათ შორის ორგანული და ნავთობქიმიური სინთეზის, განვითარებისთვის ქართული ნავთობის კომპლექსური ათვისება და დეფიციტური მასალების მიღებისთვის ტექნოლოგიური მეთოდების შემუშავება".

წინასწარმა კვლევებმა გვიჩვენეს, რომ აღნიშნული მიმართულება პერსპექტიულია საქართველოსთვის.

საქართველოს ნავთობის გამოყენება პერსპექტიულია არა მხოლოდ ნავთობქიმიური და ორგანული სინთეზისათვის. ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების გამოყენებით შეიძლება მიღებულ იქნას სხვადასხვა სახის ნახშირწყალბადოვანი გამხსნელები, ცვილები, პარაფინი, ვაზელინი, ზეთები... ამჟამად, ყველა აღნიშნული მასალა თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოგვაქვს.

არადა, საქართველოს აქვს საკუთარი ნავთობმოპოვება, ჰყავს მეცნიერულ-ტექნიკური კადრები, რომელთაც ძალუძთ აწარმოონ საჭირო პროდუქტები. ნავთობქიმიურ წარმოებაში კვალიფიციური სამეცნიერო კადრების დასაქმება ხელს შეუწყობს ეკონომიკის აღმავლობას, თავის მხრივ – მეცნიერების განვითარებას, ახალი დარგების შექმნას, მეწარმეობის გაფართოებას.

როდესაც უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე ვლაპარაკობთ, იმას ვგულისხმობთ, რომ ეფექტიანად და ჩვენთვის სარგებლიანად გამოვიყენოთ იგი. სწორედ მოწინავე ქვეყნების ორგანიზაციული გამოცდილების, უახლესი ტექნოლოგიის და შემოტანილი კაპიტალის გამოყენებით მიაღწიეს ეკონომიკურ აღმავლობას ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა სინგაპური, ტაილანდი, სამხრეთ კორეა. ეს ქვეყნები ცდილობდნენ თავდაპირველად საკუთარი პროდუქციით დაეკმაყოფილებინათ საკუთარი ბაზარი. შემდეგ დაიწყეს მსოფლიო ბაზარზე გასვლა (მაგრამ ნედლეულის გაყიდვით კი არა!).

**უნივერსიტეტში** გამართულმა სემინარმა ცხადყო პრობლემის აქტუალობა. ეს გამოიკვეთა პროფესორების გ. ცაგარეიშვილის, რ. გახოკიძის, შ. სიდამონიძის, ა. ფიჩხაძის, შ. სამსონიას, ნ. ლეკიშვილის, ა. დოლიძის, დოცენტ რ. ვესელიძის გამოსვლებში.

აი, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები:

საუკუნეზე მეტი გავიდა და ქართულ ნავთობს კვალიფიციურად ვერ ვიყენებთ. მისგან წარმოებული ბენზინი საქართველოს მხოლოდ უმნიშვნელოდ დააკმაყოფილებს. საქართველოს ნავთობი კვალიფიციურად უნდა გამოვიყენოთ ნავთობქიმიაში.

ნედლი ნავთობის გაყიდვა და მის ნაცვლად მზა მასალების შემოტანა არახელსაყრელია სამამულო მრეწველობის განვითარებისთვის. ის მომგებიანია მხოლოდ უცხოური ფირმებისათვის და ხელს უშლის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას.

საჭირო და აუცილებელია შევქმნათ პირობები სამამულო კონკურენტუნარიანი წარმოების ჩამოყალიბებისათვის.

ამ მიზნით უნივერსიტეტში შეიქმნა ამ პრობლემის მომგვარებელი საკოორდინაციო საბჭო.

დარგით დაინტერესებულ სპეციალისტთა სურვილია საქართველოს უპირველესი უმაღლესი განათლების კერა, რომელსაც ბუნებისმეტყველ მეცნიერთა ანგარიშგასაწევი ძალა ჰყავს, პრაქტიკულად ჩაებას ამ მნიშვნელოვანსა და საჭირბოროტო საქმეში. თავის მხრივ, უნივერსიტეტის რექტორატი, სამეცნიერო საბჭო და ქიმიის ფაკულტეტი მზად არიან ამისათვის.

# დაარსდა ახალი ინსტიტუტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად კლასიკური ფილოლოგიისა და ახალი ბერძნული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე 200-მდე სტუდენტი სწავლობს. ამ დარგში სასწავლო, სამეცნიერო, ინფორმაციულ-მთარგმნელობით – საგამომცემლო საქმიანობას ემსახურება კლასიკური ფილოლოგიის კათედრა; ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორია; სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის კაბინეტი – სპეციალიზებული ბიბლიოთეკა; მთარგმნელ რედაქტორთა ჯგუფი – „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა"; პროგრამა „ლოგოსი" – პუბლიკაციები და ლონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში; პროგრამა „ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში", რომელსაც აფინანსებს საბერძნეთის ნაციონალური ფონდი.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, უნივერსიტეტში ექსპერიმენტის სახით ჩამოყალიბდა კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

# აღიარება

ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოქმედებითი მივლინებიდან დაბრუნდა უნივერსიტეტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი ავთანდილ მიქაბერიძე, რომელმაც საბერძნეთიდან ჩამოიტანა სამახსოვრო მედალი. ეს ჯილდო მას გადაეცა სრულიად საბერძნეთის უცხო ენათა სწავლების კერძო ინსტიტუტების ყრილობაზე. ათენის ფორუმზე ავთანდილ მიქაბერიძე მოხსენებით გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბერძნული ენის, ლიტერატურისა და კულტურის სწავლებისა და კვლევის შესახებ. ყრილობაზე გამორჩეულად შეფასდა თბილისის უნივერსიტეტის დამსახურებაა და ამ ჯილდოთი კიდევ ერთხელ გამოიხატა ქართული ელინისტიკის აღიარებული სკოლის საერთაშორისო ავტორიტეტი.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მედლის ფოტოსა და თანმხლები დოკუმენტის შინაარსს.




სრულიად საბერძნეთის უცხო ენათა სწავლების კერძო ინსტიტუტთა კავშირი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

სრულიად საბერძნეთის უცხო ენათა სწავლების კერძო ინსტიტუტთა კავშირის მმართველი საბჭო ანიჭებს სამახსოვრო მედალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბერძნული ენისა და ლიტერატურის განყოფილებას შავი ზღვის რეგიონში მრავალსაუკუნოვანი ბერძნული ფასეულობების მოვლა-პატრონობისა და იდეალების გავრცელებისათვის.

მმართველი საბჭოს წევრები: ა. ბულღუში (თავმჯდომარე); ი. ფლოროსი (სწავლული მდივანი), ა. ამურგიანოსი, დ. გეორულეა, პ. განასი, ს. კაცულისი, ე. მუცუ, ს. იკონომაკუ, ა. ტრეხასი.

ღიმილიანი გახსენება

# ას ათი წელი შესრულდა აკაკი შანიძის დაბადებიდან, რომელმაც მთელი საუკუნე იცხოვრა და იღვაწა




### მორიგე ადმინისტრატორის შეცდომა

1967 წლის შემოდგომა. ერევანში აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავი აღინიშნება. დელეგაციაში არიან სერგო ჟორბენაძე, შოთა ძიძიგური, აკაკი ურუშაძე, ვანო მადური...

მასპინძლებმა გულმხურვალედ მიგვიღეს, დაგვაბინავეს ერევნის ცენტრში ახალაშენებულ სასტუმროში. ბატონ აკაკის მყუდროება რომ არ დაერღვეს, ლუქსში ცალკე მოათავსეს. მესამე დღეა. 11 საათზე სომხეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ვიზიტია დანიშნული. ძვირფას სტუმარს სომხეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის დიპლომი უნდა გადასცენ.

ვიკრიბებით ფოიეში, ბატონი აკაკის ლუქსის პირდაპირ.

— გვაგვიანდება, კაცო, — ამბობს შოთა ძიძიგური და კარზე აკაკუნებს.

კარი იღება და ძვირფასხალათმოსხმული უცხო კაცი გაკვირვებით გვათვალიერებს.

— მხარი ხომ არ გვეცვალა, — დაბნეულია ბატონი შოთა.

— რა გნებავთ, — სომხურად კითხულობს უცნობი.

ამ დროს სასტუმროს დერეფნის ბოლოდან ბატონი აკაკი მოიჩქარის: აბა, წავედით.

— რა მოხდა?

— არაფერი, წუხელ ბინა გამოვიცვალე, იქ მიჯობს...

ერთ წამში ფეხზე დადგა სასტუმრო.

და რა აღმოჩნდა: იმ დღეს სამუშაოდ გამოსულ მორიგე ადმინისტრატორს უცხოეთიდან ჩამოსული თანამემამულე შეუსახლებია ლუქსში...

ეს როგორ, — გაოცებული არიან მასპინძლებიც და სტუმრებიც.

ადმინისტრატორი დაბნეულია: სავიზიტო ბარათების მიხედვით მე ყველაზე უტიტულო მობინადრე შევარჩიე.

სასტუმროში ჩასახლებისას ჩვენებმა თავიანთ ბარათებში ჩვეულებრივ თავისი ყველა რეგალია ჩაწერეს. ერთადერთ ბარათში ეწერა: აკაკი შანიძე — და სხვა არაფერი.

— და ეს იმ დროს, როცა პრეზიდიუმის თავმჯდომარე გველოდება, — დაიბუზღუნა შოთა ძიძიგურმა.

მორიგე ადმინისტრატორი, რომელმაც თურმე ქართული ჩვენზე ნაკლებად არ იცოდა, შეშფოთებული მივარდა ბატონ აკაკისთან, ლამის მუხლებზე დაუჩოქა და ამ უნებლიე შეცდომისათვის პატიება ითხოვა.

— ნუ სწუხარ, მე იქ უფრო კარგად მოვისვენე, — მხრებზე ხელი მოუთათუნა გაღიმებულმა აკაკიმ.

### შემთხვევა ლენინგრადის ვაგზალზე

1969 წლის თებერვალში პეტერბურგის — პეტროგრადის უნივერსიტეტის 150-ე წლის იუბილეზე საქართველოდან სამი მეცნიერი გაემგზავრა: აკაკი შანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე და სერგო ჟორბენაძე.

მოსკოვში მატარებლით ჩასულები, კურსკის ვაგზლიდან იქვე, ლენინგრადის ვაგზალზე გადავიდნენ. ბილეთებისათვის წასული სერგო ჟორბენაძე ცოტა ხნის შემდეგ შეცბუნებული დაბრუნდა: მოლარეთაგან და ვაგზლის ადმინისტრაციისაგან კატეგორიული უარია. არც ერთი ბილეთი არ არის. იმედად საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობაღა დაგვრჩა, დავრეკავთ და ბილეთებზე იზრუნებენ.

არ დაიჯერა აკაკიმ: ჯერ არის და უქმე დღეა, მერე როდისღა იქნება ეს ამბავიო. დინჯად წამოდგა, პირდაპირ იმ მოლარისაკენ გაემართა, რომელმაც ის-ის იყო ცივი უარით გამოისტუმრა ბატონი სერგო.

— თქვენ მოგესალმებათ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი. სამოცი წლის წინანდელი სტუდენტი. ხვალ ჩვენს უნივერსიტეტს საუკუნენახევრის იუბილე აქვს. განა შეიძლება იქ არ ვიყო ამ ზეიმის დღეს?

აკაკის ხელში უჭირავს სტუდენტის ბილეთი.

გაოცებულ მოლარეს ღიმილმა გადაკრა სახეზე.

— ჩემთან არის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, მას აუცილებლად სჭირდება სამი ბილეთი, — გადასცემს ყოვლისშემძლე დისპეტჩერს.

და ალბათ გაკვირვებული შეკითხვის პასუხად მარცვლავს მიკროფონში: სტუდენტის ბილეთი 1912-13 სასწავლო წლისათვის.

აკაკი შანიძემ სამი ბილეთი იყიდა. მოსაცდელ დარბაზში ჩამოჯდა და არც შეუმჩნევია, რა ინტერესით აკვირდებოდნენ მის სანახავად გამოსული ვაგზლის მოსამსახურენი...

**გიგა გეზრუელი.**


БИЛЕТЪ

ДЛЯ ВХОДА

въ ИМПЕРАТОРСКIЙ С.-Петербургскiй Университетъ

студенту Шанидзе

на 1912—13 уч. годъ.

В



# არსენა — დიდი ბავშვი

## ნუ გვავიწყდება სპარტაკ ბაღაშვილი!

თბილისის უნივერსიტეტის თეთრი კედლების საქები სიტყვები მრავლად მომისმენია. აღტაცებული სადღეგრძელოებიც.

მაგრამ მე მინახავს კაცი, რომელიც უნივერსიტეტისადმი მოწიწების გამოხატვას სიტყვებით ერიდებოდა და მის ფუძეს, მის კედელს გრძნობით ეამბორებოდა: სპარტაკ ბაღაშვილი.

როცა მისი ქალიშვილი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, ბატონი სპარტაკი ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ცხვედაძის მადლით გაკეთილშობილებული შენობისა და მისი შემოგარენის ხშირი სტუმარი იყო.

მანამდეც არ ეძვირებოდა აქ მოსვლა. ფუნდამენტურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დღესაც ინახება მისი სააბონენტო ბარათი — პუნქტუალურ და მისაბაძ მკითხველს რა ფართო ინტერესი და მისწრაფება ჰქონია!

წიგნი არ გახლდათ მისი მხოლოდ ჰობი.

მანანა ბაღაშვილი, ბატონი სპარტაკის ერთადერთი ქალიშვილი, იგონებს: „პირველი კლასიდან სკოლაში სულ მამას დავყავდი. (წარმოიდგინეთ ომისშემდგომ პლეხანოვის პროსპექტზე სისხამ დილით ულამაზესი სახის მხრებგანიერ რაინდს ციცქნა გოგონასათვის პაწაწა თითში ჩაუკიდებია ხელი და გულდაჯერებული საუბრით სკოლისაკენ მიჰყავს...) პირველკლასელი ჯაფარიძის ბიბლიოთეკაში რომ ჩამწერა, მიმიყვანდა, წიგნებს შემირჩევდა, ბიბლიოთეკართა ღიმილს გამოიყოლებდა...

თავდაპირველად საბერძნეთის მითოლოგია წამაკითხა: აქედან უნდა დაიწყოთო.

უაღრესად კეთილი და ბავშვურად მიამიტი კაცი განსაკუთრებით მზრუნველობდა ომში დაღუპულთა შვილებს. სახელმძღვანელოებს მარტო ჩემთვის არ ყიდულობდა, მათაც მიუტანდა ხოლმე.

ღირსეულად მეგობრობდა მერი მილდელთან, უბნელები იყვნენ, ერთ რამედ ღირდა ამ მშვენიერი ადამიანების ხილვა სკოლაში გამართულ საქველმოქმედო კონცერტებზე — ბილეთის ფულით მაშინვე ყიდულობდნენ ტანსაცმელს და მოხავდნენ, ვისაც ყველაზე მეტად უჭირდა".

70-იან წლებში „თბილისის უნივერსიტეტის" გაზეთის რედაქციის თანამშრომლები, ბატონი სპარტაკივით ლამაზი და ტანადი, ცხონებული ზაალ ქვანია, ზურაბ სხვედიანი და მე მარო ბოჭორიძის ქუჩაზე ბაღაშვილების ოჯახს ვეწვეოდით ხოლმე და მანავის მწვანეთი გაკეთილშობილებულ სუფრაზე დაუღლელად ვისაუბრია არა მარტო ხელოვნებაზე, ქვეყნის ბედ-ბედზე, მისი მოქალაქეების მოვალეობაზე...

შემდეგ ბატონი სპარტაკი მშობლიური უბნიდან საცხოვრებლად გადავიდა (თუ როგორ — ამაზე საუბარი სხვა დროისთვის გადავდოთ ბახტრიონის ქუჩაზე, სადაც ოთხიოდე წელი თუ იცხოვრა.

ზუსტად ოცი წლის წინათ, 77-ის ზამთარში, უხმაუროდ გამორდა წუთისოფელს.

დღეს მისი ხსოვნა ახლობლებსა და ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებში თუ ცოცხლობს.

თბილისში არანაირად არაა აღნიშნული მისი ამქვეყნად არსებობის კვალი, ნახევარი საუკუნე გაატარა პლეხანოვის ძველ უბანში სპარტაკ ბაღაშვილმა. ახლა მისეული სახლ-კარის ადგილზე სხვამ კაპიტალური შენობა ააგო. ვფიქრობთ, ახალი მეპატრონისთვის საამაყოც იქნება — თუ შენობის კედელზე თუნდაც მორიდებული მემორიალი გაკეთდება: „აქ ცხოვრობდა ბაღაშვილი — არსენა, მარტია და ხევის ბერი..."

ქალაქის კეთილო მესვეურებო, საქართველოს სახალხო არტისტის, ჩვენი თაობის ლეგენდის სპარტაკ ბაღაშვილის ქუჩაც აჩუქეთ თბილისელებს, საქართველოს!

**გივი შეყილაძე.**

ავტორის ფოტო

# იმედით ვცოცხლობთ...

გაზაფხულდა. ჩვენთან, ალბათ, უკვე მიმოზა ყვავის, მიწაც დაიფარა ოქროსფერი ნარცისებით, ლამაზად ღელავს ლურჯი ზღვა... თვალწინ წარმომიდგება ეს სურათი და თვალები ცრემლით მევსება, მახსენდება სახლი, რომელშიაც დავიბადე, ახლობელი, საყვარელი სახეები.

ნუთუ, ნუთუ მართლა საბოლოოდ დაიკარგა ეს ყველაფერი, აღარასოდეს დაგვიბრუნდება მოქვის ტაძარი, ბიჭვინთის რელიქტური ფიჭვები, არა! ამასთან შერიგება არ მსურს! არ შეგვიძლია მუდამ, სიცოცხლის ბოლომდე ვატაროთ „ლტოლვილის" დამღა! არ გვსურს წვრილმანი, მათხოვრული დახმარება! აფხაზეთის ამაყ მკვიდრთა სურვილია მშობლიური მიწის პატრონები ვიყოთ, ნორმალურად ვიცხოვროთ და ვიშრომოთ...

რამდენი რამ გადაიტანა ამ ოთხი წლის განმავლობაში, მაგრამ შედეგი არ ჩანს. დღეს სულითა და გულით მხარს ვუჭერთ აფხაზეთის იმ დეპუტატებს, რომლებიც მესამე კვირაა შიმშილობენ. ჩვენი მიზნების მისაღწევად, ერთად უნდა ვიყოთ, ეს კი მარტო პარლამენტთან მორიგეობაში არ გამოიხატება. დღეს ყველა სტრუქტურა მოქმედებს, გვაქვს თეატრი, მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტი — ეს კი მრავლის მეტყველია.

ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ დავიბრუნოთ ჩვენი საყვარელი სამშობლო-აფხაზეთი!

**ინდირა ძაგანია,**
თბილისის უნივერსიტეტის
სოხუმის ფილიალის
რუსული ენისა და ლიტერატურის
კათედრის მასწავლებელი.

# გამოიცა გერმანიასა და ინგლისში

## „გეორგიკა-19"

გერმანიის ქალაქ კონსტანცში გამოიცა ჟურნალ „გეორგიკას" მე-19 ნომერი. იგი გერმანულენოვანია და ყოველწლიურად იბეჭდება იენის უნივერსიტეტის გამომცემლობაში. ჟურნალი სამეცნიერო ხასიათისაა და მიზნად ისახავს გააცნოს მსოფლიოს საზოგადოებრიობას საქართველოს კულტურა, ენა და ისტორია, გააღრმავოს თანამშრომლობა ევროპისა და საქართველოს მეცნიერებს შორის; საშუალება მისცეს მსოფლიო სამეცნიერო წრეებს–თვალყური ადევნონ ქართველოლოგების საქმიანობას. ჟურნალი დაინტერესებულია კავკასიოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემებითაც.

„გეორგიკა" განახლდა გერმანიისა და თბილისის უნივერსიტეტების ჰუმანიტარული დარგის წამყვანი მეცნიერების ინიციატივით. მას აფინანსებს გერმანული მხარე და ამასთანავე 100 ეგზემპლარს უფასოდ უგზავნის საქართველოს.

გამომცემლები არიან: ჰაინც ფენრიხი (იენა. პასუხისმგებელი რედაქტორი), გერტ ჰუმელი (საარბრუკენი), მარიამ ლორთქიფანიძე (თბილისი), უინფრედ ორტმანი (ჰალე), ვოლფგანგ შლერი(კონსტანცა).

ჟურნალის გამოცემაში თავიანთი წვლილი შეაქვთ სარედაქციო კოლეგიის წევრებს: ნიკო



ბერძენიშვილს (თბილისი), უინფრედ ბოედერს (ოლდენბურგი), ელგუჯა ხინთიბიძეს (თბილისი), მტეფი მაჰერს (იენა), ერჰარდ ლანგეს (იენა), ფარი ფონ ლილიენფელდს (ერლანგენი), მარინა ლორთქიფანიძე – პიელს (იენა), გიუნთერ მანსფელდს (ტუბინგენი), პარმენ ზაქარაიას (თბილისი), ზურაბ სარჯველაძეს (თბილისი), მანფრედ შმელინგს (საარბრუკენი), კარლ ჰორსტ შმიდტს (ბონი), რუდიგერ შმიტს (საარბრუკენი), კორა ზინგერს (იენა), გურამ თევზაძეს (თბილისი).

ჟურნალი სხვადასხვა ასპექტით წარმოაჩენს საქართველოსა და კავკასიის ხალხთა კულტურულ მემკვიდრეობას; ისტორიის, არქეოლოგიის, რელიგიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების სფეროებში მიღწეულ სიახლეებს.

„გეორგიკას" მე-19 ნომრის შინაარსი ასეთია.

ისტორია: მარიამ ლორთქიფანიძე – „ივანე ჯავახიშვილი" (ეძღვნება მეცნიერის დაბადების 120 წლისთავს), დიმიტრი ლეთოდიანი – „აფხაზები (აბაზგები) ურთიერთობანი ბიზანტიასთან და ეგრისთან (6-8 საუკუნეები)". გიორგი ოთხმეზური – „მე-17 საუკუნის საქართველოში სათავადოების ჩამოყალიბების შესახებ. „სააკაძის გვარი", დალი კანდელაკი – „გერმანელი ისტორიკოსი ავგუსტ ლუდვიგ შლიოცერი – „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ". გელა საითიძე – „ქართველები რუსეთის სახელმწიფო დუმის ტრიბუნაზე".

არქეოლოგია: ტ.ი. ახუნდოვი, ი.გ. ნარიმანოვი – „ახალი გამოკვლევები შუა ბრინჯაოს ხანის აზერბაიჯანზე". ანდრეას ფურტვენგლერი, კონსტანტინე ფიცხელაური – „გათხრ[illegible]მბათში (კახეთი) 1995 წელი". პარმენ ზაქარაია – „არქეოპოლისის (ნოქალაქევი) არქიტექტურა".

რელიგია: ანა ხარანაული – „ბიბლია იოანე პეტრიწის კომენტარებში". გერტ ჰუმელი – „ქრისტიანობა საქართველოში – გუშინ და დღეს".

ენათმეცნიერება: ზურაბ სარჯველაძე – „ქართული ვოკალიზმის ისტორიიდან", კევინ ტუიტი – „კავკასია და ჰინდიკუში: ადრეული კავშირების მამტკიცებელი მასალების ახალი განხილვა", ალექსის მა-



ნასტერ რამერი – „ნოსტრატიკაში და ქართველოლოგიაში მუშაობის შემდგომი პარალელური განვითარება", შტეფი მახერი – „ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისათვის", ჰაინც ფენრიხი – „ქართული გორ – :მეგრული გოჯ-".

ლიტერატურა: ვახტანგ იმნაიშვილი – „ისევ ხანმეტი – ლე-



ქციონარის შესახებ". იუზა ევგენიძე – „ვაჟა ფშაველას კრედო გრიგოლ რობაქიძის აზრით". ქრისტინა ლიხტენფელდი – „ოთარ ჭილაძე".

ოთარ ჭილაძე – „ნაწყვეტი თხზულებიდან: „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა". ქართულიდან თარგმნა ქრისტინა ლიხტენფელდმა.

სამეცნიერო ნაშრომებს ახლავს ცხრილები, რუკები, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სამარხების, ყორღანების, თიხის თუ სხვა სახის ჭურჭლების ილუსტრირებული მასალა, რაც მკითხველს მათი ვიზუალურად აღქმის საშუალებას უქმნის. შეუძლებელია ისაუბრო არქეოპოლისის გათხრებზე და არ დაადასტურო იგი სურათებით. ჟურნალში წარმოდგენილი ილუსტრაციები, სასახლის, ქალაქის აღმოსავლეთის ხედის, მე-4 საუკუნის ეკლესიისა და მე-5 საუკუნის ეკლესიათა ნაშთების, არქეოპოლისის გეგმის, ციტადელის მთავარი კოშკის, ანტიკური ხანის აბანოების შესახებ, წარმოაჩენს კულტურის ძეგლს მთელი თავისი დიდებულებით და მნიშვნელობით.

ჟურნალში მოთავსებულია ასევე რეცენზიები და რეკლამები ახლად გამოცემულ წიგნებზე.

**თამარ ნაცვლიშვილი.**

## „ზმნა ძველ ქართულში"

პროფესორი ივანე იმნაიშვილი ძველი ქართული ენის აღიარებული სპეციალისტი იყო. მისი ფუნდამენტური წიგნები „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები" და „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია" სპეციალისტთა სამაგიდო წიგნებია.

ახლახან დაიბეჭდა მისი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც ქართული მორფოლოგიის უმთავრეს უბანს, ზმნას, ეხება. დიდძალი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე განხილულია ძველი ქართული ზმნის ყველა მნიშვნელოვანი კატეგორია, წარმოდგენილია უღლების პარადიგმები. ახლებურადაა გადაწყვეტილი ზოგიერთი პრობლემა.

მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ საბოლოო სახე წიგნს მისმა ვაჟმა – პროფესორმა ვახტანგ იმნაიშვილმა მისცა და მასზე მუშაობა არსებითად 1984 წელს დამთავრდა. მაგრამ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა შეაფერხა წიგნის გამოცემა და აი, ამდენი ხნის შემდეგ, გერმანიაში სამეცნიერო მივლინების დროს ვახტანგ იმნაიშვილს მიეცა საშუალება გერმანელი კოლეგების დახმარებით მაინის ფრანკფურტში – დაებეჭდა – „ზმნა ძველ ქართულში".

**ლელა ციხელაშვილი,**
ასპირანტი.

## „ახალი საქართველო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა"

დამოუკიდებელი საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ გეოგრაფიას ეძღვნება პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძის წიგნი – „ახალი საქართველო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა", რომელიც ინგლისურ ენაზე გამოსცა ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის გამომცემლობამ. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში აღწერილია ქვეყნის მდებარეობა, ტერიტორია, რესურსები, რეგიონები; ისტორიულ-გეოგრაფიული ფონი; მოსახლეობა; ეთნიკურობა და რელიგია.

მეორე ნაწილში ფართოდაა მიმოხილული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები, საზოგადოებრივი აზრის მიერ სოციალურ პრობლემათა აღქმა; რეგიონული სხვაობები კეთილდღეობაში; გადახრილი ქცევის სივრცობრივი ასპექტები – ცვლილებები დამნაშავეობისა და ნასამართლობის დინამიკასა და სტრუქტურაში, დამნაშავეობისა და ნასამართლობის სივრცობრივი თავისებურებები, ნარკომანიის სივრცობრივი ასპექტები.

ცალკე თავშია განხილული: „თბილისი და მისი აგლომერაცია".

განსაკუთრებული შინაარსისა და მნიშვნელობისაა თავი – „ეთნიკური დაძაბულობის გეოგრაფიული კონტექსტები". მასში წარმოდგენილი ეთნიკური დაძაბულობის ზოგადი პრობლემები, საქართველოში ეთნიკური დაძაბულობის მიმართ გეოგრაფიული მიდგომა, აფხაზეთის კონფლიქტის გეოპოლიტიკური კონტექსტი, კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში, მესხეთის მუსლიმების დაბრუნების პრობლემა".

საზღვარგარეთელი მკითხველი რეალურად აღიქვამს ჩვენს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, იპოვის პასუხს მიმდინარე პროცესების ასპექტებზე.

# სპორტული უნივერსიტეტი

## ათი საუკეთესო სპორტსმენი 1996 წლის შედეგების მიხედვით

**ნინო ხურციძე** – მსოფლიო სტუდენტთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი;

**ვეფხია სამხარაძე** – მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში, საინჟინრო-ეკონომიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი;

**ჯონდო მუზაშვილი** – მსოფიო ჩემპიონი სამბოში, ეკონომიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი;

**სანდრო დგებუაძე** – მსოფლიო სტუდენტთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი, იურიდიული ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი;

**რომან სიჭინავა** – მსოფლიო სტუდენტთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი – საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი;

**ვახტანგ ჯავახაძე** – ევროპის ჩემპიონი მკლავჭიდში, კომერციის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი;

**არჩილ ჩოხელი** – ევროპის ჩემპიონი სამბოში, ისტორიის ფაკულტეტის I- კურსის სტუდენტი;

**პაატა აბრამიშვილი** – ევროპის ჩემპიონი მკლავჭიდში, საინჟინრო-ეკონომიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი;

**ბესარიონ ზურაბიანი** – საქართველოს ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ეკონომიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი;

**კობა ტყეშელაშვილი** – საქართველოს ჩემპიონი, ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული თავისუფალ ჭიდაობაში, ეკონომიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

**წლის საუკეთესო გუნდად აღიარებულია უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც წარმატებით მონაწილეობს ეროვნულ ჩემპიონატში.**

სპორტული კლუბი, ფიზიკური აღზრდის კათედრა.



## ნინო ხურციძე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი

ОС წლამდე ასაკის გოგონათა შორის მსოფლიოს პირველობაზე პირველი იყო ბრაზილიაში – 1991 წელს, ინდოეთში– 1993 წელს, გერმანიაში – 1995 წელს.

დაბედებოდეს...

თბილისის უნივერსიტეტის მოჭადრაკეთა გუნდის ზედიზედ მსოფლიოს ორი სტუდენტთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონობაშიც დიდი წვლილი მიუძღვის.

საერთაშორისო ჟურნალისტიკის სპეციალობის მეოთხეკურსელი, დიდოსტატი ნინო ხურციძე 1996 წლის შედეგების მიხედვით უნივერსიტეტის პირველ სპორტსმენად დაასახელეს.

გთავაზობთ მასთან მცირე ინტერვიუს.

— *ვინ არის ამჟამად თქვენი მწვრთნელი?*

– ინჟინერი ელგუჯა ფხაკაძე, დედაჩემის ძმა, რომელმაც ხულ პატარას ჭადრაკის თამაში შასწავლა და დღესაც ჩემი დამრიგებელია. ბოლო ხანს კომპიუტერების საშუალებით საჭადრაკო ლიტერატურა ხელმისაწვდომი გახდა. ეს მალზე მიადვილებს საქმეს.

— *თქვენი ბოლო წარმატება?*

– დეკემბერში გრონინგენის მამაკაცთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც, ჩვეულებრივ, ქალებიც მონაწილეობენ, ქალთა შორის საუკეთესო ვიყავი. შარშანწინ იქ მესამე ადგილს დავჯერდი.

— *უახლოესი ასპარეზობები?*

– ვითამაშებ მამაკაცთა მინსკის საერთაშორისო ტურნირში, შემდეგ, ალბათ, გაევემგზავრები იუგოსლავიაშიც. ვფიქრობ, წელს მსოფლიო ჩემპიონობის მომაველი ციკლის საზონათაშორისო შეჯიბრება არ გაიმართება, ვეცდები, გაისად მომზადებული შევხვდე ამ ასპარეზობას.

**მანანა კუჭუხიძე.**



სურათებზე: ნინო ხურციძე, მთავარი პრიზი, რომლითაც დაჯილდოვდა მსოფლიო სტუდენტთა საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოჭადრაკეთა გუნდი.

სარედაქციო კოლეგია:
ნანული ბარათაშვილი, რისმაგ გორდეზიანი, ლევან ვეფხვაძე, გივი შეყილაძე (რედაქტორი), თეიმურაზ ხუროძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№61, კვირა, 16 მარტი, 1997 წელი.

## გამოვიდა

# ახალი გაზეთი




კიდევ ერთი ახალი გაზეთი – „შაქრიანი დიაბეტი". შეემატა ქართულ პერიოდიკას (მთავარი რედაქტორი – თამარ ჩაჩიბაია). მისი პირველი ნომერი ახლახან მიიღეს მკითხველებმა.

ფრიად კეთილშობილური და მოსაწონი მიზანი დაუსახავს გაზეთის კოლექტივს – კვალიფიციური და უაღრესად საჭირო კონსულტაციები გაუწიოს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთ, ურჩიოს მათ, თუ როგორ იკვებონ, როგორ მოიქცნენ კეტოაციდოზური მდგომარეობის დროს, რა პრეპარატები მიიღონ ჰიპერტენზიის მკურნალობისას, როგორ დაიცვან დიეტა... ამ გაზეთში კიდევ ბევრ სხვა სასარგებლო სამედიცინო ინფორმაციასა და რჩევას წაიკითხავთ.

წარმატებები გვისურვებია გაზეთის რედაქციის მუშაკებისთვის.

## გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს განცხადება

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აცნობებს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას, რომ საქართველოს კანონის „წიაღის შესახებ" თანახმად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული წიაღითა და სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზირების ექსპერტთა უწყებათაშორისო საბჭო აცხადებს კონკურსს „ზვარეს" მინერალური წყლით სარგებლობაზე. ლიცენზიის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკონკურსო მასალები საქართველოს კანონის „წიაღის შესახებ" მუხლი 17-ის შესაბამისად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში 1997 წლის 1 მაისამდე.

კონკურსის გამართვის თარიღი გეცნობებათ დამატებით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ შემდეგ ნომრებზე: 98-79-24; 98-79-23.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტი.

*მის.: მ. ალექსიძის ქ. მე-8 კორპ.*

## ხსოვნა

### ნიკოლოზ მესხი

მძიმე დანაკლისი განიცადა საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა სამშენებლო საქმის დიდოსტატი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ნიკოლოზ ივანეს ძე მესხი.

მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს საინჟინრო და განსაკუთრებით სამშენებლო დაპროექტებისა და წარმოების განვითარების საქმეში, პროგრესული სიახლეების დამუშავება-დანერგვაში.

ნიკოლოზ მესხი მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნების შემდეგ მცირე ხანს სამხედრო ხელმძღვანელად მუშაობდა საშუალო სკოლებში, ხოლო 1946 წლიდან ჯერ „საქშახტპროექტში", შემდეგ კი „საქსახპროექტში" საამშენებლო კონსტრუქციების დაპროექტების დარგში საქმიანობდა, 1954 წლიდან მეოთხედი საუკუნე აღნიშნულ საქმეს ემსახურებოდა „საქქალაქმშენპროექტში" (1964 წლიდან ინსტიტუტის მთავარი კონსტრუქტორის პოსტზე).

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ბ-ნ ნიკოლოზის მოღვაწეობა საქქალაქმშენპროექტში. აქ ორმოცდაათიან წლებში მან საქართველოში მასობრივი მშენებლობისათვის პირველად დაამუშავა 320-ადგილიანი სკოლის ტიპურ პროექტში ანაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და ანაკრები მსხვილი ბლოკების გამოყენების პროექტები. სამშენებლო დაპროექტებასა და წარმოებაში ასევე ახალი სიტყვა იყო სფერული გარსის უქარგილო აწყობით გადახურვა წყალტუბოს ჯგუფური სააბაზანოს 10-მეტრიანი დიამეტრის მქონე დარბაზისა, რაც რეკორდულად მოკლე ვადაში განხორციელდა 50-იანი წლების დასასრულს. აღნიშნულმა გადაწყვეტამ მაღალი შეფასება დაიმსახურა საქართველოს გარეთაც. ბ-ნ მესხის შესაბამისი მოხსენება მოსმენილი იქნა უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე ქ. მოსკოვში 1959 წლის დეკემბერში. ამ კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში საგანგებოდ აღინიშნა ბ-ნ მესხის მიერ განხორციელებული გადაწყვეტის ორიგინალობა და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა 60-იან წლებში მაღლივი კარკასული შენობის ძირითადი კონსტრუქციული სქემა და კარკასის ჯვარისებრი ელემენტები, დაინერგა საქქალაქმშენპროექტში რთული ინჟინრული კონსტრუქციების გაანგარიშების მექანიზაცია და ელექტრო-ციფრულ მანქანებზე გამოთვლა. მის მიერ დამუშავებული კონსტრუქციებით აშენდა მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტი საქართველოს დედაქალაქში, რაიონულ ცენტრებში და კურორტებზე, მ. შ. მეცნიერ-მუშაკთა სახლი, ტრესტ საქნახშირის ადმინისტრაციული შენობა, ცენტრალური არქივის შენობა, სასტუმრო „საქართველო", საქქალაქმშენპროექტის საწარმო შენობა და სხვა თბილისში, მუზეუმი და სასტუმრო „ინტურისტი" გორში, სანატორიუმი „მეტალურგი" და სააბაზანოები წყალტუბოში და სხვა.

უკანასკნელ წლებში ბ-ნი ნიკოლოზი თავის დიდ გამოცდილებასა და შრომას ახმარდა ტრესტ საქჰიდრომშენის ობიექტთა მშენებლობას. განუზომელია მისი დამსახურება ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდა-დახელოვნებაში. ის ერისა და სამშობლოს უანგარო სამსახურის თვალსაჩინო მაგალითად დარჩება შთამომავლობისათვის.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, ს.ს. საქქალაქმშენპროექტი, საქჰიდროენერგომშენი. სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება.

## ყურადღება!

ორგანიზაცია შეიძენს 1990 წლის შემდეგ გამოშვებულ და ტექნიკურად გამართულ „იკარუსის" მარკის ან ანალოგიური ტიპის ორ უცხოურ სამგზავრო ავტობუსს. გაყიდვის მსურველებმა დაგვირეკეთ: 93-26-99.



მამა აპოლონი, მეუღლე მარეხი, სიდედრი ქეთო კოლოშვილი, შვილები ნათია, გიგი, შვილიშვილი ლუკა, და ლალი, დისშვილი თეა, სიძეები ლევან შალამბერიძე, ვაჟა ფაჩულია, ქვისლი თემურ კაპანაძე ოჯახით, მძახლები დეგული და დოდო შალამბერიძეები ოჯახით, დეიდა რუსიკო, ბიძა ბექან რამიშვილი ოჯახით, დეიდაშვილები ნუნუ გიორგაძე, ნინო რამიშვილი, ხახუტი ნინუა, ბიძაშვილები ალიკო, ია, ნანა, ნუგზარი, მანანა, მადონა რამიშვილები ოჯახებით, უახლოესი ნათესავები და ახლო მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თემურ ზუნია

პანაშვიდი 23, 24 III, 5 ს. გამოსვენება 25 III, 2 ს. ცოტნე დადიანის 34, კორპ. 11 (მეტრო ნაძალადევის უკან).

---

ტრესტ „თბილგაზის" კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ვახტანგ აფრასიონის ძე კვანტრიშვილს, მისი ძმის, სოციალისტური შრომის გმირის

ნიკოლოზ კვანტრიშვილის

გარდაცვალების გამო.

## გახსენება



### გივი კაციტაძე

ძვირფასო გივი! დღეს შენი დაბადების დღეა, პირველი დაბადების დღე, რომელსაც უშენოდ ვხვდებით. აღარა ხარ შენი საყვარელი შვილების, მეუღლის, შვილიშვილების, ახლობლების, მეგობრების, თანამოაზრეთა გვერდით, შენი მოყვარული და სათნო გული დაგვაკლდა ყველას. დაუზოგავად იხარჯებოდი, იწვოდი შენი ქვეყნის სასიკეთოდ, გაწუხებდა მისი ბედ-იღბალი, გახარებდა ადამიანური სითბო და გულს გიკლავდა კაცთა მიერ ჩადენილი ბოროტება. განსაკუთრებით შენი მშობლიური რაჭა, სოფელი ხოტევი გიყვარდა. ბავშვივით შესტრფოდი მის ყოველ კუთხეს და კუნჭულს. გახარებდა ყოველი გაზაფხულის მოსვლა, სიცოცხლე იღვიძებს, ხარობსო, – იტყოდი. ვაი, რომ უშენოდ მოვიდა ეს პირველი გაზაფხული.

22 მარტს დილმის სასაფლაოზე, შენს საფლავთან, თავს მოვიყრით ყველა შენიანი, დაბადების დღეს მოგილოცავთ, ჩვენ ხომ შენი მოგონებებით ვცოცხლობთ.

შენი ოჯახი.

---



საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების ღვაწლმოსილი მუშაკი, ქალბატონი

ირინა დავითის ასული ხოშტარია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---



მამა გიორგი, ბიძები სულიკო, კაკო, ბიცოლები ლუბა, ლენა, ბიძაშვილები ცისმარი, ქეთინო, მამუკა ღვალაძეები, თემური, მაკა ნარიმანიშვილები, რძალი ანა კობიაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი გიორგის ასული ღვალაძე

პანაშვიდი 23, 24 III, 4 ს. გამოსვენება 25 III, 2 ს. ბახტრიონის ქ. № 7 „ა". I სადარბაზო.

---

დედა ლეილა ძიგრაშვილი, მეუღლე ნათია, შვილები სალომე, ნუციკო, ძმა მამუკა კიკალეიშვილი, რძალი ხათუნა ძამაშვილი, ძმისშვილი ანდრო, სიდედრი ევდოკია, სიმამრი ივანე, ცოლისძმა გიორგი ადამაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლაშა ანდროს ძე კიკალეიშვილი

პანაშვიდი 23, 24 III, 4 ს. გამოსვენება 25 III. ფალიაშვილის 62 ა, IV კორპუსი (ეზოდან ირ. აბაშიძის 37).

---



საქართველოს ახალგაზრდობის ფონდი „მამული", საქართველოს ბავშვთა ფედერაცია, გაზეთი „დვრიტა" ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფონდის პრეზიდენტი და გაზეთის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე

ლაშა ანდროს ძე კიკალეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საერთაშორისო შემოქმედებითი ასოციაცია „ტმს-ინვესტის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლაშა ანდროს ძე კიკალეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მერაბ მგალობლიშვილი და დათო ცისკარიშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

ნოდარ ბაგრატის ძე ჩხოლარიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ყოფილი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან დირექტორის მოადგილის

ნოდარ ჩხოლარიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ფირმა „სამება" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის თვალსაჩინო სპეციალისტი, დიდი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული, უაღრესად პრინციპული, ერუდირებული, კეთილშობილური თვისებებით ბუნებისგან უხვად მომადლებული, მეგობრებისა და კოლეგების მუდამ მხარში მდგომი, ენერგიული და მუდამ მემართული, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, პატრიოტი, ქართული სამამულო მეღვინეობის განვითარება-აღორძინების დიდი მოამაგე

ნოდარ ჩხოლარია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ადმინისტრაციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ადმინისტრაციის პასუხისმგებელი მუშაკი

ნოდარ ჩხოლარია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოგდაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორები რუსუდან ლორთქიფანიძე, ნანული ბარათაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.